343.9(075.8)
ბ-25

ჯემალ გახოკიძე

მიხეილ გაბუნია

კრიმინოლოგია

„იურისტების სამყარო"

-40667 -

343.9(075.8)
ბ-25

იურისტების სამყარო

ჯემალ გახოკიძე
მიხეილ გაბუნია

კრიმინოლოგია

პირველი ნაწილი

მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკა
№ 40667

თბილისი, 2013
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

მეორე შევსებული გამოცემა

სახელმძღვანელოში განხილულია კრიმინოლოგიის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ნაწილის საკითხები. იგი დიდ დახმარებას გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და კრიმინოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს.

რედაქტორები: სამართლის დოქტორი
პროფესორი გიორგი თოდრია

სამართლის დოქტორი,
პროფესორი ნინო გვენეტაძე

რეცენზენტები: სამართლის დოქტორი
პროფესორი ი. გაბისონია

სამართლის დოქტორი,
პროფესორი მ. მამნიაშვილი

**ეძღვნება რესპუბლიკის გენერალური პროკურორის,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის,
პროფესორ ნუგზარ გაბრიჩიძის ხსოვნას**

სარჩევი

კრიმინოლოგიის საგანი 5

თავი 1 5

დანაშაულობა.....8

თავი 2.....8

დანაშაულობის მიზეზები.....26

თავი 3.....26

დანაშაულობის მსხვერპლი.....50

თავი 4.....50

დანაშაულობის კონტროლი 55

თავი 5.....55

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტული წესები, როგორც დანაშაულობის საერთაშორისო კონტროლის ძირითადი მიმართულება. 81

თავი 6.....81

კრიმინოლოგიური პოლიტიკა. 87

თავი 7.....87

ლიტერატურა.....93

სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის მხარდაჭერით

შენი გზა უმაღლესი განათლებისაკენ

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტორო უფლებების მქონე სუბიექტების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო", 2013

ISBN 978-9941-9355-0-3

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34
E-mail: Lawyers.world@yahoo.com;
http://www.facebook.com/lawyers.world

კრიმინოლოგიის საგანი

თავი 1

სამართლიანი იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მიზნები და ამოცანები კრიმინოლოგიის ამოცანებთან სრულ თანხვედრაშია. ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ ხელს უწყობენ ერთმანეთს თავიანთი მიზნების და ამოცანების შესრულებაში.

კრიმინოლოგია (crimen - ლათინურად დანაშაულს, ხოლო logos — ბერძნულად სწავლებას ნიშნავს) არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს დანაშაულობას — ურთულეს სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას.

ტერმინი „კრიმინოლოგია" 1879 წელს შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ანთროპოლოგმა პაულო ტოპინარდომ, ხოლო 1885 წელს იტალიელმა იურისტმა რაფაელო გაროფალომ გამოსცა მონოგრაფია სახელწოდებით „კრიმინოლოგია".

კრიმინოლოგია საქართველოში, რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებში იურიდიული მეცნიერების ნაწილად მიიჩნევა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი ისწავლება სოციოლოგების მიერ[1].

კრიმინოლოგიური აზროვნება სათავეს იღებს ანტიკური ხანიდან; ამის ნათელი მაგალითია სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, დემოკრიტეს შრომები. მაგალითად, სოკრატე ოჯახში არასრულწლოვანის სწორ აღზრდაზე ამახვილებდა ყურადღებას, როდესაც საუბრობდა დანაშაულის თავიდან აცილებაზე. არისტოტელე დანაშაულობაზე ზემოქმედების ღონისძიებებს შორის გამოყოფდა ისეთ სოციალურ ფაქტორებს, როგორიცაა: სამართლიანი სახელმწიფო მოწყობა; კანონმდებლობის სტაბილურობა; კორუფციასთან დაკავშირებით იგი ავითარებდა აზრს, რომ პირს ერთდროულად არ უნდა ეკავოს ორი თანამდებობა; რომ ეკონომიკის განვითარება უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს; რომ ღარიბ სახელმწიფოებში პირები ანგარებისმოყვარულები არიან და ა.შ. ხოლო საშუალო საუკუნეებში, კერძოდ, 1764 წელს, იტალიელი მეცნიერი, იურისტი ჩეზარე ბეკარია მონოგრაფიაში

1 კრიმინოლოგია ინგლისის წამყვან უნივერსიტეტთა დიდ ნაწილში, ასევე, სოციოლოგების მიერ ისწავლება.

„დანაშაულთა და სასჯელების შესახებ“ („Dei delliti e delle pene“) უკვე საუბრობდა დანაშაულობაზე და მასთან ბრძოლის თავისებურებებზე.

საყურადღებოა ქართველი მეცნიერის, პროფესორ გურამ ნაჭყებიას შეხედულება კრიმინოლოგიის შესახებ; კერძოდ, მეცნიერი განმარტავს, რომ „კრიმინოლოგია სიტყვასიტყვით ნიშნავს მოძღვრებას დანაშაულზე, ხოლო შინაარსობრივად იგი აღნიშნავს მეცნიერებას დანაშაულთა მიზეზებისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ; კრიმინოლოგია „ფაქტის“ მეცნიერებაა და არა „ნორმის“, კრიმინოლოგიას თავის საგანთან მისასვლელად წინ არაფერი უძღვის, გარდა ფილოსოფიური და ლოგიკური საფუძვლებისა. ამიტომ, ტერმინ „კრიმინოლოგიის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მონიშვნა იმ სინამდვილისა, რომელსაც კრიმინოლოგია შეისწავლის“[2].

ამდენად, თუკი ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს დავეყრდნობით, ლოგიკურად მივალთ დასკვნამდე, რომ კრიმინოლოგია აერთიანებს დანაშაულობას, დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებს და სოციალური კონტროლის ღონისძიებებს. მაგრამ დანაშაულობის მიზეზებისა და სოციალური კონტროლის ღონისძიებათა განსაზღვრა ვერ მოხერხდება, თუ არ განისაზღვრა და დადგინდა რა ფენომენია დანაშაულობა, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე დანაშაულობის სახით; მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მართებული, ვიმსჯელოთ დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებსა და სოციალური კონტროლის ღონისძიებებზე. ამდენად, კრიმინოლოგიის მეცნიერებაში ცენტრალური, ძირითადი ინსტიტუტი არის დანაშაულობა.

კრიმინოლოგია, თავისი შესწავლის საგნიდან გამომდინარე, არ შეიძლება ცალსახად მივაკუთვნოთ სამართლებრივ ან სოციალურ მეცნიერებებს. თუკი გავითვალისწინებთ კრიმინოლოგიის საგნის შინაარსსა და თავისებურებებს, იგი უნდა მივაკუთვნოთ კომპლექსურ მეცნიერებათა რიცხვს.

კრიმინოლოგია დაყოფილია ზოგად და კერძო ნაწილებად. ზოგადი და კერძო ნაწილები იყოფა თავებად და ქვეთავებად. კრიმინოლოგიის ზოგადი ნაწილი შეისწავლის: „კრიმინოლოგიის საგანს“, „კრიმინოლოგიურ თეორიებს,“ „დანაშაულობას“, „დანაშაულობასა და სოციალურ დევიაციებს“ „დანაშაულობის დეტერმინანტებს“, „ვიქტიმოლოგიას“, „დანაშაულობის კონტროლს“, „კრიმინოლოგიურ პოლიტიკას“.

2 იხ. ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. თბილისი, 1998. გვ. 48.

კერძო ნაწილი აერთიანებს: არასრულწლოვანთა დანაშაულობას, ეკონომიკური კრიზისების კრიმინოლოგიას, ორგანიზებულ დანაშაულობას, პენიტენციალურ დანაშაულობას, ეკოლოგიურ დანაშაულობას, პროფესიულ დანაშაულობას, კორუფციულ დანაშაულობას, ძალადობით დანაშაულობას[3].

3 შეად. ზაურ წულაია. კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი). თბილისი, 2005. გვ. 23-24.

დანაშაულობა

თავი 2

კრიმინოლოგიის მეცნიერებაში მთავარი არის დანაშაულობა — ურთულეს სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, რომლის შესწავლა და კვლევა კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე გრძელდება. დანაშაულობის ფენომენის სრულყოფილად განუსაზღვრელობის გამო, კრიმინოლოგიაში ეჭვქვეშ დგება მისი იურიდიულ მეცნიერებად მიჩნევის საკითხი.

ტერმინი „დანაშაულობა" (criminality) იშვიათად გვხვდება ინგლისურენოვან ლიტერატურაში, უფრო ხშირად ავტორები იფარგლებიან ტერმინით „crime", „offence" (დანაშაული). დანაშაული ეტიმოლოგიურად აღნიშნავს ქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებაში დადგენილ ქცევის წესს, სოციალურ ნორმებს. რუსულ ენაზე „преступление" მომდინარეობს სიტყვიდან „переступать" და ნიშნავს ზღვარს გადასვლას, გადაცდომას[4]. ანალოგიურად განიმარტება დანაშაული გერმანულ ენაზე „vergehen, verbrechen". საზოგადოებაში დადგენილ ნორმალურ ურთიერთობათა საზღვრების დაცვა მართლზომიერად განიხილება, ხოლო ასეთი ურთიერთობების დარღვევა – არამართლზომიერად, უსამართლოდ[5].

ტერმინთა აღნიშნულ სიმრავლეს ემატება ცალკეული ქვეყნების დანაშაულის სოციოლოგიაში მიღებული ტერმინები და ცნებები: ამერიკულში „დელიქვენტობა", ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში „ტრიზნი", „ფელონიები" და „მისდიმინორი" (treasons, felonies, misdemeanours). ეს ტერმინები შუა საუკუნეებიდან არის ინგლისურ სამართალში და სხვადასხვა ცნების შინაარსს გამოხატავს. „ტრიზნი" ნიშნავს სახელმწიფოს ღალატს, „ფელონიები" – ისეთ დანაშაულთა კატეგორიებს, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა თუ სხვ. „მისდიმინორი" უფრო ნაკლებად საშიშ დანაშაულთა აღმნიშვნელია, ამ სიტყვით გამოხატავენ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულობებს, რომელნიც ემიჯნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს — სიყალბე, ცრუმოწმეობა და სხვ.

4 იხ. Энциклопедический Словарь. СПТ. 1898. Т. XXV. с. 90.

5 იხ. Duden. Standartworterbuch. 2003. S. 970-978.

ამ ტერმინებს შორის ინგლისურ და ამერიკულ კრიმინოლოგიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია „დელიქვენტობა", რომელიც განისაზღვრება ერთ შემთხვევაში, როგორც არანორმალური ქცევის გამოვლენა, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც სამართლის დარღვევისადმი ფსიქოლოგიური ტენდენცია. ის თავისებურად გამოხატავს კანონსაწინააღმდეგო მოქმედების განწყობასაც და თვით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასაც.

კრიმინოლოგებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა დანაშაულობის რაობაზე. ამ აზრთა სხვაობას ისიც უწყობს ხელს, რომ კრიმინოლოგთა ნაწილი იურისტების წრიდან არაა, მკვლევართა ნაწილი სამართლის მეცნიერების თვალთახედვით განიხილავს მოვლენებს, მაგრამ ნაწილი – ქცევის უფრო ფართო თვალთახედვით, კერძოდ, დანაშაულებრივი ქცევის მიმართებას იმ ღირებულებებისადმი, რომლებიც დომინირებს საზოგადოებაში, ასევე ნეგატიური ღირებულებებისადმი. მაგალითად, როდესაც მსჯელობენ კულტურაზე, კრიმინალური საზოგადოების ღირებულებებს განიხილავენ, როგორც სუბკულტურას. ამითაა განპირობებული ძირითადი განსხვავება დანაშაულობის რაობაში. არის თუ არა დანაშაული დამახასიათებელი ფაქტისთვის თავისთავად, თუ დანაშაულობა განისაზღვრება ეპოქით, სოციალური ჯგუფით, სახელმწიფოთი, კოდექსით[6].

თ. დოსტოევსკი ამტკიცებს, რომ „მიუხედავად თვალსაზრისთა მრავალგვარობისა, არსებობს ზოგიერთი ისეთი დანაშაული, რომელიც ყველგან და ყოველთვის, ნებისმიერი კანონით, ქვეყნის დასაბამიდან რომ ითვლება უდავო დანაშაულად და ასეთად ჩაითვლება მანამ, სანამ ადამიანი ადამიანად რჩება". ეს ნიშნავს, რომ მეცნიერული დისკუსიების გარეშე, ფაქტში უნდა ვეძებოთ დანაშაული და მისი დანაშაულებრივი ხასიათი ფაქტიდან იქნება მისაწვდომი, მაგრამ შემოწმების შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ეს ასე არაა. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ფაქტს, რომელიც სამყაროს დასაბამიდან ყოველთვის და ყველგან, ყველას მიერ ითვლებოდა დანაშაულად[7].

ფ. თანენბაუმი 1943 წელს წერდა, რომ „დანაშაულობა მუდმივია, ისევე როგორც საზოგადოება"[8]. ხოლო პროფესორი ი. კარპე-

6 იხ. კოდუა ე. სოციოლოგია. II ნაკვეთი, თბილისი, 1998. გვ. 228.

7 იხ. კოდუა ე. სოციოლოგია. II ნაკვეთი. თბილისი, 1998. გვ. 228-229.

8 იხ. Фокс В. Введение в криминологию. М., 1980. с. 7.

ცი 60-70-იან წლებში თვლიდა, რომ დანაშაულობა დამახასიათებელია მხოლოდ კლასობრივი საზოგადოებისათვის. სიცოცხლის ბოლოს კი მონოგრაფიაში „დანაშაულობა: ილუზიები და რეალობა" ის აღნიშნავდა, რომ „დანაშაულობა დამახასიათებელია ყველა საზოგადოებისათვის და არა მარტო კლასობრივისათვის"[9].

დანაშაულობის ლეგალისტური განსაზღვრა. ამ მიდგომის მომხრეთა შორის გავრცელებულია დანაშაულობის შემდეგი ტიპის ცნებები: „დანაშაულობა მთლიანი სოციალურ-სამართლებრივი მასობრივი მოვლენაა, რომლის საფუძველს შეადგენს დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედებათა და ასეთ ქმედებათა ჩამდენი პირების ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული დროის განმავლობაში"[10].

ასევე, დანაშაულობა არის სოციალური, ისტორიულად ცვლადი, მასობრივი, სისხლისსამართლებრივ-სისტემური მოვლენა, რომელიც, თავის მხრივ, ვლინდება სოციალურად საშიშ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა და მათ ჩამდენ პირთა ერთობლიობაში გარკვეულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში[11].

მსგავსი დეფინიციების არგუმენტაციას საფუძვლად უდევს დებულება, რომ დანაშაულობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი სისხლისსამართლებრივი ხასიათი, მასში სისხლის სამართლის კანონში ჩამოყალიბებულ აკრძალვათა დარღვევის ინდივიდუალური აქტების გაერთიანება, რაც საშუალებას იძლევა, განვასხვაოთ დანაშაულობა სხვა სამართალდარღვევებისა და ამორალური გადაცდომებისაგან[12].

სისხლისსამართლებრივი მიდგომიდან ნათლად ჩანს, რომ დანაშაულად და, საერთო ჯამში, დანაშაულობად ითვლება სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქცევა. ლეგალისტი კრიმინოლოგები აზუსტებენ დანაშაულობის განსაზღვრას და შემოიფარგლებიან მხოლოდ სისხლის სამართლის კანონებით. ჩვენ არ ვიზიარებთ ე.წ. ლეგალისტ-კრიმინოლოგთა მიდგომებს

9 იხ. Карпец И.И. Преступность: иллюзии и реальность. М., 1992. с. 69.

10 იხ. გ. თოდრია. დამნაშაულობა - კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. ავტორთა კრებული. გიორგი თოდრია. თბილისი, 2008, გვ. 46.

11 იხ. იქვე.

12 იხ. იქვე, გვ. 46-47.

დანაშაულობის ცნების განსაზღვრისას, ვინაიდან კრიმინოლოგიას აქვს თავისი შესწავლის საგანი – დანაშაულობა (სოციალური მოვლენა), რომელიც ცდება სისხლის სამართლის სფეროს. კრიმინოლოგიაში მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების მიჩნევა დანაშაულად არაა მართებული მსჯელობა. ჩვენი შეხედულებით, კრიმინოლოგიაში დანაშაულად მიჩნეულ უნდა იქნეს ადამიანის ისეთი ქცევა, რომელსაც საზოგადოება იმდენად საშიშად მიიჩნევს, რომ საჯაროდ რეაგირებს მასზე. დანაშაულობაზე შეხედულება კრიმინოლოგიაში არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კანონით; დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ ქმედება, რომელიც საზოგადოებისათვის მომეტებულ სოციალურ საშიშროებას წარმოადგენს. ზემოაღნიშნული მსჯელობა მოვიყვანეთ იმ იდეის წინ წამოსაწევად, რომლის თანახმად ქართულ კრიმინოლოგიაში საერთო ადგილი უნდა დაიკავოს დანაშაულებმა და ამორალურმა ქმედებებმა, ხოლო პრიორიტეტული მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, უნდა მიენიჭოს სწორედ ამორალურ ქმედებებზე სოციალურ კონტროლს და გამოვიდეთ იმ აზრიდან, რომ დანაშაულობა კრიმინოლოგიაში ამორალური ქმედების ერთ-ერთი სახესხვაობაა.

ამდენად, დანაშაულობად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედებანი, არამედ განსაკუთრებით ის ამორალური ქმედებანი, რომელნიც მომეტებულ სოციალურ საშიშროებას წარმოადგენს.

დანაშაულობის არალეგალისტური განსაზღვრა. ამ მიმართულების წარმომადგენლები დანაშაულობის ლეგალისტური განმარტების წინააღმდეგ ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოდიოდნენ. ტ.სელინი აღნიშნავდა, რომ „დანაშაულებრივის და, შესაბამისად, ტერმინ „დამნაშავის" არსის ცვალებადობა კარგად ცნობილი ფაქტია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორ უნდა შევუთავსოთ მსგავსი ცვალებადობა იმ საყოველთაო კატეგორიების შემუშავების მცდელობას, რომლებიც საჭიროა ნებისმიერი მეცნიერული კვლევის ჩასატარებლად?

კრიმინოლოგიური კვლევის ძირითადი ელემენტების იურიდიულ განსაზღვრათა უპირობოდ მიღება არღვევს მეცნიერების ძირითად კრიტერიუმს. მეცნიერი თავისუფალი უნდა იყოს, რათა თვითონ განსაზღვროს მოვლენა მის მიერვე შერჩეულ მასალაში, აღნიშნოს მისი ის თვისებები, რომლებიც

უნივერსალური ხასიათის მატარებლად ივარაუდება. არსებობს იმის უამრავი მაგალითი, როდესაც კანონში გამოხატული სახელმწიფო პოლიტიკა ზღუდავდა და ნულოვან ნიშნულამდე დაჰყავდა ან წინასწარ კარნახობდა მეცნიერული კვლევის შედეგს ამა თუ იმ დარგში"[13].

შემდგომ წლებში ამ იდეამ სულ უფრო მეტი მომხრე პოვა ამერიკელ სოციოლოგთა შორის. მ. კოლვინი, რომელიც ეფუძნებოდა რ. აგნიუსა და მ. გორფრედსონის დაძაბულობის თეორიას, ტ. ჰირშის თავშეკავების თეორიის და რ. აკერმანის სწავლების თეორიის დასკვნებს, აღნიშნავდა, რომ დანაშაულთა უმრავლესობის მიმართ იძულების სისტემის დინამიკა მოუწესრიგებელ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მის უმეტეს ქრონიკულ ან ჩვეულებრივ ფორმებში.

ანალოგიურ ვარაუდს გამოთქვამდნენ სხვა სოციოლოგებიც. ქცევის ნორმებს, როგორც ისინი აღნიშნავენ, ადგენს ხელისუფლება და არა ხალხი. ამიტომ ღიად რჩება საკითხი: საიდან იცის ხალხმა, რომ მან უნდა იმოქმედოს სწორედ ამ ნორმების შესაბამისად. ნორმები ყოველთვის არ განსაზღვრავს ქცევის ზუსტ წესებს. საჭიროა კონცეფცია, რომელიც დაადგენს, თუ რა მიაჩნია მოსახლეობას ყველაზე მისაღებ ქმედების ნორმად.

საბოლოოდ, მეცნიერები რადიკალურად ასკვნიან: ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის რეაქციას ქცევაზე და არა იმას, იგი აკრძალულია თუ არა კანონით[14].

კრიმინოლოგიაში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად დანაშაულობა განიმარტება როგორც რთული სოციალური მოვლენა, მას არა აქვს დადგენილი საზღვრები და განისაზღვრება ორი ურთიერთგანსხვავებული კრიტერიუმით: 1) სოციალური საშიშროებით, რეალური ზიანით და 2) გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით (nullum crimen sine lege)[15].

დანაშაულობის აღნიშნული ორმაგი „ბუნება", ერთი მხრივ – რეალური ზიანი, ხოლო მეორე მხრივ — გათვალისწინება სისხლის სამართლის კანონის მიერ, განაპირობებს დანაშაულობის განსაზღვრის სირთულეებს. დანაშაულობის ხსენებული ორმაგი

13 იხ. იქვე, გვ. 48.

14 იხ. იქვე, გვ. 48-49.

15 იხ. Гилинский Я.И. Девиантность, преступность, социаль-ный контроль. СПТ. 2004. с. 156.

ბუნება შესაძლოა ავხსნათ შემდეგნაირად, კერძოდ, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება კლასიკურად მივიჩნიოთ პ. ტაპენის მიერ შემოთავაზებული ფორმულა: „დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონის განზრახ დარღვევა, რომელიც ისჯება სახელმწიფოს მიერ[16]. სხვა მხრივ თუ ვიტყვით, „მოქმედებითი აქტი გვევლინება დანაშაულად იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს სისხლის სამართლის კანონს"[17].

ბოლო პერიოდში, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, შეიქმნა დანაშაულობის უფრო კონკრეტული განსაზღვრება, კერძოდ, „დანაშაულობა – ეს არის უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა. იგი არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, აქვს თავისი კანონზომიერებანი, თვისებრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, მოაქვს საზოგადოებისა და ადამიანებისათვის ნეგატიური შედეგები და მოითხოვს სპეციფიკურ კონტროლს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან"[18].

დანაშაულობის სოციოლოგიური განსაზღვრა. საყურადღებოა დანაშაულობის განსაზღვრა სოციოლოგიური თვალსაზრისით. გამოჩენილი ბერძენი მეცნიერი, სოციოლოგი დ. მასიონისი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „დევიაცია კულტურული ნორმების დარღვევის გაცნობიერებაა, მისი გაგება საკმაოდ ვრცელია, დევიაციის ერთ-ერთი სახესხვაობა არის დანაშაულობა —საზოგადოებაში ოფიციალურად მიღებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა"[19]. ამ შემთხვევაში ავტორი კონკრეტდება და დანაშაულობად მიიჩნევს დევიაციათა იმ ნაწილს, რომელიც არღვევს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

დანაშაულობის ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს გამოჩენილი კრიმინოლოგი ჯ. ჰაგანი, რომელიც აღნიშნავს, რომ: „დანაშაულობა დევიაციის სახესხვაობაა, რომელიც შედგება სოციალური ნორმებიდან გადახრილი ისეთი ქცევებისაგან,

16 იხ. Tappan P. Who is Criminal? American Sociological Review. 1947. №12. P. 100.

17 იხ. Brown S., Esbensen F.-A., Geis G. Criminology: Explaining Crime and its Context. P. 18.

18 იხ. Криминология. Под ред. В.Н. Кудрявцева, В.Е. Зминова. М., 1997. с. 22.

19 იხ. Массионис Д.Ж. Социология. СПТ. 2004., с. 259.

რომლებიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით"[20].

ჩვენი აზრით, დანაშაულობის ორიგინალურ და უფრო დახვეწილ განმარტებას გვთავაზობს ამერიკელი სოციოლოგი ა. გიდენსი. მისი შეხედულებით, „დანაშაულობაა ნებისმიერი სახის მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს"[21].

აქ მეცნიერი უპირისპირდება დ. მასიონისს და ჯ. ჰაგანს, იგი განმარტავს, რომ დანაშაულობა დევიაციის ისეთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც არა მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობას არღვევს, არამედ ყველა იმ კანონს, რომლებიც დადგენილი ან სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ.

ამდენად, მართალია სოციოლოგები დანაშაულობას დევიაციათა რიცხვს მიაკუთვნებენ, მაგრამ მის „განსაკუთრებულობაში" გულისხმობენ დანაშაულობის შემხებლობას კანონმდებლობასთან.

დანაშაულობის თეოლოგიური განსაზღვრა. თეოლოგიური მიდგომის თანახმად, დანაშაულობა არსებობდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სახელმწიფო და სამართალი. დანაშაულობის საწყისად უნდა მივიჩნიოთ ბიბლიური ადამისა და ევას მიერ ღვთის მცნების დარღვევა, გავიხსენოთ შემდგომში კაენის მიერ აბელის მკვლელობა (რომელი მუხლით რეგულირდებოდა ამ დროისათვის მკვლელობა?), სოდომის ცოდვა, რასაც თანამედროვე საზოგადოება ჰომოსექსუალიზმს უწოდებს და რომელიც სულ ახლო წარსულში, მხედველობაში გვაქვს პოსტსაბჭოთა საქართველო, მიჩნეული იყო დანაშაულად და ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით. აქედან გამომდინარე, შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაულობა წარმოიშვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე. ამდენად, შესაძლოა დანაშაულობა რელიგიურ მოვლენადაც მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ რელიგია და მეცნიერება სრულებით არ გამორიცხავს ერთმანეთს, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ და რისიც ეშინია დღეს ბევრ ჩვენს თანამედროვეს; პირიქით, ისინი თანხვდებიან და ავსებენ ერთმანეთს. ორივე — რელიგია და მეცნიერება — თავისი დასაბუთებისათვის საჭიროებს ღვთის რწმენას; მაგრამ პირველისთვის (რელიგიისთვის) ღმერთი დგას საწყისში, მეორისთვის (მეცნიერებისთვის) — მთელი აზროვნების ბოლოში. რელიგიისთვის ის წარმოადგენს

20 იხ. Hagan J. Modern Criminology: Crime, Criminal Behavior and its Control. NY.: McGraw-Hill. 1985. P. 49.

21 იხ. Гидденс А. Социология. М., 1999. с. 259.

ფუნდამენტს, მეცნიერებისთვის — მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების გვირგვინს[22].

ამდენად, ჩვენ მიერ შემოტანილი დანაშაულობის განსაზღვრის აღნიშნული ელემენტი შესაძლოა მომდევნო კვლევებისათვის სასარგებლო იქნეს.

დანაშაულობის კრიმინოლოგიური განსაზღვრა. კრიმინოლოგიაში არსებობს დანაშაულობის განსაზღვრის რამდენიმე მიდგომა. მათში ასახულია ავტორთა ფილოსოფიურ შეხედულებათა, სოციოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების, სამართლებრივ და რელიგიურ წარმოდგენათა გავლენა. თითქმის ყველა მეცნიერულ ნაშრომში ხაზგასმულია დანაშაულობის ისტორიულობისა და სოციალური ბუნების გათვალისწინების პრიორიტეტულობა. მაგრამ, მიუხედავად შემოთავაზებულ მიდგომათა მრავალფეროვნებისა, ამ ეტაპზე კრიმინოლოგებს არ ძალუძთ ცალსახად განმარტონ დანაშაულობის ცნება[23].

კრიმინოლოგიური შეხედულებით, რეალობაში არ არსებობს ისეთი ქმედება, რომელიც თავისთავად, შინაგანად იყოს დანაშაულებრივი. დანაშაულს, როგორც ინდივიდუალურ ქცევით აქტს და დანაშაულობას, როგორც სოციალურ ფენომენს არ აქვს ბუნებრივი, არსებითად განსაზღვრული ნიშნები სოციალურ სინამდვილეში; იგი მხოლოდ კრიმინალური პოლიტიკის შედეგია[24].

დანაშაულს (და საერთო ჯამში, დანაშაულობას) განსაზღვრავს კონკრეტული კანონმდებელი კონკრეტულ სახელმწიფოში და კონკრეტულ დროს, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოხატავს მმართველი ფენის, უმცირესობის ინტერესებს[25].

დანაშაული და დანაშაულობა რელაციური (შეფარდებითი) კონვენციური, სოციალური მოვლენებია.[26] არსებული თეორიების განხილვას მივყავართ დასკვნამდე, რომ დანაშაულობა სოციალური მოვლენაა.

22 იხ. www.orthodoxy.ge/metsniereba/metsnierebi.htm.

23 იხ. გ. თოდრია. დანაშაულობა — კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. თბილისი, 2008, gv. 41-42.

24 იხ. Hulsman L. Critical Criminology and the Concept of Crime. 1997. P. 71.

25 შეად: Hess H., Scheerer S. Was ist Kriminalitat? Kriminologische Journal. 1997. Heft 2.

26 იხ. The Problem of Crime. P. 13-14; Tierney J. Criminology: Theory and Context. P. 14-15; Hulsman L. Critical Criminology and The Concept of Crime; Barkan S. Criminology. A Sociological Understanding. New Jersey. 1997. P. 15.

დანაშაულობა ისტორიული წარმომავლობისაა, იგი უშუალოდ მიზეზობრივადაა დამოკიდებული სოციალურ პროცესებზე. დანაშაულობის დონე და ხასიათი განპირობებულია ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილობრივი გარემოებებით სხვადასვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში და სხვადასხვა ქვეყნებში; დანაშაულობის ფორმები განისაზღვრება კონკრეტული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ, რაც ცალსახად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არის სხვადასხვა მიდგომები დანაშაულებრივისა და არადანაშაულებრივის მიმართ.

დანაშაულობის მაჩვენებლების ზრდა დაკავშირებულია დროსა და ტერიტორიასთან. დანაშაულობა სოციალურად საშიში მოვლენაა, ზიანს აყენებს უპირველესად საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამდენად, მის აღმოსაფხვრელად უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ზომების გამოყენებას. სწორედ სოციალური ზომების გამოყენება გვაძლევს ეფექტს მასზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით და ამავდროულად, საზოგადოებას მხოლოდ სოციალური ზომების გამოყენება შეუძლია მის წინააღმდეგ. სახელმწიფოს მიერ დანაშაულობის მიმართ სასჯელის დაპირისპირება არ იძლევა სასურველ შედეგს და, პირიქით, კიდევ უფრო ზრდის დანაშაულობას ქვეყანაში.

განვიხილოთ დანაშაულობის ნიშნები: „დანაშაულობა სისხლისსამართლებრივი მოვლენაა, ვინაიდან მასში შემავალ დანაშაულთა წრეს განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ხოლო დანაშაულობის სამართლებრივი ელემენტი განასხვავებს მას ისეთი სოციალური მოვლენისაგან, როგორიცაა ამორალური გამოვლინებანი, ხოლო მართლწინააღმდეგობის ხარისხი განასხვავებს მას ისეთი სამართალდარღვევებისაგან, როგორიცაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, დისციპლინარული და სამოქალაქო-სამართლებრივი"[27]. აღნიშნულ განმარტებაში დანაშაულობა წარმოჩენილია სისხლისსამართლებრივ მოვლენად.

ამ შეხედულებათა თანახმად, სოციალური კონტროლი უნდა განვახორციელოთ მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ ქმედებებზე და გამოყენებულ უნდა იქნეს სოციალური კონტროლის მხოლოდ ისეთი საშუალება, როგორიცაა სისხლისსამართლებრივი სასჯელი. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი,

27 იხ. წულაია ზ. კრიმინოლოგია. ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003. გვ. 45.

ვინაიდან კრიმინოლოგია საბჭოთა მეცნიერების მიერ იურისტთა შესწავლის კომპეტენციად მიიჩნეოდა; მეცნიერები, მათ შორის გერცენზონი და შლიაპოჩნიკოვი კრიმინოლოგიას სისხლის სამართლის მეცნიერების შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ, შესაბამისად არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებას. აღნიშნულ საკითხს ეხმაურება პროფესორი გ. ნაჭყებია, როდესაც აღნიშნავს, რომ „...იმხანად კრიმინოლოგია უგულებელყოფილი იყო, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერების საგანში შეტანილი იყო დანაშაულობა და მისი მიზეზები"[28].

საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის რეგულირება ვერ მოხერხდება, თუ მათი საქციელი არ შეფასდება და მათი ჩადენისათვის არ დადგინდება პასუხისმგებლობის ზომა. ამა თუ იმ მოქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება, უპირველესად, არის მისდამი სახელმწიფოს დამოკიდებულების შედეგი. ასეთი შეფასების ძირითადი აზრი ისაა, რომ ადამიანის მოქმედებათა და საქციელთა მთელი მრავალფეროვნებიდან გამოიყოფა და ამა თუ იმ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ფასდება ისეთები, რომლებიც საზოგადოებას ყველაზე მეტ ზიანს აყენებენ და სოციალურად უფრო საშიშნი არიან. მოცემული ნიშანი კი ძირითადია ქმედების კრიმინალიზაციისათვის, დანაშაულებრივად მიჩნევისათვის. სისხლისსამართლებრივ კატეგორიებს და ცნებებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს არა მარტო სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის, არამედ სხვა სამართლებრივ და სოციალურ-სამართლებრივი მეცნიერებებისთვისაც, მათ შორის კრიმინოლოგიისთვისაც[29].

მიუხედავად იმისა, რომ სამართალიც სოციალური კატეგორიაა, მითითება დანაშაულობის სამართლებრივ ბუნებაზე პრინციპულ ხასიათს ატარებს. იგი ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - nullum crimen sine lege - (არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე), რაც განმტკიცებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებით, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით; საქართველოს სისხლის

28 იხ. ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. თბილისი, 1998წ. გვ. 28.

29 იხ. გ. თოდრია. დანაშაულობა — კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. თბილისი, 2008, გვ. 46-47.

ს.ს.ტ. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
№ _____

სამართლის კოდექსის პირველსავე მუხლში ნათქვამია, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას“.

დანაშაულებრივის განსაზღვრის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საზოგადოება და მისი ინტერესები. კონკრეტული ქმედების დანაშაულად მიჩნევა უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების და არა მმართველი ფენის პოლიტიკურ ნებას. სწორედ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეა, რომ კრიმინოლოგია დანაშაულობას განიხილავს, როგორც გადახრითი ქცევების სახესხვაობას, რასაც არსებობის ობიექტური საფუძველი აქვს, ვინაიდან, შესაძლოა რომელიმე კონკრეტული ასოციალური ქცევა სახელმწიფოს კოდექსის მიერ არ იყოს აღიარებული დანაშაულად, თუმცა იგი არსებითად არღვევდეს ეროვნულ ტრადიციებს, მორალის ნორმებს.

აღვნიშნავ იმასაც, რომ დანაშაულის კონტროლისა და მისი თავიდან აცილებისათვის მორალზე დაფუძნებული შინაგანი კანონების დაცვას ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა. ყველა კანონი არ იწერება, მთავარი – შინაგანი კანონებია.

დანაშაულობა ისტორიული მოვლენაა. საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, მისი სოციალურ-ეთიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ობიექტური მიზეზების გამო ასოციალური ქმედებანი თვისობრივად და ხარისხობრივად იცვლება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასახვა პოვა ისეთმა მუხლებმა, როგორიცაა „შიდსის შეყრა“ (სსკ, 131-ე მუხლი), „გენეტიკური მანიპულაცია“ (სსკ, 136-ე მუხლი); „კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა“ (სსკ, 284-ე მუხლი), ეგმ-ის დაზიანებული პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება“ (სსკ, 285-ე მუხლი)... მსგავსი ქმედებები არ შეიძლებოდა ჩადენილი ყოფილიყო შიდსის ვირუსის აღმოჩენამდე, კომპიუტერის გამოგონებამდე და მის მასობრივ გამოყენებამდე. ისტორიული ანალიზი მოწმობს, რომ მსგავსი ასოციალური ქმედებები განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური, სამცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური და სხვა

მსგავსი ფაქტორების არსებითი ცვლილებებით. ამასთან, ზოგიერთი ქმედების დანაშაულებრივად მიჩნევა, ხშირ შემთხვევებში, დაკავშირებულია მმართველი ფენის პოლიტიკურ ნებასთან (მაგალითად, 2004 წელს საქართველოში ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, მმართველი ფენის პოლიტიკური ნების საფუძველზე, მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის – „ცილისწამების“ დეკრიმინალიზაცია, რომელიც ამჟამად რეგულირდება საქართველოს კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, ასევე, სამოქალაქო კოდექსით) და ამა თუ იმ მოვლენის მიმართ იდეოლოგიური და რელიგიური შეხედულებით. თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნავთ შუასაუკუნოვან ინკვიზიციურ პროცესებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო მთელი ევროპისათვის, სადაც ადამიანებს სდევნიდნენ და აწამებდნენ განსხვავებული რელიგიური შეხედულებების გამო. ასევე, გავიხსენოთ ლენინისა და ჰიტლერის ეპოქები, როცა ხორციელდებოდა იმ პირების მასობრივი დევნა, რომლებიც არ იზიარებდნენ ერთ შემთხვევაში ბოლშევიკურ, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაშისტურ იდეოლოგიას.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა დროს დანაშაულად ცნობილი ქმედებანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ერთ სახელმწიფოში დანაშაულად მიჩნეული ქმედება, მეორე სახელმწიფოში ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა; გარდა ამისა, ის რაც ადრე დანაშაულად ითვლებოდა, მაგალითად ჰომოსექსუალიზმი, დღეისათვის დეკრიმინალიზაცია განიცადა და უდანაშაულოდ ითვლება, თუმცა, ამავე დროს, იგი ზიანს აყენებს საზოგადოების ნორმალურ განვითარებას.

დანაშაულობა მასობრივი მოვლენაა. ახლო წარსულში, დარეგისტრირებული დანაშაულების საერთო რიცხვმა 2000 წლისათვის მთელ მსოფლიოში შეადგინა 500 მილიონი[30].

დანაშაულობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანდათანობით და ეტაპობრივად იზრდება იმის განურჩევლად, თუ რომელი საზოგადოებრივი სისტემაა ამა თუ იმ სახელმწიფოში — კაპიტალისტური, სოციალური თუ შერეული. სამწუხაროდ, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულობის მატება შეწყდება. მეცნიერ-კრიმინოლოგების გათვლებით, დანაშაულობის საშუალო

30 იხ. Лунеев В.В. Юридическая статистика. М., 2000.

წლიური მატება მსოფლიოში უახლოეს წლებში მოსალოდნელია 3-5%-ით[31]. დარეგისტრირებული დანაშაულების მოსალოდნელი საშუალო კოეფიციენტი შეადგენს 6-8 ათასს 100.000 მოსახლეზე, მათი ფაქტიური რაოდენობა კი იქნება დასახელებულ ციფრებზე გაცილებით მეტი[32]. დანაშაულობის მატება მიმდინარეობს ნორმალური საზოგადოებრივი თანაცხოვრების გარემოს ნგრევის, ოჯახების რღვევის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, თვითმკვლელობათა და სხვა გადახრითი ქცევების გავრცელების პარალელურად. საზოგადოების აღნიშნული ავადმყოფური ცვლილებანი მიმართულია კაცობრიობის თვითგანადგურების ტენდენციისაკენ[33]. გაეროს გენმდივნის, გაეროს წევრი ქვეყნების წარმომადგენლების, ყველა საერთაშორისო, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2010 წლის მიმართვაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ: „კაცობრიობამ, როგორც მონოპოლიურმა სახეობამ, თვითგადარჩენის ინსტინქტი დაკარგა და საკუთარი თავის სახით სასიკვდილო მტერი შეიძინა, ჩვენ ვკარგავთ თანამედროვეობის გლობალური რისკის აღმოფხვრისთვის საჭირო დროსა და შესაძლებლობას...[34]. დასახელებული პროცესები ძნელად საკონტროლებელია სახელმწიფოს მიერ. ჯერჯერობით ცვლილებები უკეთესობისაკენ არ შეიმჩნევა. იმისათვის, რომ განხორციელდეს დადებითი ძვრები, საჭიროა, ალბათ, კიდევ უფრო დიდი გლობალური კრიზისი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს და აიძულოს მსოფლიო საზოგადოება, რომ გააცნობიეროს, თუ რას უქადის კაცობრიობას მომავალში დანაშაულობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საზოგადოება შეეჩვია იმ გარემოებას, რომ დანაშაულობა სოციალური ცხოვრებისათვის ჩვეულებრივი დამახასიათებელი მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მოსახლეობაში განსაკუთრებით გავრცელებულ დანაშაულთა სახეობებს, მაგალითად, ქურდობას, ძარცვას, მექრთამეობას, ნარკოტიკების მოხმარებას და ა.შ. თუმცა,

31 იხ. Лунеев В.В. Преступность XX века. М.,2005. с. 455.

32 იხ. იქვე, გვ. 458-459.

33 იხ. Бурлаков В.Н., Гилинский Я.И., Шестаков Д.А. Преподавание криминологии в современных условиях. Вестн. СПБГУ. 1996. Сер. 6, вып. 3. с. 122.

34 იხ. www.presa.ge. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.11.2008წ.

მოსახლეობის მოთმინება დანაშაულობის განსაკუთრებით საშიში გამოვლინებების მიმართ, განუსაზღვრელი არ არის; აშკარაა, რომ არსებობს ზღვარი, რომლის იქით შესაძლოა წარმოიშვას სტიქიური რეაქცია, იმდენად, რამდენადაც დანაშაულობის წინაშე შიში და გამოუვალი მდგომარეობის არსებობა ყოველდღიური პრობლემა ხდება და ავსებს საზოგადოების მოთმინების ფიალას[35]

დანაშაულობის დადგენის სხვა პრობლემები, ლატენტური დანაშაულობა. დანაშაულობის კვლევისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით დანაშაულობის ისეთ სახესხვაობას, როგორიცაა ლატენტური დანაშაულობა. ლატენტური დანაშაულობა წარმოადგენს ფაქტობრივად ჩადენილ დანაშაულთა რეალურ, მაგრამ ფარულ ან დაურეგისტრირებელ ნაწილს[36]; ლატენტური დანაშაულობა ხშირად მრავალგზის აჭარბებს დანაშაულობას, რომლის შესახებაც ინფორმირებულია სისხლის სამართლის იუსტიცია, მისთვის ცნობილი დანაშაულობა კი არის ის ნაწილი, რომელიც რეგისტრირდება და რომელზეც აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. სხვაობა დარეგისტრირებულ და ფაქტიურ დანაშაულობას შორის ქმნის ლატენტურ დანაშაულობას. ექსპერტთა შეფასებით, მთელ რიგ ქვეყნებში ლატენტური დანაშაულობა დარეგისტრირებულს აღემატება 3-5 - ჯერ. წარმოქმნის მექანიზმის მიხედვით, ლატენტური დანაშაულობა იყოფა სამ შემადგენელ ნაწილად:

1. განუცხადებელი დანაშაულები და კანონდარღვევები, რომლებიც ჩადენილ იქნა, მაგრამ დაზარალებულებმა, მოწმეებმა და სხვა მოქალაქეებმა, რომელთა მიმართაც იქნა ჩადენილი ქმედება, რის თვითმხილველებიც ისინი იყვნენ და რის შესახებაც მათ ინფორმაცია ჰქონდათ, არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს;
2. დაურეგისტრირებელი დანაშაულები და კანონდარღვევები, რომელთა შესახებ სამართალდამცავები ინფორმირებულნი იყვნენ, მაგრამ მათ ისინი არ დაარეგისტრირეს და არ გამოიძიეს სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე;
3. დაუდგენელი დანაშაულები და კანონდარღვევები,

35 იხ. Лунеев В.В. Преступность XX века. М.,2005. с. 464.

36 იხ. Босхолов С.С. Латентные преступления против личности. Минск. 1984., с. 24; წულაია ზ. კრიმინოლოგია. ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003. გვ. 91-94

რომელთა შესახებაც გაცხადებული იყო, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დაუდევრობის, არაპროფესიონალიზმის, არასწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის და სხვა მსგავსი მიზეზების გამო, ვერ მოახერხეს ფაქტის დადგენა.

ლატენტურ დანაშაულობათა მასშტაბების სრული სიზუსტით განსაზღვრა, როგორც წესი, შეუძლებელია. მათი დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა სოციოლოგიური, სტატისტიკური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის შედარებითი ანალიზით, სამედიცინო დაწესებულებათა მონაცემებით, რომლებიც შეეხება სხეულის სხვადასხვა დაზიანებებს, სისხლის სამართლის აღრიცხვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და დისციპლინურ გადაცდომათა მონაცემების შეპირისპირებით, საჩივრების სტატისტიკით, მოქალაქეთა წერილობითი განცხადებებით სამართალდამცავ ან სხვა სახელმწიფო ორგანოებში, მოქალაქეთა, მსჯავრდებულთა და პატიმართა გამოკითხვით, სპეციალისტთა საექსპერტო შეფასებებით. დადასტურებულია, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის დაბალია ლატენტურობის კოეფიციენტი. ზოგიერთი საერთაშორისო კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, განუცხადებელი დანაშაულები და კანონდარღვევები 50 პროცენტზე მეტს შეადგენს ფაქტობრივად ჩადენილებისაგან განსხვავებით. სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ისეთი ცალკეული დანაშაულები, როგორიცაა გარყვნილი ქმედება სსკ, მუხ. 140, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სსკ, მუხ. 141, მომხმარებლის მოტყუება სსკ, მუხ. 219 და სხვა დანაშაულები თუ კანონდარღვევები შესაძლოა მაღალი ლატენტურობით გამოირჩეოდეს, ვიდრე მკვლელობები, სხეულის მძიმე დაზიანებები და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიკუთვნებული დანაშაულები; აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ რაც უფრო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთან გვაქვს საქმე, მით უფრო მაღალია მისი ლატენტურობის ხარისხი. მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი, დადგინდა, რომ ადამიანების 85% მზადაა განცხადებით მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს,

თუკი მათთვის ცნობილი გახდება განზრახ მკვლელობის ფაქტი, 36% - ხულიგნობის, 2% - უკანონო აბორტის შესახებ[37].

დარეგისტრირებული და გამოუძიებელი დანაშაულები, სისხლის სამართლის კუთხით, ფორმალურად გვევლინება კანონიერ მოვლენად, თუმცა კრიმინოლოგიური ხედვით, რეალურად ჩადენილი, მაგრამ დაუმტკიცებელი დანაშაულები ლატენტურად შეირაცხება. ლატენტურ დანაშაულობათა არსებობა მოწმობს, რომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ არ იციან რეალურად არსებული კრიმინოლოგიური ვითარება ქვეყანაში და არ შეუძლიათ მიიღონ ადეკვატური ზომები დანაშაულობის სოციალური კონტროლისათვის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია; ლატენტური დანაშაულობის არსებობა არღვევს ადამიანთა უფლებებს, ხოლო ლატენტურობის დონის შემცირება და მისი სისტემატური მონიტორინგი საშუალებას მოგვცემს ეფექტური ზომები შევიმუშაოთ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განსახორციელებლად.

დანაშაულობა და სოციალური დევიაციები. ისეთი ქმედებანი, როგორიცაა ნარკოტიკების მოხმარება, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები და თვითმკვლელობა (სოციალური დევიაციები), საზღვარგარეთის კრიმინოლოგიაში „უმსხვერპლო დანაშაულობად იწოდება“[38]. „უმსხვერპლო დანაშაულობის“ არსი მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ: ობიექტური ზიანი, რომელიც მოაქვს უარყოფით, გადახრით ქცევას (დევიაციას) და საზოგადოების სუბიექტური შეფასება აღნიშნული ზიანის მიმართ, ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთი შეუთავსებლობა დაკავშირებულია საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპების ცვალებადობასთან, მაგალითად, საზოგადოების ნაწილი სათანადოდ ვერ აფასებს ნარკომანიის გავრცელებას, პროსტიტუციისგან მიღებულ ზიანს, თვითმკვლელობათა რიცხვს და სხვა მსგავს მოვლენებს. 90-იან წლებში აშშ - სა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საფუძველი ჩაეყარა მიმდინარეობას, რომლის თანახმად, ე.წ. „უმსხვერპლო დანაშაულები“, როგორიცაა — ნარკოტიკების მოხმარება, პორნოგრაფია, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, მამათმავლობა და სხვა — ამოღებულიყო

37 იხ. Босхолов С.С. Латентные преступления против личности. Минск. 1984., с. 25-26.

38 შეად. Schur E. Crimes Without Victims. Englewood Cliffs. 1965.

სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან და მომხდარიყო მათი დეკრიმინალიზაცია; თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასეთ დროს სწორედ მსხვერპლთან გვაქვს საქმე. კერძოდ ასეთი ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, ზიანს აყენებენ საზოგადოებას, თავიანთ და სხვის ოჯახებს, მოზარდებსა და ახალგაზრდობას; ხოლო მოსაზრება, რომ ნარკოტიკების მოხმარება, ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები, თვითმკვლელობა და სხვა ასოციალური მოვლენები სუბიექტის უაღრესად პირადული პრობლემაა, მისი მორალური უფლებაა, ჩვენი აზრით, მცდარი ლოგიკაა. მართალია, ცხოვრებისეული პირობები ყოველ კონკრეტულ ინდივიდს სხვადასხვაგვარი აქვს, როგორც კარგი, ისე ტრაგიკული, მაგრამ თუკი მთლიანობაში განვიხილავთ, მაშინ შეუძლებელია იგი არ მივიჩნიოთ სოციალურ ბოროტებად, რომელსაც არა აქვს მორალური გამართლება. პირები, რომლებიც ხდებიან ნარკომანიის, ალკოჰოლიზმისა თუ სხვა ასოციალური გამოვლინებების მსხვერპლნი, ალბათობის მაღალი ხარისხით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბოლოო ჯამში ყალიბდებიან პოტენციურ დამნაშავეებად. ისინი ვეღარ უმკლავდებიან ცხოვრებისეულ სირთულეებს, ვერ გამოიმუშავებენ საარსებო მინიმუმს, ამავე დროს, არ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ თავიანთი გადახრითი მოთხოვნილებები და ძალაუნებურად, თავისთავად, ხდებიან დამნაშავეები (დაუოკებელი მოთხოვნილებიდან ალკოჰოლის, ნარკოტიკის მიღებიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან ჩაიდინონ ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა და ა.შ.); ხოლო ისეთი მოვლენა, როგორიცაა თვითმკვლელობა, შუა საუკუნეების რუსეთში მიჩნეული იყო დანაშაულად და კვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის წესით. თვითმკვლელობის ნებისმიერი მცდელობისათვის დაწესებული იყო უმკაცრესი სისხლისსამართლებრივი სანქციები, რადგან თვითმკვლელობა, ისევე როგორც სხვა სახის ასოციალური მოვლენები, მიჩნეული იყო მომეტებულ სოციალურ საშიშროებად, რაც საბოლოო ჯამში აფერხებს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას[39]. თუმცა ნებისმიერი ასოციალური ქმედების დანაშაულად მიჩნევაც, ბუნებრივია, უტოპიამდე მიგვიყვანს. კანონთა სიმრავლე სახელმწიფოში იგივეა, რაც დიდი რაოდენობა მკურნალებისა: ნიშანი ავადმყოფობისა და უძლურებისა, –

39 იხ. Социальные отклонения. М., Юридическая литература. 1989, с. 106.

აღნიშნავს სპენსერი.

დასკვნის სახით, დანაშაულობა შესაძლოა მივიჩნიოთ მოვლენად, რომელიც ხასიათდება ორი კრიტერიუმით – განსაზღვრულის და განუსაზღვრელის ერთობლიობით. განსაზღვრულობის კრიტერიუმი ვლინდება დანაშაულად ცნობილ ქმედებათა წრით, და იმ ამორალური ქმედებებით, რომლებიც მომეტებულ სოციალურ საშიშროებით გამოირჩევიან (მაგ: ნარკომანია, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი, თვითმკვლელობა, აზარტული თამაშები). მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა მხედველობაში მივიღოთ დებულება, რომ კრიმინოლოგია არის მეცნიერება დანაშაულობისა და განსაკუთრებით საშიშ ამორალურ ქმედებათა შესახებ, რომ მათი შემეცნება შეადგენს მის აზრობრივ დატვირთვას.

განუსაზღვრელის სივრცე კი იწყება იქ, სადაც მთავრდება ნორმირებული ცნებები და კრიმინოლოგია ისწრაფვის უფრო ღრმად შეიცნოს დანაშაულობის კანონზომიერებანი და მასზე სოციალური კონტროლის თავისებურებანი, რის გამოც კრიმინოლოგია იძულებულია მიმართოს ცნებებს, კატეგორიებს, ემპირიულ მონაცემებს იურისპრუდენციაში, სოციოლოგიაში ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში.[40]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დანაშაულობა უნდა მივიჩნიოთ რთულ სოციალურ-სამართლებრივ მოვლენად, რომელიც ხასიათდება საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხით და აერთიანებს ყველა იმ ქმედებას, რომელიც არღვევს როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილ ან სანქციონირებულ ქცევის წესს, ასევე, კონკრეტულ სახელმწიფოში არსებულ ისტორიულ-ნაციონალურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

40 შეადგ. М.М. Вадаев. предмет и пределы криминологии категории науки и феномены практики. криминологический журнал. Врянск. 2004

თავი 3

დანაშაულობის ობიექტური მიზეზები. კრიმინოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დანაშაულობათა მიზეზებსა და დეტერმინაციის პროცესებზე ყურადღების გამახვილება, მოქალაქეთა შეკავება დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაგან. პროფესორი გ. ნაჭყებია განმარტავს, „...საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ. ამიტომ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მორალურია ამ პირობებში დანაშაულს ვებრძოლოთ სასჯელის მეშვეობით, მაშინ, როდესაც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისათვის გადამწყვეტია დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების წინააღმდეგ სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური და სხვა ამგვარი ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, ამ ღონისძიებათა ეფექტურობისათვის უნდა იზრუნოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მას უფლება ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ დააწესოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დამხმარე საშუალება“[41].

დანაშაულობასა და დანაშაულობის სოციალური კონტროლის ეტაპებს შორის უაღრესად მნიშვნელოვანია დანაშაულობის მიზეზების გამოვლენა, ვინაიდან სოციალური კონტროლი უპირატესად უნდა განხორციელდეს იმაზე, რაც წარმოშობს დანაშაულობას. საკითხი რთულია იმდენად, რამდენადაც ბუნებაში არ არსებობს ერთი საერთო ძირითადი მიზეზი, რომელიც ამომწურავად ახსნიდა დანაშაულობის წარმოშობას.

ცნობილია, რომ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსის შეცნობას საფუძვლად უდევს მატერიალისტური გაგება, რომლის თანახმად, მიზეზობრიობა არის ობიექტური კავშირი ორ მოვლენას შორის, რომელთაგან ერთი (მიზეზი), გარკვეული პირობების შემთხვევაში, წარმოშობს მეორეს (შედეგს). მიზეზობრიობის მატერიალისტური და იდეალისტური გაგება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიზეზობრიობის კატეგორიის შესწავლისა და ცხოვრებისეული რეალობის მიმართ მისი გააზრების შემთხვევაში. ძირეული განსხვავება ისაა, რომ მიზეზობრიობის მატერიალისტური გაგება ძირითადად დაკავშირებულია დებულებასთან, რომლის თანახმად მიზეზობრიობის შეცნობის წყაროს წარმოადგენს ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონზომიერებანი; ხოლო იდეალისტურის მიხედვით, ეს წყარო არის ადამიანის გონება, მისთვის დამახასიათებელი ცნობილ აპრიორულ (ცდისგან დამოუკიდებელი, იმთავითვე არსებული) ჭეშმარიტებათა შეცნობის უნარი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მტკიცებები მიზეზობრივი კავშირის შესახებ პირობითია, სუბიექტურია. აღნიშნულ პოზიციას ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ამერიკელი მეცნიერი ტ. სელინი, რომელიც მიიჩნევს, რომ: „მეცნიერებამ უარი უნდა თქვას მიზეზობრივ კონცეფციაზე და მას უნდა მიმართოს მხოლოდ გარკვეულ ელემენტებსა და ფაქტებს შორის ფუნქციური ურთიერთობების აღსანიშნავად“[42]. არ შეიძლება უარვყოთ ფაქტი, რომ საზოგადოებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში მიზეზობრივი კავშირის დადგენა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ბუნებაში, მაგრამ კრიმინოლოგიის განვითარებამ და პრაქტიკაში მისი რეკომენდაციების დანერგვამ საკმაო დამაჯერებლობით დაგვანახა მიზეზობრივი კავშირებისა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების დადგენის რეალობა[43].

გასული საუკუნის მეცნიერთა უმრავლესობა დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესახებ გვთავაზობს საინტერესო თეორიებს. პროფესორი მ. შარგოროდსკი ამასთან დაკავშირებით წერდა: „დანაშაულობის მიზეზებად, ფართო მნიშვნელობით, ითვლება ყველა ის გარემოება, რომელთა გარეშე ის ვერ წარმოიშობოდა და ვერ იარსებებდა; მაგრამ ყველა ეს გარემოება ერთსა და იმავე როლს კი არ ასრულებს, არამედ ზოგი მათგანი დანაშაულებრივი მოტივების მხოლოდ რეალურ შესაძლებლობას ქმნის, მეორენი კი ამ შესაძლებლობას რეალო-

41 იხ. ნაჭყებია გ. „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“. თბილისი, 2002, გვ. 3.

42 იხ. წულაია ზ. კრიმინოლოგია. ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003, გვ. 56.

43 იხ. იქვე.

ბად აქცევენ; ამიტომ, პირველნი უნდა განვიხილოთ, როგორც პირობები, მეორენი კი – როგორც მიზეზები. დანაშაულობის მიზეზები, როგორც საერთო მიზეზები, ის აქტიური ძალებია, რომლებიც თავიანთი ქმედებით წარმოშობენ მის არსებობას. ამრიგად, კონკრეტული დანაშაულის მიზეზებია ის აქტიური ძალები, რომლებიც იწვევს ინდივიდში ინტერესს და მოტივებს მის განსახორციელებლად"[44]. პროფესორი კუზნეცოვა აღნიშნავდა, რომ დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ ფაქტორებში ერთიანდება ეკონომიკის, პოლიტიკის, ფსიქოლოგიის, იურისპრუდენციისა და სოციალური პრაქტიკის ელემენტები; ხოლო დანაშაულობის მიზეზების გაშიფვრით შესაძლებელია მეცნიერულ საფუძველზე შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ეფექტური ზომები დანაშაულობასთან – ამ ნეგატიურ-სოციალურ მოვლენასთან საბრძოლველად"[45]. ამ დებულებებიდან ნათლად ჩანს, რომ სოციალური კონტროლი უნდა განხორციელდეს დანაშაულობის გამომწვევ ყველა მიზეზსა და პირობაზე, რაც მეტად რთული და შრომატევადი საქმეა, თუმცა, ამავე დროს, საკმაოდ აუცილებელიც.

დანაშაულობის ეკონომიკური მიზეზები. ამერიკელი და ინგლისელი სოციოლოგები დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებში, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფენ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, რომელთა უმნიშვნელოვანესი ასპექტია დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებში ეკონომიკური ფაქტორის წამოწევა. აღნიშნული გარემოება, პირველ რიგში, აიხსნება იმით, რომ საზოგადოებაში მკვეთრი სხვაობაა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ხოლო ეს სხვაობა მძლავრად ზემოქმედებს დანაშაულებრივი მიდრეკილების წარმოქმნაზე. ისტორიულად, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების დამსახურება ისაა, რომ მისი მიმდევრები (ტურატი, ბონგერი) სამართლიანად აკრიტიკებდნენ სხვა თეორიებს, რომელთაც არ სურდათ დანაშაულობის მიზეზების დანახვა სოციალურ სინამდვილეში ინდივიდის, მისი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებების საზღვრებს გარეთ[46].

44 იხ. Шаргородский М.Д. Преступность, ее причины и условия в социальном обществе. Преступность и ее предупреждение. М., 1966, с. 302.

45 იხ. Кузнецова Н.Ф. Проблемы криминологической детерминации. М., 1984, с. 1.

46 იხ. გოძიაშვილი ი. კრიმინოლოგია. თბილისი, 1998, გვ. 67-71.

ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულია სახელმწიფოში მცხოვრები პრაქტიკულად ყველა ადამიანი. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური საბაზრო ურთიერთობანი მხოლოდ საქონლის ბაზრით არ შემოიფარგლება, მის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამუშაო ხელის ბაზარი, რაც ასევე დაკავშირებულია უმუშევრობასთან. თუკი 2004 წლამდე საქართველოში ეკონომიკური სისტემა ადმინისტრაციულად მართვადი იყო და უმუშევრობა შენიღბული (მაგალითად, ადამიანები დასაქმებულნი იყვნენ, მაგრამ არსებული ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ დადგენილ საარსებო მინიმუმსაც ვერ შეადგენდა), 2004 წლის შემდგომ გატარდა რეფორმები საბაზრო ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით უმუშევრობამ მიიღო ღია, ოფიციალური ხასიათი. ამას გარდა, საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის არასათანადო გამომუშავება, ექსპორტი დაბალი მაჩვენებლები არის არა მარტო მოქალაქეების მატერიალური ცხოვრების გაუარესების მიზეზი, არამედ, კონკრეტული ადამიანების მიერ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის მიზეზიც, რაც, ხშირ შემთხვევაში, მათ მიერ მორალურად გამართლებულ ქმედებადაც კი მიიჩნევა. საქართველოს მაგალითზე, თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები — უმუშევრობა, სიღარიბე, ბრძოლა საკუთრების დაუფლებისათვის და კაპიტალის დაგროვების სხვა ფაქტორები ჯერ კიდევ არაა დაძლეული, რის გამოც შეიმჩნევა მოსახლეობის მიდრეკილება აგრესიულობისაკენ, რაც ანგარებითი და ძალადობითი დანაშაულობის წარმოშობის უმთავრესი პირობაა. ანგარებით დანაშაულებს ძირითადად სჩადიან სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი ე.წ. პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის წარმომადგენლები, ხოლო ძალადობრივ დანაშაულებს ადგილი აქვს მოსახლეობის დაბალ, ღარიბ ფენებში, რაზეც მეტყველებს დანაშაულობის ისეთი სახეების მატების ტემპები, როგორიცაა: ხულიგნობა — 1.06%, მკვლელობის მცდელობა – 0.45%, გაუპატიურება — 0.05%, ადამიანის მოტაცება — 0.01%[47]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული ძალადობრივი დანაშაულობის ზრდა მსოფლიოს თითქმის ყველა

47 იხ. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. ავტორთა კრებული. გიორგი ღლონტი. თბილისი, 2008, ნაწილი II, თავი VI, გვ.148.

ქვეყანაში ფიქსირდება. აშშ - ში განზრახ მკვლელობების რაოდენობა 1994 წლიდან გაიზარდა 3.2%-ით, რუსეთში – 10.5%-ით; ხოლო ყველაზე უფრო მაღალი პიკი აღინიშნა იტალიასა და საბერძნეთში — 49% და 33%[48]. ჩვენს ქვეყანაში არსებული უმუშევრობისა და სიღარიბის უმწვავესი პრობლემების ფონზე, ეროვნული წარმოების გაზრდა უდიდეს მნიშვნელობას ატარებს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით. ინვესტიციები უნდა გახდეს ადგილობრივი წარმოების სტიმულატორი. საინვესტიციო გარემო საქართველოში, ევროპულ განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუარესებულია, რაც განაპირობა რუსეთ-საქართველოს სამხედრო ომმა 2008 წლის აგვისტოში. რაც პრაქტიკულ ვითარებაზეც აისახა და ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება შემცირდა. 2007 წელს საქართველოში 1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, მაგრამ დასაქმების პრობლემის მოგვარებისა და ზოგადი სოციალური ფონის გამოსწორების ტემპები სასურველზე აშკარად დაბალია.

როდესაც განვიხილავთ საკითხს, თუ რატომ ვერ უზრუნველყო ინვესტიციებმა სოციალური ფონის ზრდა და, შესაბამისად, ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესება, რამდენიმე საკითხია განსახილველი: კერძოდ, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისათვის მთავარ მამოძრავებელ ძალად 2005 წლიდან აგრესიული პრივატიზაცია გამოცხადდა. პრობლემა ისაა, რომ ამ ტიპის ინვესტიციებს სჭირდება მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საშუალო და ზედა ფენას. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ საშუალო და ზედა ფენის წარმომადგენელთა მდგომარეობა შეიძლება მართლაც გაუმჯობესდეს, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებზე. გამომდინარე არსებული ეკონომიკური რეალობიდან, სახელმწიფო უნდა შეეცადოს გადაწყვიტოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა — თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ მთავარი პრობლემა სიღარიბის დაძლევაა, რაც, თავის მხრივ, უმუშევრობას უკავშირდება, ამ უკანასკნელის დაძლევა კი დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელების

48 იხ. იქვე.

პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია, მოზიდულ უნდა იქნეს ისეთი ტიპის ინვესტიციები, რომლებიც გაზრდის სამუშაო ადგილებს. ასეთი შედეგების მოტანა კი მხოლოდ ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების წახალისებას შეუძლია. ინვესტიციები ყველაზე მიმზიდველი სწორედ ექსპორტზე ორიენტირებულ სფეროებში უნდა იყოს.

ეკონომიკური კრიზისების კრიმინოლოგია. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისის ნეიტრალიზება ან, უკეთეს შემთხვევაში, თავიდან აცილება. ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად კი საკმარისი არ არის ამ პრობლემისადმი მხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი კრიმინოლოგიური და იურიდიული ანალიზი; კერძოდ, გამოკვლეულ უნდა იქნეს ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები და დაიგეგმოს მისი თავიდან აცილების კომპლექსური ხასიათის (სამართლებრივი, კრიმინოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური) ღონისძიებანი. ბოლო პერიოდში სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ კრიზისს უპირატესად იწვევს ორი ძირითადი მიზეზი - კორუფცია და ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც ეჭვგარეშეა, რომ უმთავრესად სწორედ კრიმინოლოგთა შესწავლის კომპეტენციად მიიჩნევა.

ეკონომიკური კრიზისები ქვეყანაში არსებულ პრობლემათა შორის ყველაზე სახიფათოა. იგი, ფაქტობრივად, აფერხებს ქვეყნის განვითარებას და, რაც ყველაზე საშიშია, მისი სამიზნე ქვეყნის მოსახლეობაა. ეკონომიკური კრიზისები გლობალური, რეგიონალური და ცალკეული სახელმწიფოების დონის მოვლენაა. აქედან გამომდინარე, იგი მთელი სიგრძე-სიგანით შეეხო საქართველოსაც. ქვეყანაში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სწორედ ეკონომიკური კრიზისები ქმნის პირობებს დესტაბილიზაციისათვის, სოციალური და დემოგრაფიული ვითარების გაუარესებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნის სერიოზულ პრობლემებს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ როგორც საქართველოში, ისე კავკასიის რეგიონში არ არსებობს სპეციალიზებული სამეც-

ნიერო-კვლევითი დაწესებულება ეკონომიკური კრიზისების კრიმინოლოგიური კვლევების პროფილით. ეკონომიკური კრიზისი ხელს უწყობს არა მარტო ფულად ინფლაციას, საქონლის დეფიციტს, მაღალ ფასებს, სახელმწიფო სტუქტურების მეტ-ნაკლებად მცირე დაფინანსებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტებას, არამედ განაპირობებს მოსახლეობის სოციალურ დაუცველობას, გაღატაკებას, უმუშევრობას და სხვა უარყოფით მოვლენებს. ყოველივე ეს კი მყარ ნიადაგს ქმნის ეკონომიკური, კორუფციული და სხვა სახის დანაშაულობათა ზრდისათვის. თუ თვალს გადავავლებთ ქვეყანაში რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკას, დავინახავთ, რომ მათ წილში ეკონომიკურ დანაშაულს საკმაოდ მაღალი ადგილი (33%) უკავია[49]. ეკონომიკური კრიზისები ხელშემწყობ პირობებს ქმნის კორუფციულ დანაშაულთა ჩასადენად. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კორუფციულ დანაშაულობათა ჩადენა არის გარდაუვალი.

თუ ეკონომიკური კრიზისების კრიმინოლოგიური ასპექტით შესწავლა არ ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არა აქვს საშუალება განსაზღვროს ამ სახის დანაშაულებებთან ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა, შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია.

აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა 2008 წელს პირდაპირი მითითება გააკეთა კორუფციასა და სიყალბეზე, როგორც ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ უმთავრეს მიზეზებზე; ანალოგიური განცხადება გააკეთეს მსოფლიოს რელიგიურ კონფესიათა ლიდერებმა (იერუსალიმის პატრიარქი თეოფილე III, რომის პაპი ბენედიქტე XVI, დალაი ლამა XIV)[50].

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტების სტუდენტებმა შეისწავლონ კრიმინოლოგიის აღნიშნული დარგი; ვიტყვით იმასაც, რომ ამ დარგის იმპლემენტაცია ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში ერთგვარი ნოვაცია იქნება.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ მიმართულებით სპეციალური

49 www.supremecourt.ge

50 იხ. http://zeitgeist.org.ru

ლიტერატურა არ არსებობს, სასურველია, მომზადდეს ლექციების კურსი. ავტორებად შესაძლებელია შეირჩეს ეკონომიკურ კრიზისზე მომუშავე მეცნიერები; რაც შეეხება სამართალმცოდნეებს, აქ უნდა იქნეს გათვალისწინებული დარგთა ის სიმრავლე, რაც ამ პრობლემას უკავშირდება.

სასწავლო პროგრამისათვის ჩვენ მიერ შემოთავაზებულია შემდეგი საკითხები: ეკონომიკური კრიზისის კრიმინოლოგიის ცნება, მიზნები და ამოცანები; თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური მოდელების თავისებურებანი; მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების წარმოშობისა და განვითარების ეტაპები; ახალი სავალუტო წესრიგის საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები; ეკონომიკური კრიზისების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება; ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საკანონმდებლო (ადმინისტრაციული, საგადასახადო, სამოქალაქო) პოლიტიკა; ეკონომიკური კრიზისის დაძლევის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა; ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კრიმინოლოგიური პოლიტიკა; ელიტარული კორუფცია და ეკონომიკური კრიზისის პრობლემა; საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – როგორც ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ფაქტორის კრიმინოლოგიური დახასიათება და მისი თავიდან აცილება; სამეწარმეო დანაშაულობა — ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ფაქტორის კრიმინოლოგიური დახასიათება და მისი თავიდან აცილება; საფინანსო ხასიათის დანაშაულობა – ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ფაქტორის კრიმინოლოგიური დახასიათება და მისი თავიდან აცილება, მათ შორის, ფულის გათეთრება; დანაშაულობა ფულად — საკრედიტო სისტემაში; კორუფციული დანაშაულობა; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მნიშვნელობა ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილების საქმეში.

დანაშაულობის პოლიტიკური მიზეზები. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, მიზეზთა შორის, რომლებიც იწვევს ადამიანთა განსაკუთრებით მძაფრ რეაქციას, შესაძლოა მივიჩნიოთ პოლიტიკური ინტერესები და მათ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ დღეს. ფაქტია ისიც, რომ სწორედ პოლიტიკური ინტერესებისა და კონფლიქტებიდან გამომდინარე, საქართველოში მხოლოდ 2008 წელს

ჩატარდა ორი რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, 5 იანვარს და 21 მაისს; რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა, ერთი მხრივ, ქვეყნის ბიუჯეტი, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ პროცესებს მოჰყვა მრავალი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, შეტაკებები სხვადასხვა ჯგუფებს შორის და ა.შ. არაფერი ისე არ აშორებს ადამიანებს, როგორც პოლიტიკური უთანხმოება. პოლიტიკური ინტერესები უმთავრესად დაკავშირებულია ხელისუფლების მოსაპოვებლად წარმოებულ საქმიანობასთან. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ტრაგიკული ფურცლები დაწერილია იმ ქართველთა სისხლით, რომელთა სიცოცხლე არცთუ იშვიათად ეწირებოდა ქართველ პოლიტიკოსთა საქმიანობასა და ბრძოლას ხელისუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს ისტორიაში მრავლადაა ფაქტები ძალაუფლების შენარჩუნებისათვის მამის მიერ შვილის მკვლელობის, შვილის მიერ მამისა და დედმამიშვილების დახოცვისა და ა.შ. მსგავს ფაქტებს ყოველთვის თან სდევდა უამრავი ადამიანის, მათ შორის ქალებისა და ბავშვების, შემზარავი მკვლელობები. ამასთან, მსგავსი ტიპის ქმედებები დანაშაულად არ მიიჩნეოდა, დამნაშავეებს სჯიდნენ ხელისუფალნი, რომელნიც თავად იყვნენ მოსულნი ხელისუფლებაში დანაშაულებრივი გზით. ცხადია, პოლიტიკოსთა დანაშაულები გავლენას ახდენს საერთო დანაშაულობაზე, ისევე როგორც მათი პროგრამები და მოწოდებებია საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის შექმნის საფუძველი. ქართველი ერის ისტორიაში პოლიტიკოსების მოწოდებები არაერთხელ ყოფილა მასობრივი მკვლელობებისა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა განადგურების უშუალო მიზეზი (მაგალითისათვის გადავხედოთ სულ ახლო წარსულს – საქართველოს ისტორიის 90-იან წლებს), რაც არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულთაგან. პოლიტიკური ამბიციებით გამოწვეულ აჟიოტაჟში მყოფი პოლიტიკოსები ვერ ხედავენ, რომ სტიმულს აძლევენ დანაშაულობას.

მიზანშეწონილია, პოლიტიკურ დანაშაულობათა მიზეზები გავაანალიზოთ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ დონეებზე. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, ასეთი სახის დანაშაულის უშუალო მიზეზად შესაძლოა დავასახელოთ სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული უარყოფითი საზოგადოებრივი განწყობა.

მისი არეალი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია, დაწყებული მოსახლეობის ღრმა რწმენიდან არსებული საზოგადოებრივი წყობის შეცვლის აუცილებლობით, დამთავრებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებებისადმი საზოგადოების მკვეთრი უარყოფითი განწყობით. აქ ხაზი უნდა გაეესვათ იმ გარემოებას, რომ პიროვნების უარყოფითი განწყობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების მიმართ საკმარისი არაა იმისათვის, რომ დავადანაშაულოთ პიროვნება დანაშაულის ჩადენაში, ვინაიდან პასუხისმგებლობის დაკისრებისას საუბარია არა შეხედულებებსა და განზრახვებზე, არამედ კონკრეტულ ქმედებებზე, რომლებიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე მიზეზი, რომელთა საფუძველზეც ადამიანებს უყალიბდებათ ასოციალური განწყობა: მაგალითად, ერთ ადამიანს უყალიბდება გადახრითი იდეოლოგიური და პოლიტიკური შეხედულებების მტკიცე სისტემა საზოგადოებრივი განვითარების გზებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციაზე, კლასებისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთობებზე. საზოგადოების ყოველ წევრს აქვს სხვადასხვა მსოფლმხედველობითი პოზიცია, პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ხორციელდება ნეგატიური ცხოვრებისეული გამოცდილებით, რომელმაც მიიყვანა იგი იმ შეხედულებისადმი, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა მცდარია, აუცილებლობამდე, რომ შეიცვალოს არსებული პოლიტიკური კურსი. სხვა უბრალოდ დაჩაგრულია ხელისუფლების სუბიექტების მიერ. პიროვნების პირადი შეხედულებანი ღრმავდება ადგილობრივი ჩინოვნიკების უკანონო ლატენტური ქმედებებით, რაც საბოლოო ჯამში აისახება სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, ხშირ შემთხვევაში, მთავრდება უმძაფრესი გადაწყვეტილებებით — ჩადენილ იქნეს კონკრეტული დანაშაულებრივი აქციები (ყირგიზეთისა და ლიბიის მაგალითი).

განწყობის ფორმირებაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოურ იდეოლოგიათა ზეგავლენა, რომელიც, ჩვენი მოსაზრებით, მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანთა ფსიქოლოგიას და არწმუნებს მათ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკის უსამართლობაში,

აქტიურად უბიძგებს მოსახლეობის გარკვეულ ფენებს პოლიტიკური ბრძოლისაკენ, რის ნათელი დადასტურებაცაა „რელიგიური ფუნდამენტალიზმი“, „ნაციონალიზმი“, „რელიგიური ფანატიზმი“ და ა.შ.

მეცნიერ-მკვლევარების მიერ დადგენილ იმ დანაშაულობათა სტატისტიკა, რომლებიც ჩადენილია პოლიტიკურ ნიადაგზე, მოწმობს, რომ განსაკუთრებით გავრცელებულად გვევლინება მოსახლეობის იდეოლოგიური დარწმუნება არსებული საზოგადოებრივი წყობისა და ხელისუფლების მიერ გატარებული საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის მიზანშეუწონლობაში. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ დანაშაულობათა 85% ჩადენილია მოსახლეობის იდეოლოგიური დარწმუნების საფუძველზე[51]. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არამდგრადი პოლიტიკური ვითარება, კორუფცია, კონფლიქტური ურთიერთდამოკიდებულება ცენტრალურსა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ახდენს სოციალური ცხოვრების დეზორგანიზაციას, წარმოშობს უკმაყოფილებას, მოსახლეობის გაღიზიანებას, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს უბიძგებს განვითარების ალტერნატიული გზების ძიებისაკენ, ხშირ შემთხვევაში კი აქტიური დანაშაულებრივი ქმედებებისაკენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ (ყირგიზეთისა და ლიბიის მაგალითი).

პოლიტიკურ დანაშაულობათა გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობისას განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ე.წ. „ახალი კრიმინოლოგიის თეორია“, რომელიც მეცნიერებაში კონფლიქტების თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი ფუძემდებლები იყვნენ ტეილორი და იანგი. არსებული თეორია სავსებით უარყოფს მის წინამორბედ თეორიებს (ბიოლოგიურს, სოციალური დეზორგანიზაციის, ანომიის, სტიგმატიზაციის) და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დევიანტური ქცევა და მათ შორის დანაშაული შეგნებულად ჩაიდინება და ატარებს პოლიტიკურ ხასიათს; ინდივიდები თავად წყვეტენ, მიმართონ თუ არა დევიანტურ ქცევას და ამით გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება საზოგადოებაში არსებული უთანასწორობისადმი. ე.წ „კონტრკულტურების“ წევრები, რომლებიც საზოგადოების მიერ ცნობილნი არიან დევიანტებად,

51 იხ. Криминология. Под. ред. А.И. Долговой. М., 1997, с. 556-558.

ახორციელებენ აშკარად პოლიტიკური ხასიათის ქმედებებს, მიმართულს საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ, ხოლო ისინი დევიანტებად შეირაცხებიან მმართველი კლასის შეხედულებათა საფუძველზე, რათა ამ უკანასკნელებმა შეინარჩუნონ თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა. ამავე დროს, კრიმინოლოგები შეისწავლიდნენ კანონების შექმნისა და საზოგადოებაში მათი გამოყენების კანონზომიერებებს, რომლის თანახმადაც მივიდნენ დასკვნამდე, რომ კანონები — ესაა იარაღი, რომელსაც გაბატონებული კლასი იყენებს საზოგადოებაში თავისი პრივილეგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ხსენებული თეორიის თანახმად, უარყოფილ იქნა „კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი“, რაც ემყარებოდა საზოგადოებაში ჩატარებულ რეალურ კვლევებს[52]. თეორიის მიმდევრების შეხედულებებით, თითქმის ყველა სახელმწიფოში გაბატონებული კლასის წარმომადგენლები სჩადიან დევიანტური ხასიათის ქცევებს და დანაშაულებს, თუმცა მათ ძალზე იშვიათად აძლევენ პასუხისგებაში. საერთო ჯამში კი, ამგვარი დანაშაულები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რიგითი მოქალაქეების ყოველდღიური კანონდარღვევები და დანაშაულები, რომელთაც, ჩვეულებრივ, გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მხრიდან. დანაშაულობა უნდა შევიმეცნოთ როგორც მოვლენა, რაც გამოწვეულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის უთანასწორობის საფუძველზე[53].

კრიმინოლოგიის ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებამ დიდი წვლილი შეიტანა კრიმინოლოგიის განვითარების საქმეში. მის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხებიც, როგორიცაა სოციალური სამართლიანობა, ხელისუფლება და პოლიტიკა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაშრომში არის მცდელობა გამოვიკვლიოთ პოლიტიკური ინტერესებით გამოწვეული დანაშაულობა; ფაქტია ისიც, რომ დანაშაულობა, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკური კონფლიქტებით და ინტერესებით, რეალურია და კვალიფიციურ კვლევას საჭიროებს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ხშირად სწორედ პოლიტიკური ინტერესები და კონფლიქტები განსაზღვრავს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს,

52 იხ. Гидденс А. Социология. М., 2005. с. 188-189.

53 იხ. იქვე.

მათ ნეგატიურ მხარეებს, რომლებიც გავლენას ახდენს დანაშაულობაზე.

სამართლის პოლიტიკა როგორც დანაშაულობის მიზეზი. დანაშაულობას, ხშირ შემთხვევაში, იწვევს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის წესები, რომელნიც უპირატესად სისხლის სამართლის კოდექსში პოულობს ასახვას. შესაბამისად, კრიმინოლოგიის წინაშე დგას ამოცანა — გამოიკვლიოს საკანონმდებლო დანაშაულობა, კანონის კრიმინოგენურობა და დანაშაულობა; ფიქცია, რომლის თანახმად, კანონი ხდება დანაშაულობის წარმოშობის მიზეზი; დანაშაულობის იურიდიული და კრიმინოლოგიური შემეცნების თანაფარდობა, ასევე, შეაფასოს კანონის კრიმინოლოგიური შესაძლებლობები დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საქმეში. აღნიშნულის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ, როგორ ქმნიან კანონები დანაშაულობას და თვითონვე როგორ ეწინააღმდეგებიან მას. კანონმდებელი ხშირ შემთხვევაში განაპირობებს დანაშაულთა წარმოქმნას, როდესაც ამა თუ იმ ქმედებას სისხლისსამართლებრივად დასჯადად აცხადებს[54]. ასე იყო აშშ-ში, როდესაც ხელისუფლებამ შემოიღო ე.წ „მშრალი კანონი“ და დასჯადად გამოაცხადა ალკოჰოლური სასმელების ყიდვა-გაყიდვა. აღნიშნულმა გარემოებამ კი გამოიწვია დანაშაულებრივი დაჯგუფებების წარმოქმნა, მათ შორის ისეთის როგორიც არის და დღემდე მოქმედებს „კოზა-ნოსტრა“; ანალოგიური შეიძლება ითქვას ყოფილ საბჭოთა კავშირზე, როდესაც მაგალითად, 1936-1954 წწ. სისხლის სამართლის წესით აიკრძალა აბორტების გაკეთება; ამ ფაქტმა კი გამოიწვია მზარდი ტემპით ახალშობილთა მკვლელობების გახშირება საკუთარი დედების მიერ[55]. ამდენად, საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში, მიზანშეწონილი იქნება, თუკი სხვადასხვა სახის კანონპროექტები და განსაკუთრებით სისხლის სამართლის კანონპროექტები შემუშავების სტადიაზე წინასწარ გაივლის კრიმინოლოგიურ ექსპერტიზას იმ მიზნით, რომ დადგინდეს – ხომ არ გამოიწვევს კონკრეტული კანონი მომავალში დანაშაულებრივი ქცევის პროვოცირებას.

54 იხ. Шестаков Д.А. Криминология. СПТ. 2006, с. 402.

55 იხ. იქვე. გვ. 146.

ზნეობის დისფუნქცია და დანაშაულობა. დანაშაულობის მიზეზები უნდა ვეძებოთ საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობაში. ზნეობრივი აღზრდა მოიცავს განათლების, სპეციალობის მიღებას, კულტურის დანერგვას, ქართველი ერის მიერ მთელი თავისი ისტორიით გამომუშავებული ზნეობრივი ღირებულებებისა და ნორმების დამკვიდრებას. აღზრდა არის იმის შემოქმედებითი გააზრება, რაც აყალიბებს ადამიანს. აქვე აღსანიშნავია, რომ არც ეკონომიკური ცხოვრება საზოგადოებისა, არც სოციალური სფეროს მრავალფეროვნება და არც პოლიტიკა არ არის მორალისაგან დამოუკიდებელი. მაგალითად, ზნეობაზე დამყარებულ ეკონომიკას აქვს მიზანი — უზრუნველყოს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, რაც უკვე ნიშნავს, რომ კრიმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა – ანგარებითი და ძალადობრივი დანაშაულების ნეიტრალიზება – მიღწეულია.

თუკი სამართალში აღიარებულია პროგრესული პრინციპები, დეკლარირებულია ადამიანთა უფლებები, ხოლო პრაქტიკა იგნორირებას უკეთებს აღნიშნულ პრინციპებს და სახელმწიფოში ფეხს იკიდებს კანონისადმი უპატივცემულობა, დათრგუნულია ადამიანის უფლებები, სახელმწიფოს არ ძალუძს იყოს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების გარანტი. შესაბამისად, ასეთი სამართალი და მისი გამოყენების პრაქტიკაც უზნეო და ამორალურია. ზნეობრივი კრიტერიუმების დავიწყება სოციალურ ცხოვრებაში საწინდარია საზოგადოებაში უმართავი პროცესების დაწყებისა და იგი ხელს უწყობს ანგარებითი, ძალადობრივი და სახელმწიფოებრივი დანაშაულების ჩადენას. ამორალური ქმედებების მთელი გამოვლინებებიდან შეიძლება გამოვყოთ ადამიანთა გახრწნა ე.წ. „ფსევდოლიბერალიზმის“ დამკვიდრებით, რაც საზოგადოების ნაწილის მიერ აიხსნება, როგორც პიროვნების განუყოფელი უფლება და რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით. ყოველივე ზემოაღნიშნული ვლინდება ე.წ. „სექსუალურ რევოლუციაში“, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მხარდაჭერილია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით და გადაზრდილია მასობრივ პროსტიტუციაში, რაც უდიდესი ზიანის მომტანია ჩვენი საზოგადოებისათვის. პორნოგრაფია გახდა ყოველდღიური კომერციული სა-

ქმიანობის სახეობა; ქართული ვებ-საიტები გადაჭედილია ასეთი სანახაობებით, რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ არის და, რაც დიდად სავალალოა, მასზე ხელი მიუწვდებათ არასრულწლოვანებსაც. კრიმინოლოგიაში კი უკვე კარგა ხნის დამტკიცებულია პორნოგრაფიის კავშირი დანაშაულობასთან.

საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა არის ინტელიგენციის სახე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოწმობს მის უდიდეს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. მოსაზრება, რომ საზოგადოების ზნეობრივ საფუძველს განამტკიცებენ მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოები, ჭეშმარიტებისაგან შორს დგას; იგი არის სოციალურ-ზნეობრივი პრობლემის მიზანმიმართული სპეკულაცია და დამახასიათებელია ტოტალიტარული რეჟიმებისთვის.

დანაშაულობის სუბიექტური მიზეზები. კრიმინოლოგია შეისწავლის დანაშაულობას. იგი აერთიანებს არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ დანაშაულად ცნობილ ქმედებათა წრეს, არამედ დევიაციათა კონკრეტულ გამოვლინებებსაც, როგორიცაა: ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, აზარტული თამაშები, თვითმკვლელობა.

იტალიელმა მეცნიერმა რ. გაროფალომ დამნაშავეები დაჰყო სამ კატეგორიად და საფუძველი ჩაუყარა დამნაშავეთა ბიოლოგიურ კლასიფიკაციას. პირველ კატეგორიას მან მიაკუთვნა ის დამნაშავეები, რომელნიც თანდაყოლილი თვისებებით თავიანთ თავში პოულობენ დასაყრდენს ცდუნებებთან და გადახრით მიდრეკილებებთან საბრძოლველად. ასეთ ადამიანებს აქვთ უნარი თავიანთი ქმედებები შეუფარდონ არა მხოლოდ კანონებს, არამედ უფრო მაღალ იდეალებსაც კი. მეორე კატეგორია შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც დაჩაგრულები არიან ბუნებისაგან თავიანთი თანდაყოლილი თვისებებიდან გამომდინარე. ეს ადამიანები ადვილად ხდებიან დანაშაულებრივი მიდრეკილებების მსხვერპლნი. დამნაშავეთა მესამე კატეგორიას უჭირავს შუალედური მდგომარეობა ხსენებულ ორ კატეგორიას შორის. აღნიშნულ კატეგორიაში შემავალ ადამიანებს მიდრეკილება აქვთ

დანაშაულის ჩადენისაკენ, მათ ახასიათებთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები და, ამდენად, დანაშაულებრივ გზაზე მათი დადგომა განპირობებულია კონკრეტული პირობებით, გარე ფაქტორებით. მეცნიერის ხედვით, დანაშაული არის ინდივიდის ქცევის შედეგი და, შესაბამისად, დანაშაულის ხასიათი დამოკიდებულია აღნიშნული ინდივიდების თვისებებსა და იმ პირობებზე, რომლებშიც ეს ინდივიდები იმყოფებიან[56].

თანდაყოლილი დამნაშავის პიროვნების იდეა დასაბუთებული აქვს ცნობილ მეცნიერ-მკვლევარს, იტალიელ ექიმ-ფსიქიატრს, პროფესორ ჩეზარე ლომბროზოს. ლომბროზოს თეორიის ძირითადი იდეა ისაა, რომ მას დამნაშავე წარმოდგენილი ჰყავს განსაკუთრებულ ფენომენად, რომელიც ავადმყოფი უფროა, ვიდრე დამნაშავე. მისი შეხედულება დამნაშავეზე, როგორც ავადმყოფზე, ძალზე ჰუმანურია, მაგრამ საპირისპიროდ – არაჰუმანურია მისი შეხედულება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის მექანიზმზე, რომლის თანახმადაც, დამნაშავე საზოგადოებისგან იზოლირებული უნდა იქნეს ან სულაც მოხდეს მისი ლიკვიდაცია, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტისა. ჩ. ლომბროზო ატარებდა დისკუსიებს, აფართოებდა დამნაშავეთა შემეცნების საზღვრებს და სწავლობდა დანაშაულთა ჩადენის მიზეზებს. მის ბოლო შრომებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა დანაშაულობაზე ზემოქმედების გარე ფაქტორებს, თუმცა არ უარყოფდა თავის იდეას თანდაყოლილი დამნაშავის პიროვნების შესახებ[57].

ჩ. ლომბროზოს შეხედულებები განავითარეს მისმა მოწაფეებმა, ცნობილმა იტალიელმა სწავლულებმა რაფაელო გაროფალომ და ენრიკო ფერიმ. ისინი მეტ ყურადღებას ანიჭებდნენ დანაშაულობის სოციალურ ფაქტორებს, ვიდრე თანდაყოლილი დამნაშავის პიროვნების იდეას. ე. ფერისათვის დანაშაული წარმოადგენდა ერთდროულად სამი ფაქტორის — ანთროპოლოგიურის, ფიზიკურისა და სოციალურის მოქმედებით განპირობებულ მოვლენას, რომელთაგანაც ყოველ მათგანს თანაბარი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ეტიმოლოგიისათვის. ე. ფერი სოციალურ ფაქტორს

56 იხ. Чубинский М.П. Курс уголовной политики. СПБ. 1912, с. 245.

57 იხ. Шестаков Д.А. Криминология. СПТ. 2006, с. 49-55.

პიროვნებასთან მიმართებით წმინდა გარე ფაქტორად წარმოაჩენდა, პიროვნული ფაქტორი კი ადამიანის ბიოლოგიურ თავისებურებამდე დაჰყავდა. იგი დამნაშავეებს განასხვავებს ნორმალური ადამიანებისაგან ფსიქიკური, მემკვიდრეობითი და შეძენილი ნიშნების მიხედვით; მისი აზრით, დამნაშავე ითვლება ადამიანთა მოდგმის განსაკუთრებულ სახესხვაობად. შესაბამისად, სასჯელი განიხილებოდა როგორც თავდაცვა საზოგადოებისა ხსენებული „ადამიანთა მოდგმის განსაკუთრებული სახესხვაობისაგან"[58].

მოგვიანებით, ცნობილი კრიმინოლოგი ჟ. ვან-კანი მონოგრაფიაში „დანაშაულობის ეკონომიკური ფაქტორები" წერდა, რომ ჩეზარე ლომბროზომ საფუძველი ჩაუყარა კრიმინოლოგიურ აზროვნებას, ჩამოაყალიბა სისტემები და წინ წამოწია ბრძნული და თამამი ჰიპოთეზები, მაგრამ დაწვრილებითი ანალიზი და ფრთხილი დასკვნების გაკეთება თავის მოწაფეებს მიანდო[59].

XX საუკუნეში ზოგიერთი ფსიქოლოგი, ზიგმუნდ ფროიდის იდეებზე დაყრდნობით, ასაბუთებდა, რომ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს უვითარდება ამორალური და ფსიქოპათიური თვისებები; ადამიანთა მორალური თვისებების უმრავლესობა წარმოდგება თვითშეზღუდვებიდან, რომელთაც ინდივიდები სწავლობენ ადრეულ ასაკში, ხოლო არსებობენ მოზარდთა გარკვეული სახესხვაობანი, რომელთაც მშობლებთან ურთიერთობის პროცესში არ უვითარდებათ მსგავსი თვითშეზღუდვები, შესაბამისად არა აქვთ მორალის შეგნება და ყალიბდებიან ამორალურ პიროვნებებად. ფსიქოპათები კი არიან თავიანთ თავში ჩაკეტილი ადამიანები, რომლებიც სიამოვნებას პოულობენ ძალადობაში, რაც მათი მხრიდან, ისევე როგორც ამორალური თვისებების მქონე პირების მხრიდან, მრავალი სახის დანაშაულის და კანონდარღვევის ჩადენას განაპირობებს.

პრობლემის აქტუალურობა გამოიხატება იმაში, რომ დანაშაული, როგორც ადამიანური ქცევის აქტი და კონკრეტული პირის ნების გამოვლინება, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინდივიდის ხასიათის თვისებებსა და თავისებურებებზე. დამნაშავის პიროვნება შეისწავლება სისტემური მიდგომით, რაშიც გათვალისწინებულია მისი სოციალურ-დემოგრაფიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. დამნაშავის პიროვნების გამოყოფა სხვა დანარჩენთაგან ხორციელდება ორი ძირითადი კრიტერიუმით: იურიდიულითა და სოციოლოგიურით (სოციალურ-ფსიქოლოგიურით). იურიდიული კრიტერიუმიდან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნება განსაზღვრულია როგორც პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით გათვალისწინებული ქმედება — დანაშაული. დამნაშავის პიროვნების ამგვარი განსაზღვრება, ბუნებრივია, ატარებს ფორმალურ ხასიათს. ამდენად, იურიდიული კრიტერიუმი აუცილებელია, რათა შეივსოს სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმით, რომელთა შესაბამისობაში გამოიკვეთება დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ასოციალური მიმართულების ესა თუ ის ორიენტაცია ან სულ მცირე განსხვავებული ასოციალური ბუნება. მოცემული მდგომარეობა შეეხებათ არა მარტო პოტენციურ დამნაშავეებს, არამედ ე.წ. „შემთხვევით დამნაშავეებსაც" და იმ პირებსაც, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს აფექტის მდგომარეობაში ან გაუფრთხილებლობით. ამასთან, აქვე განიხილებიან ის პირები, რომელთაც ჯერ არ ჩაუდენიათ დანაშაული, თუმცა მათი ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები და ჩვევები, გამოვლენილი, მაგალითად, ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენით, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ მომავალში შეიძლება დაადგნენ დანაშაულებრივი ცხოვრების გზას.

ამდენად, დამნაშავის პიროვნებაში, კრიმინოლოგიური გაგებით, იგულისხმება არა პირები (ან პირთა კატეგორია), რომლებიც სჩადიან ან ჩადენილი აქვთ დანაშაული, არამედ ზოგადად კანონდამრღვევები და დევიანტური თვისებების მქონე ინდივიდები, რომლებიც ექვემდებარებიან გადაუდებელი საკონტროლო სამუშაოების წარმოებას.

დანაშაულობის მიზეზების სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომა. მიზეზობრიობის პრობლემატიკასთან მიმართებით განვითარდა საკმაოდ საინტერესო ტენდენციები, კერძოდ, თანამედროვე კრიმინოლოგიაში უპირატესობა ენიჭება კორელაციური

58 იხ. Ферри Э. Уголовная социология. М., 1908, с. 191.

59 იხ. Ван-Кан Ж. Экономические факторы преступности. М., 1915. с. 42.

დამოკიდებულების დადგენას და იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს კვლევის ობიექტზე — დანაშაულობაზე[60]. აღნიშნული გარემოება დაკავშირებულია რიგ ფაქტორებთან, კერძოდ, სამყარო ძალზე რთულადაა მოწყობილი, სისტემებსა და მათ შემადგენელ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირი მეტისმეტად მრავალფეროვანია, საკმაოდ რთულია დავადგინოთ მიზეზობრივ-შედეგობრივი დამოკიდებულება თუნდაც ფიზიკური და ბიოლოგიური სისტემების ერთობლიობაშიც კი, არათუ სოციალურ სისტემაში, მით უმეტეს, რომ თავად ობიექტს — დანაშაულობას — არა აქვს ბუნებრივი საფუძველი რეალობაში და წარმოადგენს მხოლოდ სოციალურ კონსტრუქტს; პრინციპულად შეუძლებელია „გამოძებნა" დანაშაულობის მიზეზებისა, რომლებიც განსაზღვრულიც კი არ არის თვისებრივი თავისებურებებით. ლოგიკურად არ შეიძლება დაადგინო იმ კონსტრუქტის სპეციფიკური მიზეზი, რომელიც უცნაურად ცვალებადია სივრცესა და დროში და დამოკიდებულია კანონმდებლის ნებაზე[61]. სხვადასხვა სახელმწიფოში დანაშაულობა მოიცავს თვისებრივად განსხვავებულ ქმედებებს, დაწყებული ხულიგნობიდან – საერთაშორისო ტერორიზმამდე, ნარკოტიკული დანაშაულიდან – კომპიუტერულ დანაშაულობამდე, რომლებსაც არ შეიძლება ჰქონდეს საერთო წარმოშობის მიზეზები, გარდა ერთისა — მათი წარმოშობის მიზეზი არის სისხლის სამართლის კანონმდებლობა[62].

სოციალური დევიაციები მჟღავნდება სხვადასხვა დევიანტურ ქცევაში, მათ შორის ისეთებში, რომლებსაც მიკუთვნებული აქვთ „დანაშაულებრივის" სტატუსი. შესაძლებელია დავასახელოთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორები დანაშაულობის ზოგიერთი კანონზომიერების ასახსნელად. ასე, მაგალითად, თანამედროვე კრიმინოლოგიაში აქტიურად შეისწავლება დამოკიდებულება დანაშაულობასა და მის ცალკეულ სახეობებს შორის

60 იხ. L.T. Winfree, H. Abadinsky. Understanding Crime. Theory and Practice. Chikago. 1966. P. 9-11.

61 აღნიშნულ მოსაზრებას ავითარებს პროფესორი გილინსკი ი. მონოგრაფიაში „დევიაცია, დანაშაულობა, სოციალური კონტროლი." სანქტ-პეტერბურგი, 2004.

62 იხ. Maxim.P, Whitehead P. Explaining Crime. Fourth Edition. Butterworth-Heinemann. 1998. P.21.

სქესის, ასაკის, კლასის და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით; მნიშვნელოვან კრიმინოგენურ ფაქტორს წარმოადგენს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ადამიანთა მოთხოვნილებებსა და მათ რეალურ შესაძლებლობებს შორის – დაიკმაყოფილონ აღნიშნული შესაძლებლობები; რაც უფრო დაბალია საზოგადოების პასუხისმგებლობა, მისი შესაძლებლობა – დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნილებები – მით უფრო მაღალია დევიაციები დანაშაულობის ჩათვლით; რაც უფრო დიდია განხეთქილება მდიდრებსა და ღარიბებს შორის შემოსავლების მხრივ, მით მეტია დევიანტური ქმედებებისა და დანაშაულობის დონე. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ერთი მხრივ, კრიმინოლოგიის მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანას იმ ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენს, რომლებიც გავლენას ახდენს დანაშაულობის სტრუქტურაზე, დონესა და დინამიკაზე; მეორე მხრივ, კრიმინოლოგიის მთელი ისტორია არის ძიება იმ მიზეზების, ფაქტორებისა და გარემოებებისა, რომლებიც განაპირობებს დანაშაულობის წარმოქმნას.

ასეთი ძიების პროცესში წარმოიშვა კრიმინოლოგიური კონცეფციები და თეორიები, მოპოვებულ იქნა უდიდესი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ამა თუ იმ მეცნიერულ ჰიპოთეზას. ერთი მხრივ, თუკი დანაშაულობას განვიხილავთ როგორც სოციალურ კონსტრუქტს, მაშინ დანაშაულობის არსებობის ახსნა უნდა ვეძებოთ კანონმდებლის მოღვაწეობაში; მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულობა პირობითი, ხელოვნური კონსტრუქტია, იგი აისახება ადამიანთა საქმიანობის რეალურ ასპექტებში (სხვისი მოკვლა ან დაჭრა, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, მოტყუება სარგებლის მიღების მიზნით და ა.შ.)[63].

დანაშაულობა ვლინდება ისეთ ქმედებებში, რომლებიც კანონმდებლის მიერ აღიარებულია დანაშაულად. საზოგადოებრივი საშიშროების ცნება იმდენად განუსაზღვრელია, რომ წარმოუდ-

63 იხ. Гилинский Я.И. Девиантность, преступность, социальный контроль. СПТ.2004, с.156.

გენელია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დადასტურების გარეშე განისაზღვროს დანაშაულობის კრიტერიუმები. არსებული თეორიების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულობის როგორი მიზეზებიც არ უნდა გამოვლინდეს, ისინი ერთდროულად ყოველთვის გვევლინება დევიაციური ქცევების: ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, თვითმკვლელობის, პროსტიტუციის, ადმინისტრაციული გადაცდომების, სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტებისა და ამორალური ქცევების მიზეზებადაც კი. სხვანაირად თუ ვიტყვით, არსებობს გარემოებები, რომელთა ზემოქმედებითაც წარმოიშობა დევიანტური ქმედებები, ხოლო თუ როგორ ფორმას მიიღებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული დევიანტური ქცევა, დამოკიდებულია შემთხვევაზე ან სუბიექტის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ყველა ადამიანის ქმედება, საბოლოო ჯამში, მიმართულია ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად: ბიოლოგიურის ან ვიტალურის (შიმშილის, წყურვილის, სექსუალური ურთიერთობის, მემკვიდრეობის გაგრძელების და ა. შ.); სოციალურის (სტატუსის ამაღლებისათვის, პრესტიჟისათვის, თვითრეალიზაციისათვის და ა. შ.); სულიერის ან იდეალურის (ცხოვრების საზრისის პოვნა, არსებობის მიზნები, ცოდნისადმი მისწრაფება, შემოქმედება და ა.შ.). თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ ხარისხიანი კვების, სუფთა ჰაერზე ყოფნის, კეთილმოწყობილ საცხოვრებელში ცხოვრების, საინტერესო სამსახურში მუშაობის, მრავალფეროვანი დასვენებისა და ა.შ. მოთხოვნილებები; ამავე დროს, სურთ სისტემატურად გაიუმჯობესონ ცხოვრებისეული პირობები. ხოლო ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია, უთანასწორია; მიუხედავად იმისა, რომ უთანასწორობის განსაზღვრული დონე დამოკიდებულია ინდივიდუალურ თავისებურებებზე (არასრულწლოვანია თუ სრულწლოვანი, მამაკაცია თუ ქალი, ჯანმრთელია თუ ინვალიდი, ინტელექტუალია თუ არა და ა.შ.) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მთავარი საფუძველი არის განსხვავებული შესაძლებლობები, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, ინდივიდის მიერ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში დაკავებული პოზიცია (მოსამსახურეა თუ მეწარმე, ფერმერია თუ ბანკირი, სკოლის მასწავლებელია თუ ხელისუფლების წევრი). სწორედ სოციალური სტატუსიდან და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ინდივიდის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს ის შესაძლებლობა, რომლითაც მან უნდა დაიკმაყოფილოს თავისი სოციალური მოთხოვნილებები[64].

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ჰგავს პირამიდას, რომლის მწვერვალზე იმყოფება ხელისუფლების, ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო ელიტა. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალო ფენაა, რომელიც მომდევნო საფეხურზე იმყოფება, ხოლო ყველაზე დაბალ ფენას იერარქიულად შეადგენენ ღარიბები, სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშაკები, ე.წ. მომსახურე პერსონალი. დასახელებული სოციალური სტრუქტურის მიღმა კი არიან უსახლკარონი, ალკოჰოლიზმით დაავადებულები, ნარკომანები, მეძავები. ნათელია, რომ რაც უფრო მაღალი ფენის წარმომადგენელია ინდივიდი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. შესაბამისად, დაბალი ფენის წარმომადგენლებს ნაკლები, შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ინდივიდების ამგვარი დანაწილება განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, მათგან დამოუკიდებელი ფაქტორებით – სოციალური წარმომავლობით, განსაზღვრული კლასისადმი მიკუთვნებულობით, საზოგადოებრივი ფენით, ჯგუფით; ხოლო პიროვნული შესაძლებლობები – ბუნებრივი ნიჭი და ტალანტი – მეორეხარისხოვან როლს ასრულებს.

დროთა განმავლობაში შუასაუკუნოვანი კლასობრივი სოციალური სტრუქტურა დასუსტდა, სოციალური მობილობა გაიზარდა, თუმცა სტატისტიკურად სოციალური მიკუთვნებულობისადმი დამოკიდებულება ისევ ისეთი დარჩა. თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დიფერენციული ნიშანია უმაღლესი განათლება. სოციალური კლასების არათანაბარი მდგომარეობა საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას. სხვაობა მეტად არსებითია – რეალური შესაძლებლობები – დაიკმაყოფილონ

64 იხ. Гилинский Я.И. Девиантность, преступность, социальный контроль. СПТ.2004, с.247-249.

თავიანთი მოთხოვნილებები, რასაც უსათუოდ მოჰყვება შური, სოციალური კონფლიქტები, საპროტესტო რეაქციები, რომლებიც საბოლოო ჯამში წარმოშობს დევიანტურ ქმედებებს და მათ შორის, დანაშაულობას. დანაშაულობის გენეზისი უნდა ვეძებოთ არა სოციალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებაში, არამედ იმ შესაძლებლობებში, რომლითაც მიიღწევა კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამდენად, შესაძლებლობის არქონა განაპირობებს ინდივიდში კანონსაწინააღმდეგო საქციელის ჩადენას, რაც, საბოლოო ჯამში, მიმართულია სწორედ ამა თუ იმ სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, უმთავრესი კრიმინოგენური ფაქტორია წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ინდივიდის სოციალურ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობებს შორის. სოციალური ფენების სახესხვაობა, ჯგუფების სხვადასხვა ინტერესები (მიაღწიონ მეტს, შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები, შეცვალონ ცხოვრება უკეთესობისაკენ და სხვ.) უზრუნველყოფს ცვლილებებს წარმოების სფეროში, ეკონომიკის, კულტურის განვითარებას, ხოლო საყოველთაო თანასწორობას მოაქვს სტაგნაცია, ცვლილებების შეწყვეტა და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების დაღუპვა. განსაკუთრებული კრიმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს სოციალურ მოთხოვნილებებს, დაკავშირებულს სტატუსთან, პრესტიჟთან, თვითდამკვიდრებასთან მიმართებით, უფრო სწორად, მათ დაუკმაყოფილებლობას. ბიოლოგიურ და ვიტალურ მოთხოვნილებებს აქვს ბუნებრივი საზღვრები (მაგალითად, დანაყრებული ადამიანი აღარ ფიქრობს საჭმელზე), ამასთანავე, თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში შედარებით იოლი მისაღწევია აღნიშნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ხოლო რაც შეეხება სოციალურ და იდეალურ მოთხოვნილებებს, მას საზღვრები არა აქვს. ასეთის დასაკმაყოფილებლად საჭიროა მეტი ძალები, შესაძლებლობები, ხელსაყრელი პირობები. სწორედ დაუკმაყოფილებელი სოციალური მოთხოვნილებები ხშირ შემთხვევაში წარმოშობს დანაშაულებრივ ძალადობას და დევიანტური ხასიათის სხვადასხვა გამოვლინებებს (ლოთობა, ნარკომანია, თვითმკვლელობა). არარეალიზებულ მოთხოვნილებებს საბოლოოდ მივყავართ ფრუ-

სტრაციისკენ (გამოუვალ მდგომარეობამდე), პიროვნულ კრიზისამდე, დევიანტურ გამოვლინებამდე.

საყურადღებოა ის გარემოება, თუ რატომ იწვევს ერთი და იგივე დევიანტური ფაქტორები დანაშაულებს, თვითმკვლელობებს, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას, პროსტიტუციას და ა.შ. აღნიშნულის ახსნისათვის, სოციალური დონიდან უნდა გადავიცვალოთ პიროვნულ დონემდე, ინდივიდუალურ ფსიქოლოგიამდე. იტალიელი მწერალი ჩეზარე პავეზე, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, აღნიშნავდა, რომ თვითმკვლელები გაუბედავი მკვლელები არიან; სხვა მხრივ თუ ვიტყვით, ერთი და იმავე კონფლიქტური სიტუაციის არსებობისას „მორიდებული“ თავს მოიკლავს, „თამამი“ სხვას მოკლავს. ამდენად, თუ როგორ მოიქცევა ესა თუ ის კონკრეტული ინდივიდი არსებულ ვითარებაში, დამოკიდებულია პიროვნული თვისებების კომპლექსზე: ხასიათზე, ტემპერამენტზე, ინტელექტუალურ მონაცემებზე, ნებისყოფაზე, ემოციურ თვისებებზე, აღზრდაზე, განათლების დონეზე[65].

[65] იხ. Гилинский Я.И. Девиантность, преступность, социальный контроль. СПТ.2004, с.247-249.

დანაშაულობის მსხვერპლი

თავი 4

კაცობრიობა დანაშაულობის მსხვერპლის პრობლემით დაინტერესებულია უხსოვარი დროიდან. მრავალი მწერლისა და ფილოსოფოსის მსჯელობის საგანი გამხდარა აღნიშნული საკითხი სხვა სამართლებრივ დარგებში, მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესში, შემთხვევითი არაა დისკუსია იმის შესახებ, თუ პროცესის რომელი მონაწილეა ცენტრალური ფიგურა – დაზარალებული თუ ბრალდებული; თუკი ჰუმანურად მივუდგებით საკითხს, ბუნებრივია, უნდა ვაღიაროთ დაზარალებულის უპირატესობა (თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ დროს ბრალდებულის კანონიერი უფლებებიც). მეცნიერული კვლევები ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში პიროვნების კანონსაწინააღმდეგო საქციელი განპირობებულია დაზარალებულის (მსხვერპლის) მაპროვოცირებელი ქცევით (მაგალითად, დაზარალებულის განზრახ შეურაცხმყოფელ ფრაზებს პირის მიმართ შეიძლება მოჰყვეს ამ უკანასკნელის საპასუხო რეაქცია, გამოხატული ისეთი ქმედებებით, რომლებიც გათვალისწინებულია დანაშაულად სისხლის სამართლის კოდექსით – ცემა, სხეულის დაზიანების სხვადასხვა ფორმები და ა.შ.). თუმცა, ამავე დროს, არსებობს ადამიანების განსაზღვრული კატეგორია, რომელთა მიმართ დამნაშავენი იჩენენ მომეტებულ ყურადღებას. ასეთ ადამიანებს სათანადოდ არ ძალუძთ წინააღუდგნენ კანონდამრღვევებს. ესენი ძირითადად არიან ბავშვები, მოზარდები, მოხუცები, ადამიანები, რომელთაც აქვთ ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლოვანებები[66].

საუკუნეების მანძილზე, საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდნენ ადამიანები, რომელთაც დამნაშავეები აყენებდნენ ფიზიკურ, სულიერ ან მატერიალურ ზიანს. ბოლო პერიოდში პოლიციამ, პროკურატურამ, სასამართლოებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ჟურნალისტებმა, მწერლებმა და, რაც მთავარია, კრიმინოლოგებმა ყურადღება გაამახვილეს დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ. აშშ-ში ჯერ კიდევ 60-იან წლებში არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაინტერესდა დაზარალებულთა მდგომარეობით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა „ქალთა მოძრაობა“, რომელიც დაუპირისპირდა საზოგადოების ტრადიციულ ერთსულოვნებას, გამოვლენილს ქალთა მიმართ დამოკიდებულებაში. მათი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა და განხორციელდა ისეთი პროექტები, როგორიცაა „კრიზისული ცენტრების“ და „თავშესაფრების“ დაარსება ქალთათვის, რომლებიც შეიქმნენ გაუპატიურების ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი. „სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის“ ორგანიზაცია აქტიურად იცავდა ადამიანთა თანასწორობას კანონის წინაშე. ისინი გამოდიოდნენ როგორც პოლიციელთა მხრიდან სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის რეპრესიის, ისე ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც ხდებოდა რასობრივი უთანასწორობის საფუძველზე (ლინჩის წესი, აფეთქებები, მკვლელობები პოლიტიკური მოტივის ნიადაგზე და სხვ.)[67].

თანამედროვე პერიოდში დანაშაულობის მსხვერპლის პრობლემა გამოირჩევა უფრო დიდი აქტუალურობით, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა. საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ადვოკატები, ექიმები, სოციალური მუშაკები და ა.შ უშუალო დახმარებას უწევენ პირებს, რომლებიც დაზარალდნენ მორალურად, ფიზიკურად ან მატერიალურად. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა, დღევანდელ დღემდე მაინც რჩება სერიოზული პრობლემები. წარმოიქმნა თაედაცვითი საშუალებების წარმოების მთელი ინდუსტრია (ცეცხლსასროლი იარაღები, სიგნალიზაციის სისტემები), ასევე მომსახურების გაწევა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის (დაზღვევა, კერძო დაცვის სამსახურები); ამასთანავე, ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, როგორებიც არიან ექიმები და ადვოკატები კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, კვალიფიციურ დახმარებას უწევენ დაზარალებულებს. ახლო წარსულში შეიქმნა „კერძო დეტექტივის ინსტიტუტიც“, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს (სამწუხაროა, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს ეს ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულე-

66 იხ. Криминология. Учебник для юридических институтов и факультетов. М., 1992, с. 32-35.

67 იხ.. Шели Д.Ф. Криминология. СПТ. 2003, с. 222-224.

ბა სწორედ დაზარალებულის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაა). სირთულეებს და მასშტაბებს, რომელთაც დასახელებული კერძო დაცვის ფირმები, დაზღვევის სამსახურები, იურისტები და ადვოკატები აწყდებიან თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, ვერანაირად ვერ შეესაბამება ის რესურსების დონე, რომლებიც გამოყოფილია სახელმწიფოს მხრიდან დაზარალებულთა, მსხვერპლთა დასახმარებლად. ამდენად, მსხვერპლის პრობლემა რეალურად კერძო სექტორის მიერ უფროა აღქმული, ვიდრე ოფიციალური სტრუქტურების მიერ. მაგალითად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დაზარალებულები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მათ წარუდგინონ ანგარიშები გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პოლიციის ხელმძღვანელები, პროკურორები, მოსამართლეები და სხვა კომპეტენტური პირები ფორმალურად აღიარებენ აღნიშნულ მოთხოვნათა სამართლიანობას. თუმცა, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას, პრაქტიკულ საქმიანობაში უარყოფენ დადგენილ პრიორიტეტებსა და სტანდარტებს. მეცნიერთა შორის არსებობს აზრი, თითქოსდა თავად მსხვერპლი, ნებსით თუ უნებლიეთ, ახდენს კანონსაწინააღმდეგო შემთხვევის პროვოცირებას; თუმცა, კრიმინოლოგიის განვითარებასთან ერთად, ნაწილობრივ უარყოფილ იქნა აღნიშნული მოსაზრება, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი დანაშაულებისა, რომლებიც ჩადენილია ყოველგვარი პროვოცირების გარეშე. დანაშაულობის მსხვერპლის შესწავლა-შეცნობა ღრმავდება სხვადასხვა დაზარალებული პიროვნებებისა და მათი კონკრეტული პრობლემების შესწავლით, რაც საჭიროებს ნოვატორულ გადაწყვეტილებებს. დღესდღეობით დიდ ყურადღებას იმსახურებენ გაუპატიურების, ოჯახური ძალადობის, ავტოსაგზაო შემთხვევათა მსხვერპლნი, რომლებიც დაზარალებული აღმოჩნდნენ მძღოლთა არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის გამო, აგრეთვე ისინი, რომლებიც მსხვერპლნი გახდნენ დამნაშავეთა სხვადასხვა მოტივების (ანგარების, შურისძიების) საფუძველზე. აღნიშნული მიმართულებით შეისწავლება სისხლისსამართლებრივი სისტემა, ფასდება რეაბილიტაციური პროგრამების ეფექტურობა, ტარდება სოციალური და პოლიტიკური

რეაქციის ანალიზი. უმთავრესი საკითხი კი, რომლის შესახებაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა დანაშაულობის მსხვერპლთან მიმართებით, მდგომარეობს ორ ასპექტში: პირველი მოსაზრების თანახმად, კრიმინოლოგიამ უნდა გამოიკვლიოს მხოლოდ ის დაზარალებულები, რომლებსაც მატერიალური, მორალური თუ ფიზიკური ზიანი მიადგათ უშუალოდ დამნაშავეთა არაკანონიერი ქმედებების შედეგად; მეორე მოსაზრების თანახმად, კრიმინოლოგიის შესწავლის სფერო უნდა გაფართოვდეს და მოიცვას არა მარტო ის დაზარალებულნი, რომელთაც არაკანონიერ ქმედებათა შედეგად მიადგათ ზიანი, არამედ ის დაზარალებულებიც, რომლებიც გახდნენ უბედური შემთხვევების, ავადმყოფობების, ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლნი. ჩვენი აზრით, მეორე მოსაზრება უფრო სამართლიანია, ვინაიდან კრიმინოლოგია მხოლოდ სამართლებრივი ჩარჩოებით არ შემოიფარგლება; პირველი მოსაზრების თანახმად კი, სწორედ სამართლებრივ საკითხებზეა გადატანილი უპირატესი აქცენტი.

დანაშაულობის მსხვერპლთან მიმართებით უნდა გამოვიდეთ შემდეგი პრინციპებიდან: 1) ვიქტიმიზაცია გვევლინება ფართოდ გავრცელებულ მოვლენად, რომელსაც მიუხედავად სერიოზული შედეგებისა, არ ექცევა სათანადო ყურადღება როგორც მეცნიერების, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან; 2) სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა ისწავლოს მსხვერპლთა უფლებების პატივისცემა, არ დაადანაშაულოს დაზარალებულები მათივე საკუთარ უბედურებაში და მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივი ინსტიტუტების რეფორმირების პროცესს[68].

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ადამიანები ხშირად თვითონ ვერ აცნობიერებენ საშიშ პირებთან კონტაქტების შეზღუდვისა და სარისკო სიტუაციებში არყოფნის აუცილებლობას, როგორიცაა ღამის საათებში სახლში ყოფნა, მოგზაურობა ჯგუფებთან ერთად, თავიანთ ირგვლივ უსაფრთხო გარემოს შექმნა დაცვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, ობიექტების გამაგრებით (შემოღობვა, სიგნალიზაციის დაყენება და ა.შ).

„დაცვითი თეორიის“ ვიქტიმოლოგიური ასპექტები. ამ თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუკი შესაძლებელია გადაიკე-

68 იხ. Шели Д.Ф. Криминология. СПТ. 2003, с. 224.

ტოს უკანონო საქმიანობის კონკრეტული მიმართულება დაცვის შესაბამისი კომპლექსური მექანიზმების გამოყენებით, დამნაშავენი ავტომატურად ერთვებიან სხვა მიმართულებაზე, უფრო მეტად მოწყვლად მიზნებზე. ასე, მაგალითად, სიგნალიზაციის დაცვითი სისტემების ფართომასშტაბიანმა გამოყენებამ ვერ მოახდინა შესამჩნევი ზემოქმედება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა საერთო მაჩვენებელზე. აღნიშნულმა პროცესმა, უბრალოდ, გამოიწვია სოციალური გადაჯგუფება, კერძოდ, პოტენციური დამნაშავენი თავს არიდებენ დაცულ სახლებში შეღწევას, განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, სადაც სისტემატურად ხდება პოლიციის მიერ პატრულირება. ისინი თავიანთ ყურადღებას და აქტიურობას მიმართავენ დაუცველ რაიონებზე, სადაც სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლები ცხოვრობენ, რომელთაც არა აქვთ დაცვითი სიტემების შეძენისა და დამონტაჟების შესაძლებლობა[69].

ამდენად, ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის ერთი კატეგორიის მიერ მიღებული თავდაცვითი ზომები უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის სხვა დანარჩენ წარმომადგენლებზე. იმდენად, რამდენადაც თავდაცვითი სიტემების გამოყენება დაკავშირებულია მატერიალურ სახსრებთან, მოსახლეობის პრივილეგიური ფენა იმაღლებს თავის უსაფრთხოებას სხვა დანარჩენების ხარჯზე. როგორი იქნება ბალანსი უსაფრთხოებასა და რისკის დონეს შორის, საბოლოოდ, დამოკიდებულია უშუალოდ ადამიანზე. თანამედროვე პირობებში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა ვიქტიმიზაციის კვლევის შედეგებს, ტარდება სამართლებრივი დისკუსიები და ეს პრობლემა განიხილება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს, აირჩიოს საკუთარი სტრატეგია ამ პრობლემასთან მიმართებით. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და კრიმინოლოგთა მიერ შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

69 იხ. Шели Д.Ф. Криминология. СПТ. 2003, с. 232-233.

დანაშაულობის კონტროლი

თავი 5

დანაშაულობის კონტროლის ცნება. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი არის სახელმწიფოს, საზოგადოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიზანმიმართული ზემოქმედება დანაშაულობაზე, დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ ფაქტორებზე, რათა არ იქნეს დაშვებული საზოგადოების წევრთა ჩართვა დანაშაულობაში, თავიდან იქნეს აცილებული ახალი კრიმინალური ქმედებანი და აღიკვეთოს საზოგადოებრივი ურთიერთობების კრიმინალიზაცია. იგი ეფუძნება დანაშაულობის წინასწარ ანალიზს კონკრეტული დროისა და სივრცის საზღვრებში, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენას და კრიმინოლოგიურ პროგნოზირებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის ეს საქმიანობა შედეგიანი. კრიმინოლოგიაში დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის არსი გამოკვლეულია სხვადასხვა ასპექტში. დანაშაულობასა და დანაშაულობის მიზეზებთან მიმართებით ტარდება იმ საკითხების ანალიზი, თუ როგორ აისახება სოციალური კონტროლის შესუსტება დანაშაულობის დონეზე; დამნაშავის პიროვნებასთან მიმართებით ეს არის ინდივიდის მიერ თვითკონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხი; დანაშაულობის ნეიტრალიზებასთან მიმართებით სოციალური კონტროლის არსი განისაზღვრება მმართველობითი საკითხების ფარგლებში იმდენად, რამდენადაც დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი არის სოციალური პროცესების მართვის განსაკუთრებული მიმართულება[70]. კონტროლი სოციალური მმართველობის ერთ-ერთი ფუნქციათაგანია, ანუ საყოველთაო, ტიპური სახეობა მმართველობითი სუბიექტების ზემოქმედებისა სამართავ ობიექტებზე.

ტერმინების „კონტროლის“ და „სოციალურის“ ეტიმოლოგიურ ანალიზს მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: კონტროლი ნიშნავს ზედამხედველობას, მეთვალყურეობას შემოწმების მიზნით, შემოწმებას რაიმესი ან ვინმესი. აქედან გამომდინარე, სავალდებულოა კონტროლი მოიცავდეს სუბიექტს (მაკონტროლებელს) და ობიექტს

70 იხ. Криминология. М., Юрид. лит. 1979. с. 124.

(კონტროლს დაქვემდებარებულს)[71]. სოციალური კი აღნიშნავს იმას, რაც საზოგადოების, ადამიანების ცხოვრებასთანაა დაკავშირებული და მათ ურთიერთობას ახასიათებს[72]. შესაბამისად, „სოციალურ კონტროლში“ უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ შემოწმება, ზედამხედველობა სოციალური ურთიერთობების ნორმალურ განვითარებასა და სრულყოფაზე.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი მოიცავს დანაშაულობაზე ზემოქმედების ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: „სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა“, „დანაშაულობასთან ბრძოლა“, „კომპრომისი“, „დანაშაულობის თავიდან აცილება“, „კრიმინოლოგიური პოლიტიკა“. თითოეული აღნიშნული ტერმინი საინტერესოდა, ამავდროულად, ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ტერმინოლოგიის სიზუსტე კი, გარკვეულწილად, იმ ამოცანების გადაჭრის განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც დგას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დანაშაულობის წინააღმდეგ ეფექტური და სრულყოფილი ღონისძიებების გასატარებლად. ამ მიმართებით ყველაზე ძველი ტერმინია „სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა“. რთულია იმის დადგენა, თუ პირველად ვინ გამოიყენა აღნიშნული ტერმინი, მაგრამ 1824 წელს ფოიერბახი საუბრობდა მასზე, როგორც უკვე არსებულ ტერმინზე, და განასხვავებდა მას „სისხლის სამართლისაგან“. „სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის“ შესახებ წერდა ჰენკე, ბენტამი, კაპლერი, ლისტი, ჩუბინსკი, პიონტკოვსკი, ტაგანცევი, ბაბაევი, კუდრიავცევი და სხვა გამოჩენილი მეცნიერი. ამასთან, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა გააზრებული იყო სხვადასხვაგვარად და ბევრი ავტორი აიგივებდა მას ისეთ ტერმინთან, როგორიცაა „სახელმწიფო-სამართლებრივი პოლიტიკა“. ა. გერცენზონი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა“ სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ისევე როგორც ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა პოლიტიკა.

ჩვენ მიერ აღნიშნული მიმართულებით ჩატარებულ სამუ-

71 იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. მ. ჭაბაშვილის რედ. თბილისი, 1964, გვ. 214.

72 იხ. უცხო იქვე, გვ. 357.

შაოთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ყოველთვის არსებობდა ორი პრინციპი „სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის“ გაგება-შემეცნებასთან დაკავშირებით. ამათგან, პირველი დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომ „სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის“ ფარგლებში წყდება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა დანაშაულობაზე ზემოქმედება სისხლისსამართლებრივი საშუალებებით და, შესაბამისად, აღნიშნული მიდგომა მუშავდებოდა სისხლის სამართლის სოციოლოგიის ფარგლებში[73].

მეორე მიდგომის თანახმად, რომელიც სათავეს იღებს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, სისხლის სამართლის პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ ზომას, რომლებიც მიმართულია დანაშაულობაზე ზემოქმედებისაკენ, კერძოდ, ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ უშუალოდ სისხლის სამართლის პოლიტიკა მოიცავდა სოციალურ კონტროლს, როგორც დანაშაულობაზე ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებას და შეყვანილი იყო მის ფარგლებში[74].

სამართლებრივ და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, მეცნიერულ შრომებსა თუ მონოგრაფიებში XIX საუკუნის ბოლოს ფართოდ გავრცელდა სოციალური კონტროლის ისეთი მიმართულება, როგორიცაა დანაშაულობასთან ბრძოლა. მისი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ არ იქნეს დაშვებული სისხლის სამართლის კანონის მასობრივი დარღვევა, ხოლო დარღვევის შემთხვევაში დამნაშავის მიმართ გამოყენებულ იქნეს შესაბამისი სასჯელი. დანაშაულობასთან ბრძოლა, როგორც კრიმინოლოგიური კატეგორია, არ მოიცავს ზემოქმედებას ისეთ ნეგატიურ მოვლენებზე, როგორიცაა დევიაციები და, ამდენად, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, იგი არასრულყოფილ ინსტიტუტად უნდა მივიჩნიოთ. ამასთანავე, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანას არ წარმოადგენს დანაშაულისა თუ სხვა დევიანტური ქმედების ჩამდენი პიროვნების საზოგადოების სრულყოფილ პიროვნებად შენარჩუნება, მისი არსი ძირითადად არის ტაქტიკური, ერთჯერადი ამოცანების გადაჭრა

73 შეად. Бородин С.В. Борьба с преступностью: теоретическая модель комплексной программы. М.,1990.

74 შეად. Основные направления борьбы с преступностью. Под ред. И. М. Галперина и В. И. Курляндского. - М.: Юрид. лит., 1975.. с. 12-13.

(მაგალითად, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკავება და ა.შ.) ამას გარდა, ქართული და უცხოური ლიტერატურის მეცნიერული ანალიზი ნათლად ცხადყოფს, რომ დანაშაულობასთან ბრძოლა საერთოდ არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანას, როგორიცაა იმ ადამიანთა რიცხოვნობის შემცირება, რომლებიც თანაუგრძნობენ დანაშაულისა თუ სხვა სახის დევიანტური ქმედებების ჩამდენ პირებს. მოცემულ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სისასტიკესა და უსამართლობას, რასაც ხშირად აქვს ადგილი სახელმწიფოს მიერ დამნაშავე პიროვნებათა მიმართ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიან საზოგადოების წევრები — კანონდამრღვევთა მშობლები, მეუღლეები, შვილები, შვილიშვილები და ა.შ. ხშირ შემთხვევაში კი დამნაშავის მიმართ გამოყენებული უკანონო ქმედებანი საწინდარია მისი ახლო ნათესავების მხრიდან ახალი დანაშაულებისა თუ სხვა სახის დევიანტური ქმედების ჩადენისა.

განსახილველ თემატიკასთან მიმართებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიმოვიხილოთ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ისეთი შემადგენელი ნაწილი, როგორიცაა კომპრომისი.

კომპრომისი (სისხლის სამართალში – წამახალისებელი ან მასტიმულირებელი ნორმები) დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეაგირება ხდება კონკრეტულ დანაშაულზე (დევიაციებს იგი საერთოდ არ ეხება), კონკრეტული დამნაშავეებისა თუ დამნაშავეთა განსაზღვრული კონტინგენტის მიმართ, მაგრამ არა დანაშაულობაზე, როგორც მასობრივ მოვლენაზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, ერთი მხრივ, დამნაშავე უარს აცხადებს დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე და, მეორე მხრივ, თავიდან ავიცილებთ გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას,[75] ასევე, როდესაც ანაზღაურდება ზიანი და ხდება თანამშრომლობა დანაშაულის გახსნისათვის. კომპრომისის შემთხვევაში საუბარია განსაზღვრულ გარიგებაზე, შეთანხმებაზე სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის. კრიმინოლოგიური შეხედულებით, კომპრომისის შემთხვევები დაშვებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მთელ რიგ მუხლებში; მაგალითად, სსკ-ის 322-ე მუხლი „სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება“, რომლის დისპოზიციაშიც აღნიშნულია ის ვინც ჩაიდინა სსკ 309-ე (ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება) და 311-ე (უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა) მუხლებით, ასევე 314-ე (ჯაშუშობა) და 315-ე (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად) მუხლების პირველი ნაწილებით და 319-ე (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება) მუხლით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ამის თაობაზე ნებაყოფლობით და დროულად განუცხადა ხელისუფლების ორგანოს და თუ თავიდან იქნა აცილებული საქართველოს ინტერესისათვის მოსალოდნელი ზიანი.“

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი, თანამედროვე პირობებში, გადაიქცა გლობალურ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემად. იგი აქტიურად შეისწავლება მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში. აღნიშნული საკითხი მოითხოვს სიღრმისეულ სოციალურ-ფილოსოფიურ, სამართლებრივ და კრიმინოლოგიურ მეცნიერულ ანალიზს. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თეორიული საფუძვლების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ფედერალიზმის პერიოდში, როდესაც შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გადაუდებელი საჭიროება დანაშაულობის ნეიტრალიზაციასთან მიმართებით. თანამშრომლობის საწყის ეტაპზე საუბარი იყო იმ დამნაშავეთა ძებნის პროცესში დახმარების აღმოჩენაზე, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და იმალებოდნენ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. XIX საუკუნის ბოლოდან, გლობალიზაციის პირველ ტალღასთან ერთად, ვითარება არსებითად იცვლება — საფუძველი ეყრება ტრანსნაციონალურ დანაშაულობას, დამნაშავეები სხვადასხვა ქვეყნებიდან ერთიანდებიან ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებში, რომელთაც აქვთ საერთო მიზანი, სტრუქტურა, განსაზღვრული მოვალეობა. სახელმწიფოების თანამშრომლობა დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელებაში იქცა გადაუდებელ პოლიტიკურ აუცილებლო-

75 იხ. Босхолов С.С. Основы уголовной политики. М., 1999. с. 147-149.

ბად. თანამედროვე საერთაშორისო ტრანსნაციონალური დანაშაულობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი განსაკუთრებით გავრცელებული ფორმებია: ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა, იარაღით ვაჭრობა, ბირთვული საშუალებების უკანონო ბრუნვა, ქალებით, ბავშვებით, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, კონტრაბანდა, ფულის გათეთრება, ავტომანქანების ქურდობა, შიდა და საერთაშორისო ტერორიზმი, გენოციდი. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ სახელმწიფოთა მეთაურების პოლიტიკურ ნებაზე, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობაზე. აუცილებელია განხორციელდეს დანაშაულობის საერთაშორისო სოციალური კონტროლი, რომელმაც უნდა შეიძინოს ახალი ფორმები, ხოლო არსებულ საერთაშორისო სტრუქტურებს ჯერჯერობით მცირე შესაძლებლობა აქვს დღითი დღე მზარდ საფრთხეებზე მოახდინონ სწრაფი რეაგირება, განსაკუთრებით ისეთებზე, რომლებიც მომდინარეობს ტერორისტული დაჯგუფებებიდან. თავისი ისტორიული განვითარების პროცესში, კაცობრიობამ შეიმუშავა და იყენებს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ორ ძირითად საშუალებას: 1) სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის და 2) დანაშაულობის თავიდან აცილებას. მიუხედავად უდავო დანიშნულებისა სამართლიანი, დროული და გარდაუვალი სასჯელისა ჩადენილი დანაშაულისათვის, კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მტკიცდებოდა იმის გათვითცნობიერება, რომ დანაშაულობის თავიდან აცილება დანაშაულობაზე ზემოქმედების ბევრად უფრო პერსპექტიული საშუალებაა, ვიდრე სასჯელი. XVIII საუკუნის დიდმა განმანათლებლებმა ჩამოაყალიბეს დებულება, რომლის თანახმად კანონმდებელმა მორალის ნორმების, ზნე-ჩვეულებათა განმტკიცების ხელშეწყობის გზით, უმჯობესია თავიდან აიცილოს დანაშაული, ვიდრე დასაჯოს უკვე ჩადენილი დანაშაულისათვის (ბეკარია, მონტესკიე, ვოლტერი). ამდენად, დანაშაულობის თავიდან აცილება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პრიორიტეტულ მიმართულებად და საუკეთესო საშუალებად უნდა მივიჩნიოთ.

დანაშაულობის კონტროლის გერმანული მოდელი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოდის პოზიციიდან, რომლის თანახმად, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი არის სამსაფეხურიანი სტრუქტურა. პირველი საფეხური მოიცავს სოციალური კონტროლის ორგანიზებას მოსახლეობის ფართო ფენებში, მაგალითად, მოზარდთა მართლშეგნების ამაღლებას, მათში ზნეობისა და მორალის ნორმების განმტკიცებას, კონფლიქტების გადაჭრას მედიატორების მეშვეობით, არაძალადობრივი გზით და ა.შ. მეორე საფეხური მიმართულია იმისაკენ, რომ შემცირდეს ე.წ. სარისკო ვითარება, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, გზებსა და ჩიხებში, მიწისქვეშა გადასასვლელებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ღია ადგილებში ვიდეოკონტროლის სისტემების და მსგავსი ტექნიკური საშუალებების დამონტაჟება, რაც დანაშაულობის ერთგვარი ეფექტური კონტროლია. მესამე საფეხურის მიზანია ის, რომ განმეორებით არ იქნეს ჩადენილი დანაშაული. მის ფარგლებში ძირითადად მოქმედებს იმ პირების პროფესიული მომზადება, რომლებიც იმყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში[76]. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ზომები მუშავდება გავლენიან გერმანულ დაწესებულებებში, რომელთა შორის აღსანიშნავია იუსტიციის[77], შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური სამმართველო და მისი ქვედანაყოფი Infopol-ი, რომელიც ინფორმაციულად უზრუნველყოფს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პროექტებს და პროგრამებს, ახორციელებს მათ ანალიზს[78]. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელებისას ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო სამართლებრივი ღონისძიებანი, რასაც მოწმობს ე.წ. „უსაფრთხოების პირველი მოხსენების“ შესახებ იმ პროგრამის შინაარსი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მიერ ქვეყნის პო-

76 იხ. Infopol Prevention, online Recherche // www. Bka.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2008წ.

77 იხ. www. Bmy.bund.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2008წ.

78 იხ. Infopol Prevention, online Recherche // www. Bka.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2008წ.

ლიტიკური ხელმძღვანელობის დავალებით მომზადდა 2001 წელს მოხსენების ქვეთავების შესწავლამ, სადაც გაანალიზებულია ეკონომიკური დანაშაულობა, ცხადყო, რომ მოქმედების არეალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოებას, უნდა ფორმირდებოდეს დანაშაულობის სწრაფად და ეფექტურად გახსნის, მოქალაქეთა თვითკონტროლისა და თავდაცვის ზომებისაგან, აგრეთვე, სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ზომებისაგან. შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელებისას, სისხლის სამართლის სასჯელთან მიმართებით, უპირატეს როლს ანიჭებენ სამოქალაქო-სამართლებრივ ზომებს; მაგალითად, ოჯახურ ძალადობაზე სოციალური კონტროლის ორგანიზებისათვის, მოხსენება რეკომენდაციას აძლევს სასამართლოებს, რომ დამნაშავეებს შეუფარდონ სასჯელის ზომები, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, მაგალითად, დაუდგინონ განსაზღვრული ადგილების მონახულების აკრძალვები, სადაც იმყოფება დაზარალებული, აუკრძალოს დამნაშავეს დაზარალებულთან ერთ სახლში ცხოვრება და ა.შ. მსგავსი ზომების გამოყენებით, ერთი მხრივ, დაზარალებული დაცული იქნება მომდევნო ფიზიკური, მორალური თუ ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, დამნაშავეს მიეცემა მეტი შანსი, რომ დაადგეს ნორმალური ცხოვრების გზას, რაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ნაკლებ სავარაუდოა.

გერმანიაში დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ეფექტურად განხორციელების მიზნით, პოლიციის დაწესებულებების საქმიანობა კოორდინირებულად მიმდინარეობს. ამ მიზნით ფედერალური პოლიციის ორგანოებსა და „ლანდების“ ადგილობრივ ორგანოებს შემუშავებული აქვთ უნიფიცირებული პროგრამა - „დანაშაულობის პოლიციური კონტროლი“ - „ProPk“. პროგრამა ითვალისწინებს ფედერალურ დონეზე მოსახლეობის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის დანაშაულობის გამოვლინების ფორმებისა და მათზე სოციალური კონტროლის განხორციელების მექანიზმების შესახებ ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარებას; იგი კონცენტრირებას აკეთებს დანაშაულობის თანამედროვე

აქტუალურ პრობლემებზე და ისეთ გადახრით ქცევებზე, როგორიცაა ნარკომანია და პროსტიტუცია, ასევე ქურდობაზე, ძარცვაზე, ყაჩაღობასა და ახალგაზრდობის დანაშაულობაზე[79].

ეროვნული გაერთიანების ფორმატში, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, გერმანიაში 2001 წლის ივლისში შეიქმნა „დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის გერმანული ფორუმი“ - „DFK“. აღნიშნული ფორუმი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სოციალურ სტრატეგიას, იგი აერთიანებს მრავალრიცხოვან ინიციატივას ფედერალურ, „ლანდებისა“ და კომუნალურ დონეზე, უზრუნველყოფს კრიმინოლოგიური სტრატეგიების შემუშავებას, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას[80].

გერმანიაში დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სპეციალური პოლიციური საკონსულტაციო პროგრამა „ქვენი პოლიცია“[81], რომელიც მნიშვნელოვან კრიმინოლოგიურ პროექტებს ახორციელებს მოსახლეობისათვის და მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ კრიმინოლოგიურ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის გერმანული ფორუმი“ (აღნიშნული ორგანიზაცია, ასევე გამოსცემს პერიოდულ საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალს, რომელიც მიმოიხილავს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. მისი სახელწოდებაა „დანაშაულობის თაიდან აცილების ფორუმი“[82]; „დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ინფორმაციული სისტემა — PraevIs“[83]; კავშირი „სამო-

---

79 იხ. www. Polizei.propk.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.11.2008წ.

80 იხ. Kriminalpravention. // www. Bmi.bund.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2008წ.

81 იხ. www. Polizei-beratung.de. Das Vorbeugungsprogramm ihrer Polizei. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.11.2008წ.

82 იხ. www. Kriminalpravention.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.11.2008წ.

83 იხ. www. Praevis.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.11.2008წ.

ქალაქო კონფლიქტების გადაწყვეტის პლატფორმა“[84]; „ბავშვთა დაცვის გერმანიის კავშირი“[85]; დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ რელიგიურ ორგანიზაციებს (მაგალითად, გერმანიის ევანგელური აკადემია „ლოკუუმი“ და სხვა რელიგიურ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებს, სადაც ხორციელდება მეცნიერული კვლევები სამოქალაქო კონფლიქტების კონტროლის პრობლემატიკაზე. დასახელებულის გარდა, არსებობს მრავალი სახელმწიფოებრივი, რეგიონალური, „ლანდების“, კომუნალური და მსგავსი პროგრამები, რომლებიც ახორციელებს დანაშაულობაზე სოციალურ კონტროლს, რაც უდავოდ მოწმობს იმას, რომ გერმანიის საზოგადოება ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება დანაშაულობის პრობლემებს.

დანაშაულობის კონტროლის ფრანგული მოდელი. საფრანგეთში დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საკითხები მუშავდება ე.წ. „ქალაქთა საერთო-ნაციონალური საბჭოს მიერ“, რომელსაც სათავეში უდგას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ხოლო ადგილობრივ დონეზე ფუნქციონირებს 700-ზე მეტი მუნიციპალური საბჭოები, რომლებშიც კომპლექსურად არიან ჩართული სამართალდამცავი ორგანოების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურების წარმომადგენლები; დიდ ბრიტანეთში კი 1990 წლიდან მოქმედებს „დანაშაულობის თავიდან აცილების ნაციონალური კომიტეტი“, რომელსაც სათავეში უდგას სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრი [86].

დანაშაულობის კონტროლის სუბიექტები და სისტემა. დანაშაულობაზე სოციალურ კონტროლთან დაკავშირებულ პრობლემებს ლოგიკურად მივყავართ საკითხამდე, თუ ვინ ახორციელებს სოციალურ კონტროლს, ვინ არიან მისი სუბიექტები. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საქმიანობაში ჩართულნი არიან და კომპლექსურად

84 იხ. „Plattform Zivile Konfliktbearbeitung.“ www. Konfliktbearbeitung.net. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.11.2008წ.

85 იხ. Deutsche Kinderschutzbund. Ortsverband Wiesbaden. E.V. www. Kinderschutzbund-wi.de. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.11.2008წ.

86 იხ. Смирнов Г.Г. Криминологическое учение о предупреждении преступности. Екатеринбург. 2004. с. 143-166.

აწარმოებენ საქმიანობას არა მარტო შსს ორგანოები, არამედ მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტროები, ოჯახისა და არასრულწლოვანთა დაცვისა და დახმარების ცენტრები, მიგრაციის სამსახურები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. გარდა ამისა, საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოში არ არსებობს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სახელმწიფო ორგანიზაცია (ცენტრი, დაწესებულება), სადაც რეალურად უნდა დაიგეგმოს სოციალური კონტროლის ღონისძიებანი, შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა, კონცეფცია, სტრატეგია და ტაქტიკა, პროგრამები.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტები შეიძლება დავყოთ სპეციალიზებულ და არასპეციალიზებულ კატეგორიებად[87].

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტების ამგვარ დაყოფას, საფუძვლად უდევს სამართლებრივი უფლებამოსილების თავისებურებანი.

სპეციალიზებული სუბიექტების საქმიანობა გამომდინარეობს მათდამი კანონით დაკისრებული მოვალეობებისა და საზოგადოებრივი უფლებამოსილებებისაგან.

სპეციალიზებულ სახელმწიფო სუბიექტებს მიეკუთვნება: საერთო სამართლო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ორგანოები, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საბაჟო სამსახური, საქართველოს კონტროლის პალატა, საქართველოს ფინანსური პოლიცია და საგადასახადო ორგანოები, კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურები.

სპეციალიზებულ არასახელმწიფო სუბიექტებად საქართველოს მაგალითზე უნდა მივიჩნიოთ: მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, რედაქციები (მაგალითად, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, „მართლმსაჯულება და კანონი“, „თემიდა“, „ადამიანი და კონსტიტუცია“, „ინტელექტუალი“ და ა.შ.);

არასპეციალიზებულ სუბიექტებს შესაძლოა მივაკუთვნოთ

87 იხ. Криминология. учебник для вузов. под.ред. А. И. Долговой .М., 2001. с. 289.

პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები , ფონდები, იურიდიული პირები, ოჯახები, საცხოვრებელი კორპუსების ამხანაგობები, ფიზიკური პირები. (კონკრეტულ შემთხვევაში, ფიზიკურ პირებად უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები, არამედ ასევე საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე ის პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებითა და კანონიერების დაცვით.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ნებისმიერი სუბიექტის გადაწყვეტილების ეფექტურობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, ფლობს თუ არა ის საკმარის ობიექტურ და სანდო ინფორმაციას მასზე დაკისრებული ამოცანების გადასაჭრელად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. მაგალითად, ინდივიდუალური კონტროლის განმახორციელებელ სუბიექტს უნდა ჰქონდეს ცნობები მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირზე, რაც მას საშუალებას მისცემს ზუსტად შეაფასოს ამ პირის ქცევა, მოახდინოს ამ უკანასკნელის მიერ ასოციალური ქმედების ჩადენის პროგნოზირება, იცოდეს, რა ხასიათის ღონისძიებებით მოხერხდება ამის კონტროლი, იქონიოს ინფორმაცია აღმზრდელობითი ღონისძიებების შედეგებზე. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირადი დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. დანაშაულის ცალკეული სახეების, ასევე განსაზღვრული კონტინგენტის პირების (არასრულწლოვნების, რეციდივისტების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით გამომყენებლების და სხვათა) მიერ ჩადენილი დანაშაულების სოციალური კონტროლისათვის აუცილებელია გვქონდეს ინფორმაცია მათი ცხოვრებისა და აღზრდის ტიპობრივ ნაკლოვანებებზე, განსაკუთრებით იმ პირებზე, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებენ მათზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სოციალური კონტროლის რომელმა ღონისძიებამ გამოიღო დადებითი შედეგი და რომელმა – არა. ინფორმაცია უნდა იყოს დიფერენცირებული კონკრეტული ამოცანების და სოციალური კონტროლის სუბიექტის კომპეტენციის გათვალისწინებით.

ყველაზე სრულყოფილ ინფორმაციას სასურველია ფლობდნენ სამართალდამცავი ორგანოები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები, რომლებიც დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის კოორდინაციას და ორგანიზებას ახორციელებენ. მათი საქმიანობის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული ინფორმაციული უზრუნველყოფის დონეზე, რომლის პირველადი საფუძველია სტატისტიკური მონაცემები დანაშაულობისა და ნასამართლეობის, ადმინისტრაციული და სხვა სამართალდარღვევების, სამართალდამცავი ორგანოების და დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სხვა სუბიექტების საქმიანობის შესახებ. აღნიშნული მონაცემები ექვემდებარება ანალიზს კონკრეტული ობიექტის, რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მახასიათებლების, მათში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური კონტროლის მდგომარეობის გათვალისწინებით [88].

ამას გარდა, აღნიშნული ფუნქციის არსი ისაა, რომ მმართველობის სუბიექტი ახორციელებს იმის აღრიცხვას და შემოწმებას, თუ როგორ ასრულებს კონკრეტული ობიექტი მოთხოვნებსა და მითითებებს, რომლებიც დაწესებულია მისთვის მმართველობითი სუბიექტის მიერ. მოცემული ფუნქციის მთავარი მიზანი არის ის, რომ არ მოხდეს გადახრა სამართავი ობიექტის მიერ ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმებიდან; ასევე ცნობების მიღება იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც განაპირობებს შესაძლო გადახრით საქციელს ობიექტის მიერ. აღნიშნული ფუნქცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებაში ნეგატიური პროცესების მართვა. იმისათვის, რომ წარმატებით მართო, საწყის ეტაპზევე გათვლილ უნდა იქნეს სამართავ ობიექტებზე ზემოქმედების შედეგები, ხოლო ხსენებული ფუნქციის ცოდნა დანაშაულობაზე ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფის საწინდარია [89].

ამდენად, დანაშაულობაზე სოციალურ კონტროლს აქვს შემდეგი ფუნქციები: დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტი ზედამხედველობას უწევს საკონტროლო ობიექტების მიმართებას იმ სოციალურ ნორმებთან, რომლებიც, ერთი მხრივ,

88 შეად. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. პეტორთა კრებული. გიორგი ღლონტი. თბილისი, 2008. ნაწილი III, თავი XVII, გვ. 337-338.

89 იხ. Социальный контроль. Воронеж. Университет. 1981. с. 7-8.

სანქციონირებული ან დადგენილია სახელმწიფოს მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ასოციალურ ქმედებებთან, რომლებიც მომეტებულ სოციალურ საშიშროებას წარმოადგენენ. თუ ობიექტი არ იხრება აღნიშნული ნორმებიდან, მაშინ მის მიმართ ხორციელდება მხოლოდ საკონტროლო დაკვირვება. ამ ფუნქციის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტების სისტემა ისეთი სახის ინფორმაციით, რომელიც მიუთითებს ამა თუ იმ ობიექტის გადახრაზე (ან არგადახრაზე) დადგენილი სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმებიდან. დასახელებული ფუნქციით შესაძლებელია დროულად იქნეს გამოვლენილი გადახრითი საქციელი საწყის ეტაპზევე. შესაბამისად, ობიექტის მიერ სოციალური და სამართლებრივი ნორმებიდან გადახრის ფაქტის დადგენისთანავე აუცილებელია, კონტროლის სუბიექტმა დააბრუნოს იგი საზოგადოების მიერ რეგლამენტირებულ ჩარჩოებში[90].

დანაშაულობის საერთო-სოციალური კონტროლი. საერთო-სოციალური კონტროლი მიმართულია დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენისა და თავიდან აცილებისაკენ. დანაშაულობაზე საერთო-სოციალური კონტროლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წინააღმდეგობის გაწევა სოციალური პროცესების კრიმინალიზაციისადმი, საზოგადოებაში სამართლებრივი ატმოსფეროს შექმნა და განმტკიცება, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. იგი ხორციელდება სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა ანტიკრიმინოგენური ფაქტორების საფუძვლიანი შესწავლით[91]. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საერთო-სოციალურ სტრუქტურაში, ფაქტობრივად, აისახება საზოგადოების ანტიკრიმინალური პოტენციალი მთელი თავისი ინსტიტუტებით. მართალია, საქართველოში, ვიმყოფებით რა გარდამავალ პერიოდში, უფრო მეტია კრიზისის, უთანასწორობისა და სხვა ისეთი უარყოფითი გამოვლინებები, რომლებიც იწვევს დანაშაულობას, ვიდრე ფაქტორები, რომლებიც ეწინააღმ-

90 იხ. Игошев. К.Е. Социальный контроль и профилактика преступлении. М., 1979. с. 31.

91 იხ. Смирнов Г.Г. Криминологическое учение о предупреждении преступности. Екатертнбург. 204. с. 35-36.

დეგება მას, მაგრამ აქედან არ უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ საერთო - სოციალური კონტროლი შეუძლებელი და უშედეგოა. ჩვენი შეხედულებით, პირიქითაა. კერძოდ, იმის აღიარება, რომ დანაშაულობა გვევლინება ეროვნული უსაფრთხოების პირდაპირ და ძალიან სერიოზულ საფრთხედ, აქტუალურს ხდის დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საერთო ფორმის დანიმსულებას და როლს. საერთო-სოციალური კონტროლისათვის დამახასიათებელია: მასშტაბურობა, ყოვლისმომცველი ხასიათი, კომპლექსურობა, ურთიერთდამოკიდებულება, უწყვეტობა და რადიკალიზმი. ფაქტობრივად, საერთო – სოციალური კონტროლის დროს ზემოქმედება ხდება დანაშაულობის გამომწვევ ყველა მიზეზსა და ფაქტორზე.

საერთო-სოციალური მიდგომა მოიცავს, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების სრულყოფას, ტექნოლოგიური და ტექნიკური პროცესების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საბაზრო ეკონომიკის, ბიზნესის განვითარებას და მსგავს პროცესებს, რაც უშუალოდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებასა და მატერიალური პირობების გაუმჯობესებასთან, ხოლო, მეორე მხრივ – საზოგადოების კულტურული დონის ამაღლებას, განათლების სისტემის გაუმჯობესებას, აღმზრდელობითი, ზნეობრივი და რელიგიური შეხედულებების დამკვიდრებას[92]. დასახელებული მიდგომა, მართალია, პირდაპირ არ არის დაკავშირებული დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პრობლემატიკასთან, ვინაიდან ადამიანები კულტურისა და ხელოვნების განვითარებისას ნაკლებად ფიქრობენ დანაშაულობის სოციალურ კონტროლზე, მაგრამ საზოგადოების მაღალი კულტურული და ინტელექტუალური დონე დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ეფექტურად განხორციელების საიმედო გარანტია. დასახელებული ზომები ირიბად, არაპირდაპირ ახდენს ზეგავლენას დანაშაულობაზე, ხოლო რაც უფრო მაღალია საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული დონე, მით მეტი საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ დანაშაულო-

92 იხ. Криминология. Учебник для юридических институтов и факультетов. М., 1992. с. 27.

ბის საერთო მაჩვენებელი ასეთ საზოგადოებაში იქნება დაბალი[93]. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საერთო-სოციალური სტრუქტურა დიფერენცირებულია; მის ფარგლებში წყდება ისეთი საკითხები, როგორიცაა მომავალი თაობების ფიზიკური, სულიერი, ზნეობრივი, რელიგიური განვითარება, ასევე, იმ პირების ეფექტური სოციალიზაცია, რომელთაც ახასიათებთ ესა თუ ის ფსიქოფიზიოლოგიური ნეგატიური თავისებურებები. მიზეზობრიობის და დეტერმინაციის პროცესების მართვა ხდება სხვადასხვა გზით: ნეგატიური მოვლენებისა და პროცესების ლიკვიდაციით, მათი ნეიტრალიზაციით სოციალურ ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანის გზით; მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროების ურთიერთქმედების ფაქტორების გათვალისწინება; თუკი რომელიმე უარყოფითი ეკონომიკური მოვლენის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა ვერ ხერხდება, შესაძლებელია მისი გარკვეულ დონემდე ნეიტრალიზება დადებითი პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ფაქტორების ჩანაცვლების გზით. მაგალითად, უმუშევრობის პირობებში მნიშვნელოვანია დასაქმების სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ეფექტური საქმიანობა, რეგულარული შემწეობების გაცემა, რომელიც უზრუნველყოფს უმუშევარი, სოციალურად დაუცველი პირის საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილებას[94]. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საერთო- სოციალური ზომები იმ კომპლექსურ ღონიძიებათა ერთობლიობაა, რომლებიც საბოლოო ჯამში მიმართულია საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი, სულიერი ცხოვრების წინსვლისა და გაჯანსაღებისაკენ. საერთო-სოციალური ზომები არის ადამიანთა საერთო ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნის წინაპირობა, ამასთანავე იმის საფუძველი, რომ ადამიანებს შეუწყდეთ მავნე მოთხოვნილებების ფორმირება (მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარება, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია და ა. შ.), გაუჩნდეთ სურვილი ეფექტურად გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები კანონის ფარგლებში, მიეცეთ საზოგადოებრივად სასარგებლო, მართლზომიერი ქმედებების განხორციელების სტიმული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საერთო მიდგომის სუბიექტებად უნდა მივიჩნიოთ ყველა ზემოთ დასახელებული სოციალური კონტროლის სუბიექტი, რასაც ვერ ვიტყვით დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ინდივიდუალურ მიდგომასთან მიმართებით, სადაც მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს და განისაზღვროს სუბიექტები, მათი უფლებამოსილებანი და ობიექტები.

93 იხ. იქვე.

94 იხ. Криминология. Уебник для вузов. М., 2001. с. 440.

საერთო-სოციალური სტრუქტურა, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივ ზომებს; მასში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ფართო სოციალურ ჯგუფებთან და მეორე - ზომებს, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ ობიექტებთან და მიკროჯგუფებთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მხედველობაში გვაქვს იმ ფაქტორების გამოვლენისა და აღმოფხვრის პროცესი, რომლებიც განაპირობებს სამართალდარღვევებს კონკრეტულ ობიექტებზე — საწარმოებში, ტურისტულ ზონებში, სასწავლო კოლექტივებში, დაწესებულებებში.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საერთო სახელმწიფოებრივი ზომები ასახვას პოვებს საქართველოს კანონმდებლობაში, მოქმედებენ ქვეყანაში მცხოვრები ყველა პირის მიმართ, მათ შორის, განსაზღვრული კატეგორიის მიმართ (მაგალითად აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პირების, საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის მიმართ...). ამასთანავე, საერთო-სახელმწიფოებრივი კონტროლის ზომებზე საუბრისას მიზანშეწონილი იქნება მოვახდინოთ იმ ზომების კლასიფიკაცია, რომლებიც მიმართულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კრიმინოგენური ფაქტორების გამოვლენისა და აღმოფხვრისაკენ. სწორედ აღნიშნული ხასიათის ზომები ატარებენ საერთო-სახელმწიფოებრივ ხასიათს და იმავდროულად მჭიდროდ არიან დაკავშირებული დანაშაულობის საერთო- სოციალურ კონტროლთან.

ასეთ ზომებს მიეკუთვნება: კრიმინოგენური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულობის ჩადენას; კრიმინოგენური ვითარების ანალიზი განსაზღვრულ ტერიტორიაზე; მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა და სამართლებრივი

პროპაგანდა; საზოგადოებრივი აზრის შექმნა სოციალური კონ-
ტროლის განხორციელების აუცილებლობაზე; მოქალაქეთა პი-
რადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად
ტექნიკური ხასიათის ღონისძიებების ორგანიზება და განხორ-
ციელება; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების
ინფორმირება დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებსა და ხელმ-
შემწყობ ფაქტორებზე; საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით
სამართლებრივი მომსახურება; პოლიციის პატრულირება იმ ადგ-
ილებში, რომლებიც გამოირჩევა დანაშაულობის მაღალი დონით;
კომპლექსური და მიზანმიმართული ოპერატიულ-სამძებრო
ღონისძიებების გატარება დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანო-
ბის გამოსავლენად; დამნაშავეთა და კანონდამრღვევთა დროული
დაკავება[95].

აღნიშნული ზომები, საერთო-სახელმწიფოებრივს წარმოად-
გენს იმდენად, რამდენადაც მათი განხორციელების ვალდებულე-
ბა ეკისრება სწორედ სახელმწიფოს ზემოთ ჩამონათვალში მი-
თითებული სამართალდამცავი ორგანოების სახით. კერძოდ,
კრიმინოგენური ფაქტორების გამოვლენისა და ნეიტრალიზების
პროცესში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა პირო-
ბითად შესაძლოა დავყოთ ორ ეტაპად: I - საინფორმაციო-ანალ-
იტიკური საქმიანობა; II - ღონისძიებათა დაგეგმვა და გატარება.
ამათგან პირველი ეტაპი არის იმ კრიმინოლოგიურ ინფორმა-
ციათა ერთობლიობა, რომლებიც, დადგენილი წესით, შესულია
სამართალდამცავ ორგანოებში და ეს ორგანოები ვალდებული
არიან მიიღონ გადაწყვეტილებანი გამოვლენილი კრიმინოგენური
ფაქტორების თავიდან ასაცილებლად. ასეთ ინფორმაციებს უნდა
მივაკუთვნოთ ოპერატიული ხასითის ინფორმაციები და სამარ-
თალდამცავი სტრუქტურების ანალიტიკური ორგანოების მიერ,
ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზე, დამუშავებული დო-
კუმენტები. ამ დოკუმენტებში მითითებულ უნდა იქნეს მატერი-
ალური, ორგანიზაციული, სამართლებრივი, აღმზრდელობითი და
ტექნიკური კუთხით არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს
უწყობს დანაშაულობის ჩადენას, ასევე, ტექნიკურ ღონისძიებათა

95 იხ. Криминология. Учебник для вузов. Под. ред. В.Д. Малкова. Издание второе. М., 2006. с. 69.

გატარების პროცესი. წინადადებები დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების თავიდან აცილების შესახებ უნდა იყოს კანონიერი, საფუძვლიანი, კონკრეტული, ეკონომიურად და სოციალურად მიზანშეწონილი[96].

ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპი მოიცავს მთელი ზომების კომპლექსს. აღნიშნული ხასიათის ღონისძიებები იგეგმება და ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან როგორც დამოუკიდებლად, ისე დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სხვა სუბიექტებთან ერთად. ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესი, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ ძირითად სტრუქტურას: კრიმინოლოგიური ვითარების დახასითება რეგიონში; ღონისძიების მიზანი და ამოცანები; კონტროლის ღონისძიებათა სისტემის აღწერილობა; ძალები და საშუალებები; ღონისძიებათა მართვის სისტემა; ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფა; შედეგების აღწერა[97].

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას პიროვნებისა და საკუთრების ყველა ფორმის დაცვასთან დაკავშირებით, აღნიშნული საქმიანობის არსია ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც დაბრკოლებას შეუქმნის დანაშაულის ჩადენას განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოები უნდა ანხორციელებდნენ საერთო-სოციალური კონტროლის ფუნქციას ქუჩებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა და დიდ დასახლებულ რაიონებში. ამ ფუნქციის ეფექტურად განხორციელება მიიღწევა მეთვალყურეობისა და შემოწმების მეთოდების ეფექტური გამოყენებით. კერძოდ, რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს ოპერატიულ-სამძებრო და საზედამხედველო ღონისძიებები, ასევე სისტემატურად უნდა მოწმდებოდეს მოქალაქეთა თავშეყრის ისეთი ადგილები, როგორიცაა მაგალითად, ბაზრები, სასტუმროები, საერთო საცხოვრებლები, ბარები, ღამის კლუბები, ანუ მოქალაქეთა თავშეყრის ისეთი ადგილები, სადაც არსებობს დანაშაულობათა ჩადენის მაღალი ალბათობა. აღნიშნული ფუნქციის განხორციელების

96 იხ. Криминология. Учебник для вузов. Под.Ред. В.Д. Малкова. Издание второе. М., 2006. с. 69.

97 იხ. იქვე, გვ. 72.

პროცესში სამართალდამცავი ორგანოების გარდა შემოდის, ასევე დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის არასპეციალიზებული სუბიექტი - კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურები. ამ საკითხთან მიმართებით, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე პირობებში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება ტექნიკური საშუალებები, კერძოდ — საცხოვრებელი, ასევე კომერციული ადგილების, სადარბაზოების, სხვენებისა და სარდაფების ტექნიკური საშუალებებით (სიგნალიზაცია, ვიდეოთვალი) დაცვა, ქუჩების განათება და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების დამონტაჟება, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოები, არამედ კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურებიც. თუმცა, ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფომ, თავისი შესაბამისი სტრუქტურების საშუალებით, მიზანშეწონილია იზრუნოს და სისტემატურად მოიპოვოს ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ სძლევენ ტექნიკური საშუალებების დაბრკოლებას დამნაშავეები, გაანალიზოს, დაამუშაოს და მიაწოდოს ეს ინფორმაცია შესაბამის საწარმო-დაწესებულებებს, რათა კონსტრუქციული ცვლილებები შეტანილ იქნეს გამოსაშვებ პროდუქციაში[98]. შესაძლებელია ამ კუთხით საქართველოს სახელმწიფომ დაიწყოს თანამშრომლობა გავლენიან უცხოურ ორგანიზაციებთან. ვფიქრობთ, აღნიშნული ხასიათის საქმიანობა მნიშვნელოვნად წაადგება სახელმწიფოებიუჯეტსაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლა კრიმინოლოგიური ვითარების შესახებ. საზოგადოებრივი აზრი რთული ინტელექტუალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენაა, შეფასებითი კატეგორია, რომელიც ვლინდება ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და მოსახლეობის ფენების მიერ სხვადასხვა სოციალურ პროცესებთან დაკავშირებით. ის დამოკიდებულია არა მხოლოდ მოსახლეობის ინფორმირების დონეზე, არამედ, ასევე, ცალკეული მოქალაქეების სუბიექტურ შეხედულებებზე. მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უარყოფითი შეხედულება

98 იხ. იქვე, გვ. 72-73.

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე შეიძლება იყოს, მაგალითად, როგორც რეალური ფაქტების, ასევე რეალობის არაადეკვატური აღქმის შედეგი. სოციალური კონტროლის სუბიექტების მიერ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა გულისხმობს ისეთი ინფორმაციების გამოყენებასა და ანალიზს, რომლებსაც შეიცავს განცხადებები, შეტყობინებები, მოქალაქეთა წერილები, მათი პირადი საუბრები დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტებთან, პუბლიკაციები და სოციოლოგიური კვლევებით მიღებული შედეგები, რაც სისტემატურად უნდა ტარდებოდეს როგორც მოსახლეობის ცალკეულ ფენებში, ისე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებსა და კანონდამრღვევებთან. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ძირითადად ხორციელდება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტების მიერ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გამოსვლის პროცესში, მოქალაქეებთან, სასწავლო და შრომით კოლექტივებთან უშუალო შეხვედრების გზით. აღნიშნული საქმიანობის უმთავრესი მიზანია დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სუბიექტების შესახებ საზოგადოებაში დადებითი დამოკიდებულების ფორმირება და საზოგადოებრივ ცნობიერებაში იმ იდეის დანერგვის აუცილებლობა, რომ დანაშაულობის ნეიტრალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასში ჩართული იქნება საზოგადოების დიდი ნაწილი[99].

საზოგადოებაში კონტროლის მოთხოვნილება წარმოიქმნება სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირების პროცესში, კერძოდ კი – სამართლებრივი და ზნეობრივი ურთიერთობების პროცესში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ ცნობიერებასთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სამართლებრივი და ზნეობრივი ურთიერთობანი, თავის მხრივ, ყალიბდება ეკონომიკური ურთიერთობებისა და სახელმწიფოში გაბატონებული კლასის პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე. იგი მიმართულია სოციალური ურთიერთობების, საკუთრების დაცვისაკენ, განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამართლებრივ მდგომარეობას, ცალკეული მოქალაქეების უფლებებსა და მოვალეობებს.

99 იხ. იქვე, გვ. 73.

მორალისა და სამართლის ნორმები ამყარებს იმ სოციალურ ურთიერთობებს, რაშიც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოება. სამართლის ნორმები, ამ კუთხით, ასრულებს რეგულაციურ ფუნქციას და საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვის ფუნქციას. სამართლებრივი ზემოქმედების პროცესში მთავარ როლს ასრულებს რეგულაციური ფუნქციები, მიმართული დადებით სამართლებრივ ზემოქმედებაზე, ანუ მიმართული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებასა და მათ განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევაზე. მაგრამ, საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება მხოლოდ სამართლის ნორმებით დაუშვებელია, ვინაიდან აღნიშნულ პროცესში, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მორალის ნორმები. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ქართული საზოგადოება სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატეს მნიშვნელობას. ამდენად, კონტროლი უნდა გავრცელდეს ისეთ სოციალურ ურთიერთობებზეც, რომლებიც რეგულირდება საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული მორალისა და სამართლის ნორმებით.

ამ ნორმების მოქმედების სფერო კი, ხშირ შემთხვევაში, არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, არსებითი განსხვავება ისაა, რომ სამართლის ნორმები არეგულირებს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ურთიერთობებს და კონტროლდება სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონის ფარგლებში. მორალის ნორმები კი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც არ ექვემდებარება სამართლებრივ კონტროლს. შესაბამისად, მათი მოქმედების არეალი უფრო ფართოა, ვიდრე სამართლის. გარდა ამისა, იგი არეგულირებს ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებშიც უშუალოდ ვლინდება ადამიანის ქცევის ბუნება და რომელსაც შეიძლება მიეცეს მორალური შეფასება[100]. ასეთ დროს, კონტროლი საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე წარმოიშობა, კონკრეტული ინდივიდის საქციელის შეფასების პროცესში, რომელიც ფაქტობრივად დაცვით ფუნქციებსაც ასრულებს. აქ მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მორალის ნორმების მოთხოვნების დაცვას აკონტროლებს მთელი საზოგადოება.

100 იხ. Теория государства и права. Под. Ред. С.С. Алексеева. М., Юрид. Лит. 1985. с. 251.

გამომდინარე იქიდან, რომ კონტროლი ვრცელდება არა მარტო სამართლის ნორმებით რეგულირებულ ურთიერთობებზე, არამედ ისეთებზეც, რომლებიც რეგულირდება მორალის ნორმებით, მისი ჩატარებისას შესაძლებელია ოპერატიულად განხორციელდეს რეაგირება მოქალაქეების გადახრით საქციელზე და საწყის ეტაპზევე უზრუნველყოფილ იქნეს დევიანტური ქცევის კონტროლი.

დანაშაულობის ინდივიდუალური კონტროლის თავისებურება. დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ინდივიდუალურ მიდგომაში იგულისხმება კონკრეტულ პიროვნებასა და მის გარემოცვაზე სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მის საქციელზე ადექვატური კონტროლის დაწესებით. ინდივიდუალური კონტროლის არსი შემდეგია: 1) პიროვნებისათვის კრიმინოგენური სოციალური პრობლემების მოგვარება, მაგალითად, დაკავშირებული უმუშევრობასთან; 2) დახმარების აღმოჩენა – გადალახოს ადამიანური და ფსიქოლოგიური სიძნელეები და 3) საქციელის კონტროლი (მაგალითად, იმ პირთა საქციელის კონტროლი, რომელთაც სასამართლოს მიერ დანიშნული აქვთ პირობითი მსჯავრი)[101]. გარდა ამისა, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ინდივიდუალური ზომები შესაძლოა დავყოთ: ადრეულ, უშუალო და რეციდივისტთა კონტროლის ზომებად[102].

ადრეული კონტროლი მოიცავს გამაფრთხილებელი სამუშაოების წარმოებას ზოგად ფორმატში იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს კონკრეტული პირის ან რომელიმე სოციალური ჯგუფის მიერ მომავალში შესაძლო კრიმინალური საქმიანობა. ადრეული კონტროლის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრებული და გავრცელებული კრიმინოლოგიური სასკოლო და სკოლამდელი პროგრამები, რომელთა მიზანია მოზარდთა ხასიათის დადებითი მხარეების ჩამოყალიბება, მათში აგრესიული თვისებების აღმოფხვრა. უშუალო კონტროლი გამოიხატება მიზანმიმართულ საქმიანობაში კონკრეტული პირებისა და მათი ახლო გარემოცვის მიმართ. აღნიშნული საქმიანობის ობიექტები

101 იხ. Шестаков Д.А. Криминология. СПТ. 2006. с. 255.

102 იხ. იქვე.

არიან ინდივიდები, რომელთა ცხოვრების წესი და უნარ-ჩვევები მოწმობს, რომ მათი მხრიდან დიდი ალბათობითაა შესაძლებელი დანაშაულთა და ცალკეული სამართალდარღვევების ჩადენა[103].

უშუალო კონტროლის ობიექტები არიან ცალკეული კრიმინოგენური პიროვნებები, მიკროგარემო, სადაც ხდება ნეგატიურ გამოვლინებათა ზემოქმედება ინდივიდებზე, რაც საბოლოო ჯამში უბიძგებს მათ დანაშაულის ან სხვა დევიანტური ქცევის განხორციელებისაკენ.

რეციდივისტთა კონტროლში იგულისხმება საკონტროლო საქმიანობის წარმოება იმ პირების მიმართ, რომელთაც უკვე ჩადენილი აქვთ დანაშაულები თუ ცალკეული სამართალდარღვევები. ასეთებს განეკუთვნებიან მსჯავრდებულები, რომლებიც რეალურად იხდიან სასჯელს; პირობით მსჯავრდებულები და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირები; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულები; არასრულწლოვანები, რომელთაც დანიშნული აქვთ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი. ინდივიდუალური კონტროლი მოიცავს ასევე დესოციალიზებულ პირებს, რომელთაც განეკუთვნებიან: მუდმივი შემოსავლის არმქონე ადამიანები, უმუშევრები, ალკოჰოლიზმით დაავადებულები, ნარკომანები, მეძავები[104].

ინდივიდუალური კონტროლის აქტუალური მიმართულებაა სამართალდარღვევათა და დევიაციათა პრევენცია ახალგაზრდათა შორის, ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია ნარკომანია და ოჯახური ძალადობა; დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა კონტროლის ღონისძიებათა ისეთ შემადგენელ ნაწილს, როგორიცაა „კომუნალური პრევენცია"[105], მისი არსი მდგომარეობს კომპაქტურად დასახლებული ადამიანების თვითორგანიზაციაში, პოლიციასთან მჭიდრო თანამშრომლობით აკონტროლონ საზოგადოებრივი წესრიგი თავიანთ დასახლებულ ტერიტორიაზე. ასეთ ვითარებაში საზოგადოება, ერთობლივი ძალისხმევით, ხელს უწყობს ახალგაზრდობის მიერ

103 იხ. Гидденс А. Социология. М., 1999. с. 124-125.

104 იხ. Шестаков Д.А. Криминология. СПТ. 2006. с. 256.

105 იხ. იქვე.

ქანონის ფარგლებში, ზნეობრივი ღირებულებების დაცვით, თავისუფალი დროის მოხმარებას. მზრუნველობას იჩენს სოციალურად დაუცველი მეზობლების მიმართ და ა.შ.

დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა ადასტურებს, რომ დანაშაულობის არსებობა საზოგადოებაში დაკავშირებულია მრავალ ნეგატიურ გამოვლინებასთან, მათ შორის სოციალური კონტროლის განვითარების დაბალ დონესთან. აღნიშნული კი, თავის მხრივ, იწვევს მოქალაქეთა მიერ თავიანთი საქციელისადმი კონტროლის შესუსტებას, რაც ხელს უწყობს სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა ჩადენას. ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ ქართულ საზოგადოებაში უახლოეს მომავალში გაჩნდება ფართო მოთხოვნილება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების სიღრმისეული დამუშავებისა და განსაზღვრისა.

მედიატორის ინსტიტუტი დანაშაულობის ინდივიდუალური კონტროლის სისტემაში. მსოფლიო პრაქტიკაში ინდივიდუალური კონტროლი დაყვანილია დამნაშავესა და დაზარალებულს შორის კონფლიქტის დარეგულირების დონემდე. დაზარალებულთან „შერიგება" სხვადასხვა ფორმებით ჩადებულია დასავლეთის ბევრი განვითარებული ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში და არის თავისუფლების აღკვეთისა და სასჯელის ყველა სხვა სახის ალტერნატიული ღონისძიება. ასეთი პრაქტიკა დანერგილია და ნორმატებით მოქმედებს ნიდერლანდებში, იგი „მედიატორის ინსტიტუტის" სახელითაა ცნობილი მეცნიერებაში. უცხო ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნამდვილი შერიგება დანაშაულის თავიდან ასაცილებლად შესაძლოა მიღწეულ იქნეს მხოლოდ სპეციალისტის (მედიატორის) მონაწილეობითა და აქტიური ძალისხმევით. აღნიშნულის გათვალისწინების საფუძველზე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში წარმოიშვა ახალი პროფესია „მედიატორობა", რომელიც, ბუნებრივია, შესაბამის ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს. თუმცა ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში ეს პრობლემაც მოგვარებულია და იუსტიციის სამინისტროების სტრუქტურებში მოღვაწეობენ მედიატორები[106], რომლებიც ირიცხებიან საშტატო ნუსხაში სხვა თანამშრომლებთან ერთად.

106 იხ. Шестаков Д.А. Криминология. СПТ. 2006. с. 257-258.

კლინიკური კრიმინოლოგიის მნიშვნელობა დანაშაულობის ინდივიდუალური კონტროლის სისტემაში. დანაშაულობაზე ინდივიდუალური სოციალური კონტროლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია კრიმინოლოგიის მეცნიერების ისეთი დარგის მიღწევების გათვალისწინება, როგორიცაა „კლინიკური კრიმინოლოგია", რამაც გამოიწვია სადამსჯელო პოლიტიკის ჰუმანიზაცია ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში. ამ მხრივ ლიდერობენ იტალია და საფრანგეთი, სადაც დაინერგა „კრიმინოლოგ-კლინიცისტების" პროფესია. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებზე პატიმართა რეაბილიტაციის საკითხებთან მიმართებით. საფრანგეთში ამას მოჰყვა პენიტენციალური სისტემის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც პენიტენციალურ სისტემაში შეიქმნა სოციალურ-აღმზრდელობითი სამსახური. პატიმრებს გაუჩნდათ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა, სწავლების შესაძლებლობა სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში და საჭირო სამედიცინო დახმარების მიღება თავისუფლების აღკვეთის ადგილების ფარგლებს გარეთ[107]. ვფიქრობთ, აღნიშნული მოდელის შეთავაზება ქართული პენიტენციალური სისტემისათვის დღევანდელ დღეს, უდავოდ, მნიშვნელოვანი იქნება და მისი წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად შეცვლის არსებულ ვითარებას.

107 იხ. Иншаков С.М. Зарубежная криминология. М., 1997. с. 199-200.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტული წესები, როგორც დანაშაულობის საერთაშორისო კონტროლის ძირითადი მიმართულება.

თავი 6

სახელმწიფოს კრიმინოლოგიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია. გაცილებით ეფექტურია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე მისი შედეგების გამოსწორებაზე შემდგომი ზრუნვა. რაც უფრო მეტ არასრულწლოვანს შევაჩერებთ დანაშაულის ჩადენამდე, რაც მეტ მათგანს განვარიდებთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას, მით მეტად შევამცირებთ დანაშაულის ჩადენის პოტენციურ რისკს.[108]

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი ოდითგანვე იყო სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი. ცივილიზაციის განვითარებამ გამოიწვია აღმზრდელობითი სისტემის ჩამოყალიბება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოზარდ თაობას უნდა გადავცეთ არა მარტო ტრადიციული უნარ-ჩვევები და რელიგიური დოგმატები, არამედ განსაზღვრული მსოფლხედველობა, ფილოსოფიური შეხედულებები, რომლებიც შემდგომში აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას მის ცალკეულ ქმედებებსა და საქციელზე მთლიანად. ახალგაზრდების მიმართ სწორი აღმზრდელობითი ზომების გამოყენება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საკმაოდ ეფექტური მეთოდია. ყოველივე ეს ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მიერ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად იყო მიჩნეული და მიზანშეწონილად ითვლებოდა, რომ ხელისუფლებას დიდი ყურადღება დაეთმო ხალხის სწავლა-აღმზრდელობითი საქმიანობისათვის[109].

არსებული რეალობიდან გამომდინარე სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენს ისტორიულ წარსულს, აწყმოსა და რელიგიური მართლმადიდებლური აზროვნების დამკვიდრებას. განსახილველ საკითხთან მიმართებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ძველი დროის ყველაზე მეტად განვითარებულ

108 იხ. იქვე.

109 იხ. История философии. М., 1957, Т 1, с.61. История

ელინურ სახელმწიფოში — სპარტაში — მოქმედებდა სოციალურ ურთიერთობებზე ზემოქმედების ორიგინალური სისტემა: სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ოჯახურ ურთიერთობებში. სპარტაში ითვლებოდა, რომ ქორწინება არის „დაწესებულება", რომელსაც აქვს ერთადერთი მიზანი — აღზარდოს ფიზიკურად და ზნეობრივად განვითარებული, ჯანმრთელი მოქალაქეები; სახელმწიფო არათუ აქტიურად აკონტროლებდა ახალგაზრდების გონებრივ და ფიზიკურ-აღმზრდელობით პროცესს, არამედ აწარმოებდა დასაქორწინებელი წყვილების მკაცრ შერჩევასაც. ქორწინება, რომლის შედეგადაც არ დაიბადებოდნენ ბავშვები, გაუქმებულად ითვლებოდა და მოქალაქეები ვალდებულნი იყვნენ სხვასთან ექორწინათ. დაუქორწინებლობა დანაშაულად ითვლებოდა; ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სპარტანელ ოჯახებს უნდა ჰყოლოდათ, მკაცრად იყო განსაზღვრული. ქვეყანაში მოქმედებდა ახალგაზრდობის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური განვითარების მკაცრი კრიტერიუმები. ასეთი მიდგომა გამოწვეული იყო იმ გაუთავებელი ბრძოლებით, რომლებსაც სპარტა აზიურ სახელმწიფოებთან აწარმოებდა. სპარტამ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ოჯახური ურთიერთობანი და ახალგაზრდობის აღმზრდელობითი პროცესი შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა მიზნებისათვის[110], მათ შორის დანაშაულობაზე სოციალური კონტროლისათვის.

თანამედროვე ამერიკელი სწავლული კრიმინოლოგების, მათ შორის კოგანის, გამოკვლევებმა დაადასტურა ძველი ჭეშმარიტების სისწორე, რომ ოჯახის სიმტკიცეს და ახალგაზრდობის სწორ აღმზრდელობით საქმიანობას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განსახორციელებლად[111].

ზემოაღნიშნული დებულების ძირითადი პრინციპები ასახულია „გაერთიანებული ერების მინიმალურ სტანდარტულ წესებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის" (პეკინური წესები), კერძოდ, „პეკინური წესების" პირველი თავის I მუხლის II პუნქტში აღნიშნულია, რომ „წევრი სახელმწიფოები

110 იხ. Michell H.. Sparta. Camb, 1952.

111 იხ. Коган. У. Криминологические исследования в мире. М., 1995. с. 160.

უნდა შეეცადონ შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის სრულფასოვან ცხოვრებას საზოგადოებაში, რაც მისი სიცოცხლის იმ პერიოდში, როდესაც იგი ყველაზე მეტად არის მიდრეკილი დევიაციური ქცევისადმი, ხელს შეუწყობს პირადი განვითარებისა და განათლების პროცესს, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს დანაშაულისა და დელიქვენტურობისაგან იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია"[112]. ასევე, საყურადღებოა ამავე მუხლის IV პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება გაგებულ უნდა იქნეს როგორც თითოეული ქვეყნის ეროვნული განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილი, ყველა არასრულწლოვანისათვის სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველ ფარგლებში და ამგვარად, ამავე დროს — როგორც ახალგაზრდების დაცვისა და საზოგადოებაში მშვიდობიანი წესრიგის შენარჩუნების საქმეში შეტანილი წვლილი"[113]. აგრეთვე, საყურადღებოა ის გარემოება, რომ გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპებში არასრულწლოვანთა დანაშაულების პრევენციის შესახებ ბავშვთა უფლებათა კონვენციის (ერ-რაიდის წესების) IV თავის A პუნქტში (ოჯახი) აღნიშნულია, რომ: „ყოველი საზოგადოება განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს ოჯახისა და მისი ყველა წევრის მოთხოვნილებებსა და კეთილდღეობას. იმდენად, რამდენადაც ოჯახი ბავშვთა პირველად სოციალიზაციაზე პასუხისმგებელი ძირითადი ერთეულია, ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან აუცილებელია ძალისხმევა ოჯახის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ორზე მეტი თაობის წარმომადგენელთაგან შემდგარი (გაფართოებული) ოჯახის ჩათვლით. საზოგადოება ვალდებულია, დახმარება აღმოუჩინოს ოჯახს ბავშვებზე მზრუნველობის, მათი დაცვისა და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საქმეში. საჭიროა ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფა, ბავშვთა აღზრდის დაწესებულებების ჩათვლით. სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება სტაბილურ და მშვიდ ოჯახურ გარემოში ბავშვების აღზრდისაკენ"[114].

112 იხ. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. პირველი ნაწილი. ლ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 2006, გვ. 179.

113 იხ. იქვე, გვ. 179.

114 იხ. იქვე, გვ. 253.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მაღალი ეკონომიკური დონე (თუკი საზოგადოებაში შენარჩუნებული არ არის ისტორიული ტრადიციები) არ აბრკოლებს დანაშაულობათა ზრდას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც მსოფლიოში ეკონომიკურად უმდიდრესი სახელმწიფოა, ამავე დროს გამორჩევა დანაშაულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით; იგივე შეიძლება ითქვას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, დიდ ბრიტანეთზე, საფრანგეთსა და იტალიაზე[115]. ამავე დროს, იაპონიაში, რომელიც ძალზე განვითარებული ქვეყანაა და არც ერთ დასახელებულ სახელმწიფოზე ნაკლებ განვითარებული არაა ეკონომიკურად, დანაშაულობის დონე საკმაოდ დაბალია[116], რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: იაპონიაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ისტორიული ტრადიციები რჩება ძველებურად, მოსახლეობა ვალდებულად თვლის თავს შეინარჩუნოს პატივისცემა ოჯახისადმი, საზოგადოებისა და ერისადმი. იაპონელთა ცხოვრების ყაიდა განისაზღვრება ოჯახის პატრიარქალური სტრუქტურით, საზოგადოებაში ძლიერ მოქმედებს ოჯახურ-ნათესაური ტრადიციები, პატივისცემა უფროსებისადმი, შეუგუებლობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლებით ცხოვრობენ. ხელისუფლება დიდ ძალისხმევას ხარჯავს, რათა შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობების ეფექტური სისტემა, საზოგადოება ავსებს და აძლიერებს ოჯახის გავლენას. ახალგაზრდობა კარგად არის ინტეგრირებული საზოგადოებაში, თაობათა შორის კონფლიქტი პრაქტიკულად არ არსებობს, ან თუ არის, იგი წყდება მშვიდობიანად, ურთიერთშეთანხმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულობის სოციალურ კონტროლში მონაწილეობს მთელი მოსახლეობა, ამ კონტროლის სისტემები ეფექტურად მოქმედებს დასახლებულ სექტორებში, მასში ჩართულია მრავალრიცხოვანი სტუდენტური, ახალგაზრდული, ქალთა ორგანიზაციები. პოლიცია სისტემატურად ამოწმებს ცალკეულ სახლებს, რჩევებს აძლევს მოქალაქეებს ოჯახური დავების შემთხვევაში და აგვარებს მათ. მოქალაქეები

115 იხ. Шнайдер Г.И. Криминология. М., 1994. с. 35-38.

116 იხ. Иншаков С.М. Зарубежная криминология. М., 1997. с. 8.

დადებითად არიან განწყობილნი პოლიციის მიმართ, თავს ვალდებულად თვლიან ნებისმიერი კანონდარღვევის შემთხვევაში ინფორმაციით უზრუნველყონ სამართალდამცავი ორგანოები, რაც მათდამი საზოგადოების საკმაოდ მაღალი ნდობის გამოხატულებაზე მეტყველებს. იაპონია ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მისაბაძი ქვეყანაა დანაშაულობის დაბალი დონის მხრივ მსოფლიო საზოგადოებისათვის[117].

შვეიცარია, იაპონიის მსგავსად, დანაშაულობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლის ქვეყანაა[118]. ჩვენთვის მეტად საყურადღებოა იმ ფაქტორების გამოკვლევა, თუ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის რა საშუალებები არსებობს აღნიშნულ ქვეყანაში და კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, რით განსხვავდება შვეიცარია სხვა დანარჩენი ევროპული სახელმწიფოებისაგან. ვფიქრობთ, შვეიცარიისა და იაპონიის მიღწევები დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად მისაღები უნდა იყოს საქართველოსთვის, მით უმეტეს, როდესაც საქართველოს საზოგადოებაში არსებობს სინთეზი ევროპულსა და აზიურ ტრადიციებს შორის.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თეორიული საფუძვლების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შვეიცარიაში დანაშაულობის დაბალი დონე განპირობებულია მთელი რიგი კომპლექსური ფაქტორებით, კერძოდ, მათ რიცხვს განეკუთვნება: ურბანიზაციის შენელებული პროცესები (შვეიცარიაში არ არსებობს ქალაქი, სადაც დასახლებული იყოს მილიონზე მეტი ადამიანი); მრეწველობის დეცენტრალიზაცია, რის გამოც არ არის დიდი სამრეწველო ქალაქები, რომელთა არსებობასაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში თან სდევს ე.წ. „ღარიბთა კვარტალების“ და კრიმინოგენური რაიონების არსებობა; შვეიცარიაში უმეტესწილად ცხოვრობს ძირძველი მოსახლეობა, თაობიდან თაობამდე ოჯახები ცხოვრობენ ერთსა და იმავე ადგილას, ადამიანები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ითავისებენ ერთმანეთის ადათ-წესებსა და ჩვეულებებს და აქტიურად მისდევენ არსებულ ტრადიციებს; მოსახლეობას აქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების მაღალი ხარი-

117 იხ. Шнайдер Г.И.. Криминология. М., 1994, с. 41.

118 იხ. Иншаков С.М.. Зарубежная криминология. М., 1997. с. 202.

სხი ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ პროცესებთან მიმართებით. შვეიცარიაში ღრმად აქვთ გაცნობიერებული ურთიერთდახმარების მოვალეობა და სოლიდარობა. ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია ანდაზა, რომლის თანახმად „ყველა მოქალაქე თავისთავად პოლიციელია"; აღსანიშნავია აგრეთვე პოლიციის დეცენტრალიზაცია და მისი ორიენტაცია საზოგადოების ინტერესებზე; თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად ძალიან ხშირად გვევლინება პირობითი მსჯავრი, ხოლო თავისუფლების აღკვეთის სახით განაჩენის დადგენისას, სჭარბობს მცირე ვადის სანქციები; დაოჯახებული ქალები პრაქტიკულად არ არიან დაკავებულნი პროფესიული საქმიანობით, ამდენად მათ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ უკეთ მოუარონ თავიანთ შვილებს და წარმატებით აღზარდონ ისინი.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დანაშაულობის ძალზე დაბალი დონეა ახალგაზრდობაში. 18 წლამდე ფაქტობრივად არც ფიქსირდება კანონდარღვევები; სასკოლო პროგრამები შეიცავს ძალიან ბევრ აკრძალვებს, მასწავლებელს აქვს საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი. ამას შეიძლება დავუმატოთ ის გარემოება, რომ ახალგაზრდობაში არ არის უმუშევრობა და ქვეყანაში არ არსებობს ოჯახის ნორმალური ფუნქციონირების ხელშემშლელი პირობები. ოჯახური ურთიერთობანი დაფუძნებულია ტრადიციულ პატრიარქალურ ურთიერთობებზე. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ განაჩენების 2/3, რომლებიც შეეხება თავისუფლების აღკვეთას, სასამართლოებს გამოაქვთ პირობითად[119]. ამდენად, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ზოგიერთი ასპექტების შედარებამ და გაანალიზებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა დანაშაულობის გამომწვევი და, ამავე დროს, მისივე კონტროლის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი — საზოგადოების ტრადიციული ღირებულებები. ე. დიურკჰეიმი ამის შესახებ წერდა, რომ თუკი რომელიმე საზოგადოებაში ტრადიციული ინსტიტუტები კარგავს თავის ძალას, თუკი სუსტდება კავშირი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, ღირებულებათა სისტემა იმსხვრევა და წარმოიქმნება ანომია[120].

119 იხ. Шнайдер Г.И.. Криминология. М., 1994. с. 36-37. ასევე, Иншаков С.М. Зарубежная криминология. М., 1997. с. 202.

120 იხ. Массионис Д.Ж.. Социология. СПТ. 1999. с. 126-127.

კრიმინოლოგიური პოლიტიკა.

თავი 7

კრიმინოლოგიური პოლიტიკა გამოიხატება სახელმწიფოს მიერ კონცეფციის შემუშავებით, რომელშიც უნდა აისახოს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ტაქტიკა და სტრატეგია. იგი მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: იურიდიულს და კრიმინოლოგიურს.[121] ამათგან პირველი მიმართულება დაკავშირებულია მატერიალური სისხლის სამართლებრივი, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობის განვითარებასთან, ასევე, იგი უზრუნველყოფს იმ პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული. მეორე მიდგომა, კრიმინოლოგიური, მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებათა სისტემურ შესწავლასა და გაანალიზებას, დანაშაულობის თავიდან აცილებას, დანაშაულის მსხვერპლთათვის სათანადო მატერიალური და ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენას, ასევე, ნორმალური პირობების შექმნას იმ პირთათვის, რომლებიც გათავისუფლებული არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, რათა საშუალება მიეცეთ დაუბრუნდნენ ნორმალურ, კანონიერ ცხოვრებას[122]. კრიმინოლოგიური პოლიტიკის დანიშნულებაა გააკონტროლოს სოციალური პროცესები, მათი ნეგატიური გამოვლინებები, რეკომენდაციები შესთავაზოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, როგორ უნდა გადაილახოს ესა თუ ის პრობლემა. ასეთი რეკომენდაციები კი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური და რეალური, როდესაც მათში გათვალისწინებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების რეალური შესაძლებლობანი კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებით (ვთქვათ ეკონომიკური, ფინანსური და ა.შ.). დანაშაულობაზე რეაგირების საშუალებები არ უნდა იყოს ორიენტირებული ტაქტიკური ამოცანების გადაჭრაზე, ვინაიდან უპირატესი მნიშვნელობა კრიმინოლოგიური პოლიტიკის სტრატეგიულ მიდგომას ენიჭება.

კრიმინოლოგიური პოლიტიკის ტაქტიკური ზომების არსი კი

121 იხ. Шестаков Д.А. Криминология. СПТ. 2006. с. 398.

122 იხ. იქვე, გვ. 399-400.

ისაა, რომ იგი დაფუძნებულია პრობლემის ერთჯერად გადაწყვეტაზე, რაც გამოიხატება დანაშაულში ბრალდებული პირის საზოგადოებისაგან იზოლაციაში, ხშირ შემთხვევაში, საქმე გვაქვს პატიმრობასთან. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სისხლისსამართლებრივი რეპრესია, როგორც დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საშუალება, უშედეგოა; მისი საშუალებით დანაშაულის ჩადენას ავიცილებთ მხოლოდ იმ ვადებში, რა ვადითაც პირი იზოლირებული იქნება გარე სამყაროსაგან, ხოლო თავისუფლების აღკვეთით ვერ მივაღწევთ მისი შემდგომი საქციელის კორექტირებას. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში უკვე კარგა ხანია გადაიდგა რეალური, პრაქტიკული ნაბიჯები სისხლისსამართლებრივი რეპრესიის ალტერნატიული ზომების ძიებისაკენ. აქ აღსანიშნავია შემდეგი: პიროვნებათა ხანგრძლივი ყოფნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იწვევს მათი ფსიქიკის შეუქცევად ცვლილებას, რის შემდეგაც სასჯელმოხდილი პირების უმრავლესობა აგრძელებს კრიმინალურ საქმიანობას უფრო სრულყოფილად და პროფესიულ დონეზე, ვიდრე ამას ადრე სჩადიონენ და, შესაბამისად, საზოგადოებას აყენებენ უფრო მეტ ზიანს გათავისუფლების შემდეგ; ამასთან სისხლის სამართლის რეპრესია წამოშობს ახალ დანაშაულებს, რომლებსაც ადგილი აქვს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში და რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ლატენტურ ხასიათს ატარებს.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულობა, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენა, სათანადოდ აისახოს საზოგადოების მსოფლმხედველობაში. შესაბამისად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულობაზე (სოციალური კონტროლი) არ უნდა იყოს უშედეგო, რისი ნათელი გამოხატულებაცაა დანაშაულობის წინააღმდეგ უპირატესად სისხლის სამართლის რეპრესიისათვის ძირითადი მნიშვნელობის მინიჭება. აუცილებელია, სახელმწიფომ და საზოგადოებამ მიმართონ ისეთ ზომებს, რომლებიც მოიტანს მეტ სარგებელს, ვიდრე ზიანს; ასეთად კი, უპირველეს ყოვლისა, ალტერნატიული იუსტიციის ფორმირება და სასჯელის ჰუმანიზაციის პროცესების ტენდენცია გვესახება. მეცნიერული თვალსაზრისით, თეორიულად, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი თანამიმდევრულად და ეტაპობრივად

ხორციელდება, რაშიც მთავარ როლს ასრულებს დანაშაულობის წინააღმდეგ ზომების ჰუმანიზაცია. შესაბამისად, კონტროლის მექანიზმების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, ჩავწვდომოდით იმ ჭეშმარიტებას, რომ სისხლისსამართლებრივი სასჯელი მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის განხორციელების საქმეში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არის შემუშავებული სტრატეგია და დანაშაულობაზე ზემოქმედების არარეპრესიული რეაქციის ნორმატიული საფუძვლები (მედიაცია სრულწლოვანებისათვის და ა.შ.), რაც უპირატესად გულისხმობს სწორედ არასისხლისსამართლებრივ რეაქციას დანაშაულობაზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა კრიმინოლოგიის კურსის შესწავლასა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებას, შესაბამისად ვერ ხერხდება კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც დაკავდებოდნენ საქართველოში კრიმინოლოგიის შესწავლით.

საქართველოში კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გატარდეს მთელი რიგი **პრაქტიკული ღონისძიებანი,** კერძოდ:

- სასჯელის სახის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა განისაზღვროს 12-15 წლით, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მძიმე ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულისათვის სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა შენარჩუნებულ უნდა იქნეს.
- საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე კრიმინოლოგიის კურსისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შემდგომი დახვეწა და განვითარება.
- კრიმინოლოგიური ექსპერტიზის სახელმწიფო ცენტრის შექმნა, სადაც და სისხლის საპროცესო სამართლის სისხლის სამართლის კანონპროექტები შემუშავების სტადიაზე წინასწარ გაიელის კრიმინოლოგიურ ექსპერტიზას იმ მიზნით, რომ დადგინდეს ხომ არ გამოიწვევს კონკრეტული კანონი მომავალში დანაშაულებრივი ქცევის პროვოცირებას.
- სასჯელის შეკრებითობის პრინციპის სრული გაუქმება და მისი ჩანაცვლება სასჯელთა შთანთქმის პრინციპით.

- სისხლის სამართლის რეპრესიის მინიმუმამდე დაყვანა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გათავისუფლება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთაგან, ჩვენი აზრით, საჭიროებას არ წარმოადგენს ისეთ ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დაკვალიფიცირება, როგორიცაა მაგალითად „ცემა" (სსკ, 125-ე მუხლი), „ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება" (სსკ, 176-ე მუხლი), შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა (სსკ, 173-ე მუხლი), ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (სსკ, 259-ე მუხლი) და სხვა მსგავსი ქმედებები, რომელთაც მიკუთვნებული აქვს დანაშაულის სტატუსი და რეგულირდება სისხლის სამართლის წესით. მსგავსი ქმედებები საზოგადოებისათვის უმნიშვნელო საფრთხეს წარმოადგენს და, ამდენად, აბსოლუტურად საკმარისი იქნებოდა მათ მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სამოქალაქო სამართლებრივი ზომების გამოყენება. ჩვენი შეხედულებით, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ისეთ ქმედებებს მიეკუთვნოს დანაშაულებრივის სტატუსი და აისახოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლებიც მომეტებულ სოციალურ საშიშროებას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებისა და ქართული სახელმწიფოსათვის. სისხლის სამართლის ენაზე თუ ვიტყვით, ასეთებად უნდა განვსაზღვროთ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიები.
- სასჯელის გარდაუვალობის პრინციპის პრაქტიკული რეალიზება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც თანაბრად უნდა შეეხოს ყველა მოქალაქეს, რაშიც არ უნდა იქნეს გათვალისწინებული პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური თუ თანამდებობრივი სტატუსი;
- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გათავისუფლება მცირე მნიშვნელობის ქმედებათა გამოვლენისა და გამოძიებისაგან, აღნიშნული სტრუქტურების ძალებისა და საშუალებების მიმართვა იმ ქმედებებისაკენ, რომლებიც რეალურად წარმოადგენს მომეტებულ სოციალურ საშიშროებას.
- ანტიკორუფციული პროგრამების შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივ საფუძველზე; კორუფციის პრობლემა

უმნიშვნელოვანესია ქართული საზოგადოებისათვის და მისი ეფექტურად გადაჭრის გარეშე, აზრი არა აქვს სხვა რეფორმების განხორციელებას.

- დანაშაულობის თავიდან აცილების პრიორიტეტის დამკვიდრება; უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დანაშაულობის თავიდან აცილებას, ვიდრე უკვე მომხდარი დანაშაულის გამოძიებას.
- ალტერნატიული იუსტიციის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებს გარეთ.
- მოსახლეობაში ლიბერალურ-დემოკრატიული სამართალშეგნების ფორმირება, რაც მეტად რთული, შრომატევადი, მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცესია, თუმცა, ამავე დროს, საკმაოდ აუცილებელიც.

კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საქართველოში კრიმინოლოგიის განვითარების თაობაზე გვსურს ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე: ერთი მხრივ, კრიმინოლოგიაში როგორც სპეციალისტების, ისე სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების დეფიციტია. კადრები ამ კონკრეტულ ეტაპზე არასაკმარისია. კრიმინოლოგიის მიმართულებით სადოქტორო პროგრამები არ ცხადდება (მხედველობაში გვაქვს კრიმინოლოგიური კვლევები), მაგისტრანტები არ არიან დაინტერესებული დაიცვან სამაგისტრო შრომები კრიმინოლოგიის დარგში. ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე კრიმინოლოგიის კურსისა და სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის განვითარება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის №120/1 ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩო"-ს შესახებ, კრიმინოლოგიას როგორც მეცნიერებას მიენიჭა უპირატესობა და იგი აღიარებულ იქნა სამართლის მიმართულების სისხლის სამართლის სპეციალობის ქვედარგად (სპეციალიზაციად).

დღეისათვის კრიმინოლოგიის ძირითადი ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით მისი ზოგადი როლი ასე გვესახება: კრიმინოლოგიის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ღირსებით აღსავსე საზოგადოების ჩამოყალიბება, ე.ი. საზოგადოების, რომლის უფლებები და თავისუფლებები დაცულია და უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ შესაბამისი კანონებით და თვითონ საზოგადოებაშია კანონიერების კულტურის ხარისხი მაღალი, ე.ი საზოგადოება კანონმორჩილია. რაც შეეხება კრიმინოლოგიის კონკრეტულ მიზნებს და ამოცანებს, იგი გამოიხატება შემდეგში:

1. კრიმინოლოგია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და ამასთან დაკავშირებით ანტინარკოტიკული სწავლება.
2. კრიმინოლოგიის როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და მისი უზრუნველყოფისათვის მათთვის კანონიერების კულტურის სწავლება.
3. კრიმინოლოგიის როლი ოჯახური ძალადობის პრევენციასთან მიმართებით..
4. კრიმინოლოგიის როლი კორუფციის წინააღმდეგ და მასთან დაკავშირებით ანტიკორუფციული სწავლება.
5. კრიმინოლოგიის შესაძლებლობები ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით;
6. ეკონომიკური კრიზისების კრიმინოლოგია.
7. რა თქმა უნდა კრიმინოლოგიის მუდმივი საზრუნავია დანაშაულობის პრევენცია.

დამნაშავე, უდავოდ, უნდა დაისაჯოს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, ავაცილოთ იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ლიტერატურა

1. გახოკიძე ჯემალ. კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივების შესახებ. საუნივერსიტეტთაშორისო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები – კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, 2011. გვ. 7-9.
2. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. ავტორთა კრებული. თბილისი, 2008.
3. წულაია ზაურ. კრიმინოლოგია. ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003.
4. შალიკაშვილი მორის. კრიმინოლოგია. თბილისი, 2010.
5. გოძიაშვილი ირაკლი. კრიმინოლოგია. თბილისი, 1998.
6. ნაჭყებია გურამ. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. თბილისი, 1998.
7. ნაჭყებია გურამ. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. თბილისი, 2002.
8. ფაფიაშვილი შოთა. შესავალი იურიდიულ სპეციალობაში. ლექციების კურსი. თბილისი, 1994.
9. გახოკიძე ციცინო. დევიაციური ქცევის პრევენცია მოზრდილობის ასაკში. თბილისი, 2005.
10. გაბუნია მიხეილ. შესავალი კრიმინოლოგიაში. თბილისი, 2011.
11. დაუთაშვილი პეტრე. კვაშილავა ალექსანდრე. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2003.
12. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. ლევან ბერძენიშვილის რედაქციით. პირველი ნაწილი. თბილისი, 2006.
13. Гилинский Я.И. Девиантность, преступность, социальный контроль. СПТ., 2004.
14. Карпец И.И. Преступность: иллюзии и реальность. М.,1992.
15. Энциклопедический словарь. СПТ., 1898. Т. XXV.
16. Шестаков Д.А. Криминология. СПТ., 2006.
17. Социальные отклонения. М., Юридическая литература. 1989.

18. Криминология. Учебник для юридических институтов и факультетов. М., 1992.
19. Массионис. Д.Ж. Социология. СПТ., 2004.
20. Гидденс А. Социология. М., 1999.
21. Криминология. Под ред. В.Н. Кудрявцева, В.Е. Зминова. М., 1997.
22. Лунеев. В.В. Юридическая статистика. М., 2000.
23. Босхолов С.С. Латентные преступления против личности. Минск, 1984.
24. Бабаев М.М. предмет и пределы криминологии: категории науки и феномены практики. Криминологический журнал. Брянск. 2004. № 1 (6).
25. Лунеев В.В. Преступность XX века. М.,2005.
26. История философии. М., 1957. Т 1.
27. Коган У. Криминологические исследования в мире. М., 1995.
28. Шнайдер Г.И. Криминология. М., 1994.
29. Иншаков С.М. Зарубежная криминология. М., 1997.
30. Шели Д.Ф. Криминология. СПТ., 2003.
31. Чубинский М.П. Курс уголовной политики. СПБ., 1912.
32. Ферри Э. Уголовная социология. М., 1908.
33. Ван-Кан Ж. Экономические факторы преступности. М., 1915.
34. Шаргородский М.Д. Преступность, ее причины и условия в социальном обшестве. Преступность и ее предупреждение. М., 1966.
35. Кузнецова Н.Ф. Проблемы криминологической детерминации. М., 1984.
36. Криминология. Под. Ред. А.И. Долговой. М., 1997.
37. Фокс В. Введение в криминологию. М., 1980.
38. Шипунова Т.Б. Проблема синтеза теории девиантности. СПТ., 2004.
39. Смирнов Г.Г. Криминологическое учение о предупреждении преступности. Екатеринбург, 2004.
40. Сухарев А.Я., Алексеев А.И., Журавлев М.П. Основы государственной политики борьбы с преступностью в России. Теоретическая модель. М., 1997.

41. Бородин С.В. Борьба с преступностью: теоретическая модель комплексной программы. М.,1990.
42. Основные направления борьбы с преступностью. М., 1975.
43. Социальный контроль. Воронеж, Университет. 1981.
44. Игошев К.Е. Социальный контроль и профилактика преступлений. М., 1979.
45. Криминология. Уебник для вузов. М., 2001.
46. Криминология. учебник для вузов. Под.Ред. В.Д. Малкова. издание второе. М., 2006.
47. Л.В.Головко. http://www.mosmediator.narod.ru.
48. Теория государства и права. Под. Ред. С.С. Алексеева. М., Юрид. Лит. 1985.
49. Беккариа Ч. О преступлениях и наказаниях. М., 1995.
50. Duden. Standartworterbuch. 2003.
51. Мошак,Г.,Паламарчук,А.дир., Частно-правовые аспекты предупреждения преступности в Германии., Журнал Уголовное право. -2005. - № 4. - С. 92 – 94.
52. Schwartz M. Contemporary Criminology. Wadsworth Publishing Co. 1996.
53. Schur E. Crimes Without Victims. Englewood Cliffs. 1965.
54. Hagan J. Modern Criminology: Crime, Criminal Behavior and its Control. NY.: McGraw-Hill. 1985.
55. Tappan P. Who is Criminal? American Sociological Review. 1947. № 12.
56. Brown S., Esbensen F.-A., Geis G. Criminology: Explaining Crime and its Context. 1996.
57. Hulsman L. Critical Criminology and the Concept of Crime. 1997.
58. Hess H., Scheerer S. Was ist Kriminalitat? Kriminologische Journal. 1997. Heft 2.
59. Criminology and The Concept of Crime; Barkan S. Criminology. A Sociological Understanding. New Jersey. 1997.
60. H. Michell. Sparta. Camb, 1952.
61. Maxim.P, Whitehead P. Explaining Crime. Fourth Edition. Butterworth-Heinemann. 1998.

62. Criminal Behavior A Psychosocial Approach. Seventh Edition. Curt R. Bartol. Anne M. Bartol. New Jersey. 2005.
63. Criminology Today An Integrative Introduction. Frank Schmalleger. Fourth edition. New Jersey. 2006.
64. Criminology. John E. Conklin. Tufts University. Ninth. Edition. 2007.

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75
ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;
http://www.facebook.com/lawyers.world

ISBN 978-9941-9355-0-3